არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1425
2013 №17

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

გენშტაბის ახალი უფროსი... ერთი წლის დაგვიანებით

როგორ იჭედებოდა ქართული ხმლები

რამდენს დახარჯავენ მომავალ წელს თავდაცვაზე სამეზობლოში

ამერიკულმა ჯავშანმა ქართველი სამხედროები გადაარჩინა

N17 (190) დეკემბერი, 2013

სარჩევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4 კალეიდოსკოპი
სამხედრო სიახლეები

8 კადრები
გენშტაბის ახალი უფროსი...
ერთი წლის დაგვიანებით

9 მისია
ამერიკულმა ჯავშანმა ქართველი
სამხედროები გადაარჩინა

11 პოლიტიკა
მსოფლიოსთვის ისტორიული გადაწყვეტილება,
ისრაელისთვის ისტორიული შეცდომა?!

12 მზადება
ინსტრუქტორი — ჯარისკაცის
პროფესიონალიზმის საზომია

14 სამეზობლო
სომხურ-რუსული საჰაერო
თავდაცვის „ეოლგა" ფართოვდება

16 სამხედრო ბიუჯეტები
რამდენი დაიხარჯება თავდაცვაზე
მომავალ წელს სამეზობლოში

18 ინიციატივა
ვინ გააკონტროლებს
სპეცსამსახურების საქმიანობას

21 პოლიტიკა
რუსეთი და დასავლეთი:
გეოპოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე?

24 ექსპოზიცია
INTERPOLITEX-2013

26 რეგიონი
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

30 ძველი საქმე
საქართველოს ეროვნული არქივის
დაბრუნების საიდუმლო

34 სამხედრო მედიცინა
ჯარისკაცები და
საღი კბილები

36 ინოვაციური ტექნოლოგიები
ნაღმების აღმოსაჩენი
მანქანები

სამოქალაქო ომი 39
სირიის კონფლიქტი: ახლო აღმოსავლეთის „კავკასიზაციის" დასაწყისი?

საბრძოლო მანქანები 44
„კატიუშიდან" „გრადამდე"

სპეცოპერაციები 48
ზეციური მეხთატეხა

ავიაცია 52
მფრინავი ტრანსფორმერები

სამხედრო ისტორია 56
აფხაზი თავადის ვაუკაცობა

ზარადხანა 60
ქართული ხმლების ისტორიიდან

100 დიდი მხედართმთავარი 64
შმაგი ცხენი 1842-1877

მეომრები 66
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

კოსმოსი 70
კოსმონავტების ყოველდღიური ცხოვრება

ცხელი წერტილები 72
შოტლანდია

ქართული ფლოტი 75
„ტავრიდას" უჩვეულო სამხედრო წარსული

ლიტერატურული გვერდი 78
უცნობი დიალოგი ნაცნობ ამბავზე

კროსვორდი 80
არსენალვორდი

იარაღის გალერეა 81
ყველაზე მსხვილკალიბრიანი სნაიპერული „თოფი"

რედაქციისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთპარტნიორობის ვილნიუსის სამიტმა, რომელშიც საქართველოს ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავრობაც მონაწილეობდნენ, მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ ევროინტეგრაცია, ისევე როგორც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება, კვლავ საქართველოს მთავარ მიზნად რჩება.

თუმცა ისიც სამწუხარო რეალობაა, რომ რუსეთის ხელისუფლება ევროპისკენ მსწრაფ საქართველოს მორიგ პრობლემებს გაუმზადებს...

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: (+995 32) 237-78-07
(+995 32) 238-78-70

პალიტრამედიის ცხელი ხაზი:
ტელ: (+995 32) 219-60-13
(+995 32) 219-60-53
Email: contact@palitra.ge

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: (+995 32) 238-26-74
(+995 32) 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად 25.11.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©

3D პისტოლეტი — უკვე ლითონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 3D-პრინტერზე „ამობეჭდილი“ პირველი ცეცხლსასროლი პლასტიკის პისტოლეტი გამოჩნდა და აი, ამჯერად ტეხასური კომპანია Solid Concepts-ის ინჟინრებმა ამავე პრინციპით შექმნილი პირველი ლითონის პისტოლეტი წარმოადგინეს.

სადემონსტრაციოდ ინჟინრებმა ჯონ ბრაუნინგის საკულტო პისტოლეტი M1911 გამოიყენეს. ეს პირველი თვითგადამტენი პისტოლეტია, რომლის გამოყენებაც აშშ-ის არმიაში დაიწყეს. იქამდე ამერიკელებს მხოლოდ რევოლვერები ჰქონდათ.

პისტოლეტის დეტალები ლითონის პირდაპირი ჩამოსხმის DMLS-ის მეთოდით დამზადდა, რომელსაც NASA სარაკეტო ძრავების დეტალების დასამზადებლად იყენებს.

კომპანიის წარმომადგენლები თავს დებენ, რომ მათი ნამოქმედარი ვერ იქნება წახალისება ნებისმიერისთვის, რათა იაფი და მარტივი გზით იარაღი მოიპოვოს, რადგან ბეჭდვისთვის საჭირო აღჭურვილობასულ ცოტა, 10 ათასი დოლარი ღირს და თანაც კომპანიამ გაცილებით ძვირფასი საწარმოო პრინტერი გამოიყენა.

მართალია, ინჟინრების მიზანი თანამედროვე 3D-ბეჭდვის სამრეწველო შესაძლებლობების ჩვენება იყო და არა ტექნოლოგიის გასაჯაროება, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს გარდაუვალია.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბუნკერში

გერმანიაში „ცივი ომის“ დროინდელი ბუნკერი, რომელიც თიურინგიის მხარეში, ტყეში მდებარეობს, სასტუმროდ გადააკეთეს. მის კლიენტებს საშუალება აქვთ 109 ევროს საფასურად 16 საათის განმავლობაში თავი გდრ-ის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის) ნაციონალური სახალხო არმიის ჯარისკაცად იგრძნონ.

ტურისტებს წინდაწინ აფრთხილებენ, რომ ოტელის თანამშრომლებისგან სტუმართმოყვარეობის გამოჩენის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, სტუმარ ქალებს სადილისთვის კარტოფილის გათლას ავალებენ, მამაკაცებს კი ყარაულში გასვლას ან მწვადის შეწვას.

სასტუმრო-მუზეუმის ინტერიერი „კალაშნიკოვის“ ავტომატებით, ყუმბარებით, აირწინაღებით, ასევე ლენინისა და სხვა საბჭოთა ბელადების სურათებითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიპერბგერითი და ძალიან საშიში

ცნობისთვის, 1976 წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტებმა ზებგერითი SR-71 Blackbird-ით 3 M სიჩქარე განავითარეს და ნიუ-იორკიდან ლონდონამდე მანძილი 2 საათზე ნაკლებ დროში დაფარეს. ამ თვითმფრინავმა სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც თითქმის 40 წელი ხელუხლებელი დარჩა.

ახლა Lockheed Martin-ის ინჟინრები ორჯერ უფრო მაღალი სიჩქარის მქონე ახალ ზებგერითი თვითმფრინავის შექმნაზე მუშაობენ. თვითმფრინავი SR-72 უპილოტო იქნება და 6 M-ს განავითარებს.

29142

პროექტის ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ ჰიპერბგერითი რაკეტებით აღჭურვილი აპარატი უპირველესად სადაზვერვო დავალებებისთვის იქმნება და დედამიწის ნებისმიერ წერტილში იერიშს საათზე ნაკლებ დროში მიიტანს. თავის მხრივ, ინჟინრები ვარაუდობენ, რომ ახალი თვითმფრინავის პროექტირება 2030 წლისთვის დასრულდება.

„დამშვენებული“. მისი მეპატრონე კი, ვინმე მანუელი, ირწმუნება, რომ კლიენტებს ვერ აუდის.

„ადამიანები აქ მოდიან, რათა ისტორიული მოვლენების მონაწილენი გახდნენ. აქ ამის საშუალება ნამდვილად არის“, — ამბობს ის.

რაც შეეხება ბუნკერს, ის 70-იან წლებში, აღმოსავლეთ გერმანიის სპეცსამსახურებისთვის აიგო და ბირთვული ომის ან მტრის თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენებდნენ.

პალესტინური ყვავილნარი

თურმე გამოყენება ერთი შეხედვით ისეთი უსარგებლო ნივთისაც შეიძლება, როგორიც ცრემლსადენი გაზის ნახმარი ყუმბარაა. მთავარი კი ამ შემთხვევაში ფანტაზია და მონდომებაა.. ამ სიტყვების დასტურად პალესტინელთა მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, სადაც ისრაელის არმიის სამხედროების მიერ მათკენ ნასროლ ყუმბარებს საკმაოდ პაციფისტური მიზნით, ყვავილნარის გასაშენებლად იყენებენ.

ფოტოსურათი პალესტინის დე ფაქტო დედაქალაქ რამალას სიახლოვეს, სოფელ ბილინში, ყვავილების პლანტაციაშია გადაღებული. ეს სოფელი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ზონაშია და, ბუნებრივია, ასეთი ყუმბარების შეგროვება ადგილობრივთათვის დიდი პრობლემა არაა. იმის შესახებ კი, რა განსაკუთრებული თვისება აქვს ქოთნად გადაქცეული ყუმბარის კორპუსს ყვავილისთვის, ვერაფერს მოგახსენებთ.

„ღმერთის არმიის“ ლეგენდარული ტყუპი

ამ ორ, ერთმანეთზე გადაბმულ კადრზე მიანმაში (ყოფილი ბირმა) ლეგენდად ქცეული ტყუპი ძმები, ჯონ და ლუთერ ჰტუ არიან გამოსახულნი. მარცხენა სურათი 1999 წლის 6 დეკემბერს, ტაილანდის ჯუნგლებშია გადაღებული, მეორე კი – 2013 წლის 26 სექტემბერს.

ძმების თავგადასავალი დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილია. 1997 წელს, ეთნიკურ ჯგუფ კარენის სოფლად მცხოვრებმა ამ ბიჭებმა (მაშინ სულ რაღაც 12 წლისანი იყვნენ) პარტიზანული დაჯგუფება ჩამოაყალიბეს, რომელსაც „ღმერთის არმია“ უწოდეს და ბირმის არმიას შეიარაღებული ბრძოლა გამოუცხადეს.

მიანმას სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჯუნგლებში მონავარდე შეიარაღებულ ბავშვებსა და მათ მიმდევრებზე ლეგენდები დადიოდა, ზემოთ წარმოდგენილმა ფოტოსურათმა კი, რომელიც 14 წლის წინ „ასოშიეიტედ პრესმა“ გადაიღო, მსოფლიო მოიარა. დაჯგუფებაზე ათას რამეს ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, რომ ძმებს თავიანთ „ბატალიონში“, სადაც მათზე გაცილებით უფროსებიც ირიცხებოდნენ, ქრისტიანულ მრწამსზე აგებული მკაცრი სამხედრო დისციპლინა ჰქონდათ დამყარებული.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩა
იარა. ბირმაში ხელისუფლება შე
იცვალა, ქვეყანას მიანმა ეწოდა
აღარ არსებობს „ღმერთის არმია“
კარენის ეთნიკურმა ჯგუფმა ავ
ტონომია მოიპოვა, ტყუპი ძმები
კი, რომლებიც თავის დროზე ტა
ილანდის ხელისუფლებას ჩაჰბარ
დნენ, დღეს 27 წლისანი არიან და
ტკბილად იხსენებენ ბავშვობის
დროინდელ ამბებს. ჯონი ტაი
ლანდშივე დარჩა, ლუთერი კი შვე
დეთში ცხოვრობს...

დიდი, მაგრამ ძვირი სუპერხომალდი

აშშ-ში Bath Iron Works-ის გემთსაშენში Zumwalt-ის სერიის პირველი საესკადრო ნაღმოსნის აგება დასრულდა, რომელიც თავის კლასში ყველაზე დიდია მსოფლიოში.

ხომალდის წყალწყვა 14 ათას 500 ტონაა, სიგრძე 183 მეტრია და ის აღჭურვილია ელექტროძრავებით, რომლებიც 78 მეგავატი სიმძლავრის ძალისმიერი აგრეგატებიდან იკვებება. შედარებისთვის, ამდენი ელექტროენერგია 78 ათას საცხოვრებელ ბინას უზრუნველყოფს.

ხომალდის კორპუსი ისეთი კონსტრუქციისაა, რომ მოწინააღმდეგის რადარებისთვის თითქმის შეუმჩნეველია. გარდა კლასიკური საარტილერიო და საზენიტო დანადგარებისა, სუპერხომალდის შეიარაღებაში Mk.57-ის ვერტიკალურად გამშვები 20 დანადგარი და 80 ფრთოსანი რაკეტა BGM-109 Tomahawk-ი შედის.

Zumwalt-ის სპეციფიკურობის მთავარი საიდუმლო კი მის მართვის ავტომატიზებულ სისტემებშია. თუკი სტანდარტულ ნაღმოსანზე ეკიპაჟის რაოდენობა 300 კაცს აღწევს, სუპერხომალდისთვის 158-კაციანი ეკიპაჟიც საკმარისია. და კიდევ, აუცილებლად უნდა ითქვას მომავლის ამ ხომალდის ღირებულება – თითოეული ასეთი საესკადრო ნაღმოსნის აგება აშშ-ის ბიუჯეტს 3 მლრდ 500 მლნ დოლარი, ჩვეულებრივზე სამჯერ ძვირი, დაუჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარაქ ობამას „სატვირთო“

ჯერჯერობით ვერ გეტყვით, როგორი საპრეზიდენტო ლიმუზინის ყოლას მოინდომებს საქართველოს ახალი პრეზიდენტი ხვალ-ზეგ, თუმცა ახლახან აშშ-ის პირველი პირის, ბარაქ ობამას ლიმუზინზე ცნობები გავრცელდა და ვფიქრობთ, უინტერესო ის არც ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვის უნდა იყოს.

საპრეზიდენტო ლიმუზინი, რომელიც ობამას აგერ უკვე 3 წელია პირნათლად ემსახურება, „კადილაკის“ უნიკალური მოდელი „საუკეთესოა“ (The Best). ასეთი ლიმუზინი სულ 12-ია გამოშვებული და საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთ აგენტს თუ ვერწმუნებით, თითოეული მათგანი ნამდვილი „სატვირთო“ მანქანაა, უბრალოდ, გამოიყურება, როგორც ლიმუზინი... მართლაც, მანქანა 6 800 კგ-ს იწონის, 100 კმ-ზე 63,5 ლიტრ საწვავს მოიხმარს. უბრალოდ, სატვირთოს კვალობაზე „ცოტა ძვირი“ — 1 მლნ 500 ათასი დოლარი ჯდება...

თურმე ლიმუზინის კარები სქელი ჯავშნისგან ისეა დამძიმებული, რომ შიგნიდან მისი გაღება, პრაქტიკულად, შეუძლებელი ყოფილა. მარტო მინა 12 სმ სისქისაა...

და კიდევ, ცნობილია, რომ საპრეზიდენტო ლიმუზინის სალონი ქიმიური იარაღის თავდასხმისგან დაცულია და ასევე აღჭურვილია სატელიტური ტელეფონით, სპეციალური ინტერაქტიური ვიდეოსისტემით, ჟანგბადის ბალონითა და სისხლის ბანკითაც კი.

დანარჩენს კი, აბა, ჩვენ ვინ გაგვიმხელს?..

ასე იქცევა ღირსეული ერი...

დიდ ბრიტანეთში, ნოემბრის სუსხიან და წვიმიან დღეს, უკანასკნელ გზაზე გააცილეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 99 წელს მიღწეული ჰაროლდ პერსივალი — მარტოხელა მოხუცი, რომელმაც სიცოცხლის ბოლო დღეები ხანდაზმულთა სახლში გაატარა. ამ ამბავში კი საყურადღებო, გნებავთ, სამაგალითო, სხვა რამაა — თავის დროზე სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მოსამსახურეს სულ არავინ დარჩა, გარდა ერთი შორეული ნათესავისა, მის დაკრძალვას რომ დასწრებოდა.

ჰოდა, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ გაზეთში გამოქვეყნდა, შემდეგ კი სოციალურ ქსელში გავრცელდა და მყისვე ვეტერანისთვის პატივის მიგების სურვილი უამრავმა ბრიტანელმა გამოთქვა.

მართლაც, დაკრძალვის დღეს ინგლისის ჩრდილოდასავლეთით მდებარე კრემატორიუმთან რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა, რომლებმაც ჰეროლდ პერსივალზე მანამდე არაფერი სმენოდათ. რაც ყველაზე საინტერესოა, ვეტერანისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად არა მხოლოდ ომის ვეტერანები და სამხედროები, უბრალო მოქალაქეები ბავშვებით მოვიდნენ... კრემატორიუმის ნაგებობამ ყველა ვერ დაიტია და უმეტესობა ღია ცის ქვეშ, თავსხმა წვიმაში, ყვავილებითა და ქოლგებით ხელში გამოეთხოვა ჰაროლდს, რომელსაც მართალია, განსაკუთრებული გმირობა არ ჩაუდენია, მაგრამ ძნელბედობის ჟამს თავისი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადა.

გენშტაბის ახალი უფროსი... ერთი წლის დაგვიანებით

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს უხელმძღვანელებს ვახტანგ კაპანაძე, რომელსაც ბრიგადის გენერლის წოდება გენერალ-მაიორამდე გაეზარდა. ეს წინადადება ზუსტად ერთი წლის წინათაც შეიძლებოდა დაწერილიყო, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მან კატეგორიული უარი თქვა, რომ იმ დროს ბრალდებულად ცნობილი გაერთიანებული შტაბის უფროსის, ბრიგადის გენერალ გიგი კალანდაძის ადგილზე მეორე ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე დაენიშნა.

2005 წელს მაშინდელი გენშტაბის უფროს ვახტანგ კაპანაძესა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს შორის სამსახურებრივი ურთიერთობა თითქმის აღარ არსებობდა. თავდაცვის მინისტრი მას არ ხვდებოდა და სამხედრო საკითხებს მის მოადგილესთან ათანხმებდა.

იმ დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილის მხარე დაიჭირა და კაპანაძემ გენშტაბის უფროსის პოსტი დატოვა, თუმცა პრეზიდენტის სამხედრო მრჩევლის რანგში გადაინაცვლა. მიუხედავად ამ თანამდებობის დიდი მნიშვნელობისა, თუ არ ვცდებით, პრეზიდენტ სააკაშვილს ერთხელაც არ უკითხავს რჩევა თავისი მთავარი სამხედრო მრჩევლისთვის, არადა, ეს სააკაშვილისთვის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა. 2006 წელს ვახტანგ კაპანაძე აფხაზეთის მთავრობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი,

თუკი ხელისუფლება დაჭრილ სამხედროებს სათანადო ყურადღებას არ მოაკლებს, ქართულ არმიაში სამსახურის მსურველთა რიცხვიც არ შემცირდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კი აფხაზეთის მთავრობის მინისტრის მოადგილე გახლდათ, სანამ 2007 წელს დიპლომატიურ სამსახურში არ გადაინაცვლა.

2008 წლის აგვისტოში ის პოლონეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი გახლდათ და ომის დაწყებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ბრძანება არ მიუღია.

იგი 2012 წლის ოქტომბრამდე საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა, სანამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ შეიარაღებულ ძალებში არ დააბრუნა, თუმცა მხოლოდ გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილის პოსტზე.

ვახტანგ კაპანაძე მონაწილეობდა აფხაზეთის ომში სპეციალური დაზვერვის ბატალიონის მეთაურის რანგში, შემდგომ კი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე შეიარაღებულ ძალებში. მას საბრძოლო გამოცდილების გარდა აქვს თეორიული ცოდნაც — ოქროს მედლით დამთავრებული უკრაინის ეროვნული სამხედრო აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი, ასევე მარშალის სახელობის სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმარებისა და უსაფრთხოების კოლეჯი და რაც მთავარია, აშშ-ის სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯი.

ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძეს აღდგენილ გენერალურ შტაბში და მთლიანად შეიარაღებულ ძალებში იოლი სამუშაო ელოდება — უკვე ყოფილ გაერთიანებულ შტაბში დიდი საკადრო ცვლილებებია ჩასატარებელი, რაც ბოლო ერთწლიანი კოაბიტაციის გამო არ განხორციელებულა, ასამაღლებელია დისციპლინა სამხედრო დანაყოფებში, ასევე ავღანეთში მყოფ ქართულ სამხედრო კონტინგენტში და რაც მთავარია, მოსანესრიგებელია საბრძოლო სწავლების შეუწყვეტელი და ეფექტური ციკლი.

ირაკლი ალადაშვილი

ამერიკულმა ჯავშანმა ქართველი სამხედროები გადაარჩინა

თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის მორიგი საბრძოლო ოპერაციის შესახებ. ამ უწყების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ოპერაციის შესახებ ფოტოვიდეომასალაც გამოაქვეყნეს, რითაც თვალნათლივ გამოჩნდა, რას საქმიანობენ და რა საფრთხის წინაშე დგანან ქართველი სამხედროები ჰილმენდის პროვინციაში.

გასულ წლებში არათუ ფოტოვიდეომასალას, არამედ ISAF-ის ოპერაციებში ქართველების მონაწილეობის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას იმდროინდელი სამხედრო უწყების მესვეურნი გულმოდგინედ მალავდნენ.

საბრძოლო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „სემკეპი“ მიზნად ისახავდა არსებულ რაიონში თალიბების თავისუფალი გადაადგილების აღკვეთას, ბუფერული ზონების შექმნას, გზების დაცვის გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ავღანურ სოფელში ოპერაციას ბათუმის ცალკეული ქვეითი ბატალიონის ასეულების — „ალფას“ და „ჩარლის“ ჯარისკაცები ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად ატარებდნენ, როდესაც თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე ქართული პატრულის შეჯავშნული MRAP-ი აფეთქდა. საბედნიეროდ, ჯავშანმანქანის ეკიპაჟი არ დაშავებულა. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა გამნაღმველთა და სწრაფი რეაგირების ჯგუფებმა მოახერხეს აფეთქებული MRAP-ის ბაზაზე ევაკუირება.

როგორც თავდაცვის სამინისტროს გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს, აფეთქებული ქართული ჯავშანმანქანის ევაკუაციის პროცესს ამერიკელი საზღვაო ქვეითების კორპუსის საბრძოლო შვეულმფრენები — „სუპერკობრები“ იცავდნენ, რათა თალიბები მოულოდნელად თავს არ დასხმოდნენ ქართველ სამხედროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური ოპერაციების ძალებმა იუბილე იზეიმეს

22 ნოემბერს საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალებმა დაარსებიდან მე-14 წელ ვაშლიჯვრის პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებით აღნიშნეს

ვაშლიჯვარ
ტაქტიკუ
სწავლება
სახელწოდებ
„მოწინააღმდეგე
პირდაპირი იერიშ
ჯავშანმანქანე
„კობრა“
შვეულმფრ
„ეროკე ზე
გამოიყენ

სწავლებისას
სპეციალური
ოპერაციების
ძალების
მეომრები მათ
არსენალში
არსებულ
ყველა იარაღს
ისროდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოსთვის ისტორიული გადაწყვეტილება, ისრაელისთვის ისტორიული შეცდომა?!

მსოფლიომ, ფაქტობრივად, ირანს დაუკანონა სამშვიდობო ბირთვული პროგრამა, რითაც ისრაელი გააღიზიანა

ჟენევაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც შეიძლება ისტორიული გახდეს მთელი მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისთვის, რომელიც სამხრეთ კავკასიის მეზობელია.

მსოფლიოს ექვსი ქვეყანა-შუამავალისა (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და გერმანია) და ირანის ხელისუფლებას შორის დაიდო დროებითი, ექვსთვიანი ხელშეკრულება. ამ პერიოდში ირანი შეწყვეტს ურანის გამდიდრებას, ხოლო 20%-მდე გამდიდრებული ურანი განადგურდება. ირანს 200 კგ-მდე 20%-მდე გამდიდრებული ურანი აქვს, რაც დასავლეთს აშფოთებს, რადგან ატომურ რეაქტორში საწვავისთვის 3-4%-მდე გამდიდრებული ურანიც კმარა. მეორე მხრივ, 20%-მდე გამდიდრებული ურან-235 არც ბირთვული ქობინის დასამზადებლად გამოდგება, რადგან ბირთვული ჯაჭვური რეაქციისთვის ურანი 90%-ზე მეტად უნდა იყოს გამდიდრებული.

თუკი ირანი დაიწყებს ამ ხელშეკრულების ზუსტად შესრულებას (ამ პროცესს ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთვალყურეები გააკონტროლებენ ირანის სხვადასხვა ბირთვულ ობიექტზე), მაშინ დასავლეთი ბანკებში ირანის 4,2 მლრდ დოლარიან აქტივებს გაათავისუფლებს, რაც ირანის ეკონომიკას ასე სჭირდება.

ხელშეკრულების დარღვევისთანავე ირანს დასავლეთი ისევ გაუყინავს მილიარდებს თავის ბანკებში, ასე რომ, თეირანში თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ასე არ მოხდეს.

ამ ხელშეკრულებით დასავლეთმა, ფაქტობრივად, აღიარა ირანის უფლება, განავითაროს ბირთვული ენერგიის სამშვიდობო მიზნით გამოყენება, რითაც ისრაელი გააღიზიანა.

ისრაელში თვლიან, რომ ირანი ყველანაირ ეშმაკობას მიმართავს, რათა დრო მოიგოს და, ადრე თუ გვიან, მაინც შექმნას ატომური იარაღი, ხოლო ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით ნარმოება მხოლოდ შირმაა.

ისრაელის ხელისუფლება ბოლო წლებში ცდილობდა, დაეყოლიებინა აშშ, რათა ერთობლივი წერტილოვანი საჰაერო დარტყმა მიეყენებინა ირანის ბირთვული ობიექტებისთვის, მაგრამ ბარაქ ობამას ადმინისტრაციამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. თეთრი სახლის თავშეკავების

ბუშერის ატომური სადგური ირანში

მიზეზი შეიძლება ახლახან დამთავრებული ერაყის და ჯერ კიდევ მიმდინარე ავღანეთის მისიებია, სადაც პენტაგონი დიდ თანხებს ხარჯავს.

არავინ იცის, რა მოჰყვებოდა ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვას, შეიძლება ეს სახმელეთო ბრძოლაშიც გადაზრდილიყო, ვაშინგტონს კი კიდევ ერთ ახალ ომში ჩაბმა ჩრდილო ამერიკის კონტინენტიდან ათი ათასი კმ-ის დაშორებით აღარ სურს.

ამიტომაცაა, რომ ბარაქ ობამამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და საერთო ენის გამონახვა სცადა ირანის ახალარჩეულ პრეზიდენტ ჰასან რუჰანისთან.

საეჭვოა, ისრაელმა მარტოდმარტო შეძლოს (იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საუდის არაბეთი მას ირანამდე საჰაერო სივრცეს მისცემს) ირანის ბირთვულ ობიექტებზე შედეგიანი საჰაერო თავდასხმა. თელ-ავივში, ალბათ, აწყობთ საერთაშორისო დამკვირვებლებმა ირანის ბირთვულ ობიექტებზე ჟენევის ხელშეკრულების დარღვევის ფაქტები დააფიქსირონ, რის შემდეგაც ისრაელს მეტი საფუძველი მიეცემა დაარწმუნოს დასავლეთი ირანის ატომური რეაქტორების საჰაერო დაბომბვის აუცილებლობაში.

ირაკლი ალადაშვილი

ინსტრუქტორი — ჯარისკაცის პროფესიონალიზმის საზომია

„ჯარისკაცი ვალდებულია ზედმიწევნით შეასრულოს ყველაფერი, რასაც ვეუბნებით და ვასწავლით... ეს ადვილი არ არის, მაგრამ არც ისე ძნელია, ჯარისკაცმა, მით უფრო, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში წასვლის მსურველმა რომ ვერ შეძლოს... თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ჯარისკაცი, ამაზე სტანდარტული პასუხი მაქვს, — უნდა იყოს ჯანმრთელი, გონიერი და მოტივირებული, დანარჩენს მოევლება“, — ამბობს ქართველი სამხედრო ინსტრუქტორი, რომელიც წლების განმავლობაში ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში მსახურობს.

რა ტიპის წვრთნები უტარდებათ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მიმავალ ქართველ ჯარისკაცებს და რა სირთულეები ახლავს თან, ქართველი ინსტრუქტორი გვიამბობს:

— ადრე მეთაური ბიჭებს უბრალო მიზეზებით იწუნებდა. მე ვიცი შემთხვევები, როდესაც ტყუილუბრალოდ, სრულიად უმიზეზოდ ეუბნებოდნენ ავღანეთში წასვლის მსურველ ბიჭებს უარს, მხოლოდ იმიტომ, რომ თვალში არ მოსდიოდათ. ზოგჯერ მართალნი იყვნენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ მიზეზის აუხსნელად უთქვამთ უარი. განსაკუთრებით, მათთვის, ვინც ერთხელ ან რამდენჯერმე არიან ნამყოფი. თუმცა, ახლებისთვისაც უთქვამთ უარი, ანუ იმათთვის, ვინც პირველი მისიით მიდის...

იქ ყოფნა ადვილი ნამდვილად არ არის და მართლაც ბევრნაირი შემოწმება სჭირდებათ, მაგრამ ეს კვალიფიციურად უნდა მოხდეს... როდესაც ავღანეთში გასაგზავნი ბატალიონი ყალიბდება, მეთაურობისგან ის უკვე გამოხშირულია და ჩვენთან მხოლოდ ისინი მოდიან, რომლებიც ავღანეთისთვის რაღაც დონეზე მომზადებულნი არიან. თუმცა, ბოლო დროს დაკომპლექტებას ახალი კადრებით ცდილობენ. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხი უფრო ზედა ეშელონებში უნდა დასვათ.

— ვიცი, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ავღანეთში მისიით მყოფი სამხედროები სამშობლოში დროზე ადრე დაუბრუნებიათ. რა არის ამის მიზეზი?

— სხვადასხვა მიზეზი აქვს, ბევრი ფსიქოლოგიურად ვერ უძლებს იქაურ დატვირთვას. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ისინი განტვირთვას ცდილობენ, რაც დაუშვებელი რამ არის... სამოქალაქო პირმა შეიძლება გაუგოს იმ ადამიანს, ვისაც უახლოესი მეგობარი მოუკლეს, მაგრამ პროფესიონალი სამხედრო ემოციით არ უნდა მოქმედებდეს. ასეთ ფაქტზე შემჩნეულ სამხედროებს არათუ ცხელი წერტილიდან, შეიარაღებული ძალებიდანაც დაითხოვენ. რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც მათ მისია სხვა მიზეზით დატოვეს, უბრალოდ, ნერვებმა უმტყუნათ, მაგრამ იმის დაკონკრეტება არ მინდა, თუ რა მოიმოქმედეს. ასეთ სამხედროებს საქართველოში იძულებით აბრუნებენ.

— ისინი შეიარაღებულ ძალებში რჩებიან?

— დიახ, რჩებიან და ამას თავისი ახსნა აქვს... ისინი სამხედრო სამსახურისთვის გამოსადეგნი არიან, უბრალოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ შეძლეს თავის ხელში აყვანა, რაც შეიძლება გამოსწორდეს და მუშაობა სჭირდება, მაგრამ სამხედროს ასაკს გააჩნია. ომს მხოლოდ ბრძოლის ჟინი არ იგებს, მოტივაცია, რა თქმა უნდა, საჭიროა, პროფესიონალ მეომარს თავის გაკონტროლება უნდა შეეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს დაიღუპავს და სხვასაც დაღუპავს...

— უცხოელი ინსტრუქტორების დამოკიდებულება როგორია ქართველი სამხედროების მიმართ?

— კარგი. დიპლომატებისგან განსხვავებით, ისინი შემოვლითი გზებით არასდროს გვესაუბრებიან პრობლემებზე. პირიქით, ცდილობენ, ყველა პრობლემა დეტალურად დაგვანახვონ, რათა დროულად აღმოვფხვრათ. კმაყოფილი არიან ქართველი ჯარისკაცების

ფსიქოლოგიური მომზადებით, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მეტის გაკეთება შეუძლიათ. ყველას აზრს, რა თქმა უნდა, ვერ მოგახსენებთ, იმათზე გეუბნებით, ვისთანაც მე მიმუშავია... სამხედროების ფსიქოლოგიური მომზადების დონის საზომი ავღანეთია, იქ ყოფნისას განსაკუთრებით შესამჩნევია, რამდენად კარგად არიან ისინი მომზადებული. ჩვენ სრულყოფილი ინფორმაცია გვაქვს ყველა მათგანზე და ამას შემდეგში ვითვალისწინებთ.

— ახლა კიდევ ერთი ნაკადი მიდის, მათთან გქონიათ ურთიერთობა?

— რა თქმა უნდა, ახლა მიდის რეინჯერთა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელთა მომზადება განსაკუთრებულ სიმძიმესთან არის დაკავშირებული და მართალი გითხრათ, ყველა ვერ უძლებს. ძილი, დასვენება, ვარჯიშის გრაფიკი და კვებაც კი, სპეციალურად მათთვის შედგენილი გეგმით ხდება. თუმცა, სიმკაცრის მიუხედავად, ბიჭები ამას უძლებენ... ჩემი ინფორმაციით, რეინჯერთა რაზმი ყველაზე გრძელი, 9-თვიანი მისიით მიდის. ასევე 23-ე და საჩხერის სამთო მომზადების ბატალიონები. სამივე ერთად მთიანი ავღანეთის საზღვარზე ზონის გასაკონტროლებლად მიემგზავრება. მთლიანობაში, ნამსვლელთა რაოდენობა არ იზრდება, იგივე რჩება, მხოლოდ ხარისხი უმჯობესდება. რეინჯერების სპეცრაზმიდან ყველაზე დაბალი რანგის ოფიცერი და მასტერსერჟანტია... ასე რომ, ახლა ამერიკელ და ქართველ ინსტრუქტორებს სანერვიულო ნამდვილად აქვთ.

— რატომ, თქვენი მუშაობის ხარისხიც მოწმდება?

— დიახ, ვნახოთ, ისინი რამდენად ხარისხიანად ჩაბარებენ გამოცდას ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს... იმედია, თითოეული მათგანი თავის მოვალეობას პროფესიულად შეასრულებს.

— ავღანეთში რეინჯერთა სპეცდანიშნულების რაზმის ფუნქცია განსხვავებული იქნება?

— არ ვიცი, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, მე საქართველოში მყოფი სამხედროების პროფესიონალურ დონეზე მომზადება მევალება, რათა მოწინააღმდეგეს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდნენ.

პატრულირებისას უამრავი სირთულეა: დანაღმული ტერიტორია, თვითმკვლელი ტერორისტები, მოულოდნელად მეომრების გამოჩენა და ამისათვის ისინი მომზადებულნი უნდა იყვნენ. იქ მათ იმ მეომრებთან მოუწევთ ბრძოლა, რომელთაც სიკვდილის არ ეშინიათ. ადამიანის ინსტინქტია, ნებისმიერ შემთხვევაში გადარჩეს, მათ კი ეს ინსტინქტი „ჩაკეტილი" აქვთ. მთავარია, სიკვდილამდე რაც შეიძლება მეტი გადაიგურონ. შესაძლოა, მათი სამხედრო ფორმირება 80 მეომრისაგან შედგებოდეს, მაგრამ 500-კაციანი ნაწილისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლიათ. ეს არ უნდა დავუშვათ. საბედნიეროდ, მათი სამხედრო ტაქტიკა არ ვითარდება, ჩვენი კი – პირიქით.

მთავარია, საკითხი ასე იყოს დასმული: ვინ მოიგებს კონკრეტულ ბრძოლას? ომი ხომ კონკრეტული ბრძოლებისაგან შედგება...

— მესმის, რომ დეტალების მოყოლა არ შეგიძლიათ, მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, როგორ ემზადებიან ისინი?

— საკმაოდ რთულ წვრთნას გადიან, სროლებში ვარჯიშობენ, იარაღის დაშლა-აწყობაში განსაზღვრულ დროს... წვრილმანებზე არ შევჩერდები. ფსიქოლოგიურ მომზადებაზე უკვე გესაუბრეთ, უფრო სწორად, ის გითხარით, რისი თქმაც შემეძლო. რაც შეეხება ფიზიკურს, ამ მხრივაც თავდაუზოგავად მუშაობენ, უამრავი დეტალია, რომლის გათვალისწინებას სხვადასხვა დროსა თუ ვითარებაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, მეომარმა სწორი ფორთხვა უნდა იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მტრისთვის პირდაპირ სამიზნეა. ასევე, თუ სპეციალურად არ ასწავლეს, სამხედრო დაწოლილი ვერანაირად ვერ ისვრის ხელყუმბარას ისე, რომ ამის გასაკეთებლად მიწიდან წამოწევა არ დასჭირდეს. თუ მაინც მოახერხებს გატყორცნას სათანადო ტექნიკის გარეშე, ყუმბარა ახლოს აფეთქდება და შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ეს ერთი შეხედვით დეტალებია, მაგრამ ძალიან ბევრი შტრიხია, რომელიც მეომარმა უნდა ისწავლოს, თუ რეალურ ომში მიღებული საბრძოლო გამოცდილება არა აქვს.

— ამ ყველაფერს მათ სამხედრო ნაწილშიც ხომ ასწავლიან?

— დიახ, მაგრამ ჩვენ ავღანეთში გასაგზავნ კონტინგენტს ზემოთ ჩამოთვლილი სხვა დეტალებით ვართუ-ლებთ, უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ვხდით.

ლალი პაპასკირი

ინსტრუქტორი ჯარისკაცებს ფეთქებადსაშიშ საგმებთან მოპყრობის ტექნიკას აცნობს

სომხურ-რუსული საჰაერო თავდაცვის „ქოლგა“ ფართოვდება

ერევანი და მოსკოვი კვლავ აძლიერებენ საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემას, რომელიც სომხეთისა და თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის გარდა, აზერბაიჯანისა და საქართველოს, ასევე თურქეთისა და ირანის საჰაერო სივრცესაც გააკონტროლებს.

2 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ოფიციალური ვიზიტით სომხეთს ესტუმრება (მისი თვითმფრინავი, რა თქმა უნდა, საქართველოს საჰაერო სივრცეს გადაკვეთს) და ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად განიხილება რუსეთ-სომხეთის საჰაერო თავდაცვის ერთიანი რეგიონული სისტემის საბოლოო ფორმირების საკითხიც.

მოსკოვი სომხეთის საჰაერო სივრცეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც აკონტროლებს, რასაც გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზის С-300В ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემები და МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები უზრუნველყოფენ.

ბოლო წლებში რუსეთმა სომხეთს გადასცა С-300П ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების რამდენიმე დივიზიონი, რომელთა ნაწილი ერევანმა, სავარაუდოდ, თვითაღიარებულ მთიან ყარაბაღში განათავსა.

С-300-ების ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას იძლევა, გააკონტროლონ საჰაერო სივრცე 150-300 კმ-ის რადიუსში, ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ თავად სომხეთის ტერიტორიაზე, ასევე ყარაბაღში განთავსებულ ამ საზენიტო-სარაკეტო სისტემებს აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების სიღრმეშიც შეუძლიათ „შეიჭყიტონ“.

თუმცა მოსკოვის გათვლაში მარტო ეს შესაძლებლობები არ არის ჩადებული. სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილიდან რადიოლოკატორებს შეუძლიათ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის, ირანის ჩრდილო-დასავლეთ და სირიის ჩრდილოეთ ნაწილების თავზე საჰაერო სივრცის კონტროლება საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე.



ასეთი ტექნიკური შესაძლებლობა მოსკოვისთვის პირდაპირ მისწრებაა, რადგან აქტუალურობა არ დაუკარგავს სირიასა და ირანზე აშშ-ისა თუ ისრაელის საჰაერო შეტევების ალბათობას.

რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, რომლის გეოპოლიტიკური ამბიციები ყოველწლიურად იზრდება, ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით რუსული სამხედრო მანქანის შესაძლებლობების გაძლიერების შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

სხვათა შორის, სამხრეთ კავკასიას საბჭოთა პერიოდში მოსკოვი აქტიურად იყენებდა ახლო აღმოსავლეთის დასაზვერად. მაგალითად, 1991 წელს, როდესაც აშშ-ის მეთაურობით კოალიციის ძალებმა ერაყში ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" დაიწყეს, საქართველოს თავზე ინტენსიურად დაფრინავდა A-50 ტიპის შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის საბჭოთა თვითმფრინავი, რომელიც ერაყის თავზე მფრენ ამერიკულ თვითმფრინავებს აფიქსირებდა.

თუკი მოსკოვს სურს გამოიყენოს ახლო აღმოსავლეთთან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფი მეგობარი სომხეთი, თავად ერევანიც მოგებას ნახულობს რუსეთთან ერთობლივი საჰაერო თავდაცვის ძლიერი სისტემის შექმნით.

ერევანში კარგად იციან, თუ ბოლო წლებში როგორ ძლიერდება აზერბაიჯანის არმია, განსაკუთრებით კი შეტევითი დანიშნულების შეიარაღებით — ტანკებით, არტილერიით, სარაკეტო სისტემებითა და ავიაციით.

ოფიციალური ბაქო ერთი წუთითაც არ მალავს, რომ თუკი მრავალწლიანი მოლაპარაკება ნაყოფს არ გამოიღებს, ის ძალით შეეცდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ე. ი. საქმეში ჩართავს თავის არმიას, უპირველესად კი შემტევ შეიარაღებას. თანამედროვე ბრძოლებში კი ის ძალა იგებს, რომელიც ხელეწიფება საჰაერო სივრცეს აკონტროლებს და ჰაერიდან შეუძლია მიწისპირა მდგეგის სახმელეთო სამიზნეების განადგურება.

აზერბაიჯანის საბრძოლო ავიაცია რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც სომხეთზე ძლიერია და სწორედ მის გასანეიტრალებლად სჭირდება ერევანს ეფექტური საჰაერო თავდაცვის „ქოლგის" შექმნა როგორც სომხეთის, ისე თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის თავზე.

სომეხ სამხედროებს დიდი იმედი აქვთ, რომ რუსეთთან ერთიანი საჰაერო თავდაცვის სისტემის საბოლოო ფორმირების შემდეგ მათ ოპერატიულ ინფორმაციას ის რუსული რადიოლოკატორებიც მიანვდიან, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში არიან დამონტაჟებული და იქიდან აფიქსირებენ აზერბაიჯანის აეროდრომებიდან აფრენილ ყველა თვითმფრინავს.

თავის მხრივ, ერევანი, სავარაუდოდ, ყველა პირობას უქმნის რუსეთის რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფებს სომხეთის ტერიტორიიდან საქართველოს საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად.

როგორც ხედავთ, სომხეთისა და რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საჰაერო სივრცეების გაკონტროლების საქმეში ერთმანეთს აბსოლუტურად ემთხვევა და საამისოდ მათი ერთობლივი ქმედებები უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გააქტიურდება.

ირაკლი ალადაშვილი

რუსული C-300B ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემები გიუმრიდან საქართველოს საჰაერო სივრცესაც ზვერავენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი დაიხარჯება თავდაცვაზე მომავალ წელს სამეზობლოში

2014 წელი კარზეა მომდგარი და მომავალ წელს კავკასიის ქვეყნები სახელმწიფო ბიუჯეტებიდან სამხედრო მიზნებისთვის კიდევ მეტ ფულს დახარჯავენ.

ხარჯების მხრივ ლიდერი კვლავინდებურად აზერბაიჯანია. ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანა თავს უფლებას აძლევს და შეიარაღებული ძალების გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან თანხებს გაიღებს.

ბონის საერთაშორისო კონვერსიის ინსტიტუტის (BICC) მილიტარიზაციის გლობალური ინდექსის (Global Militarization Index 2013) კვლევების თანახმად, მსოფლიოს ათ ყველაზე მილიტარიზებულ სახელმწიფოთა შორის აზერბაიჯანი მე-8 ადგილზეა.

გამოკვლევების დროს შეფასებები გაუკეთდა ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა მთლიან შიდა პროდუქტში სამხედრო ხარჯების პროცენტი, ქვეყნის მთელ მოსახლეობაში სამხედრო სფეროში დაკავებულ მოქალაქეთა პროცენტული მაჩვენებელი, მძიმე შეიარაღების შესაბამისობა მოსახლეობასთან და სხვ.

2014 წელს აზერბაიჯანი მილიტარიზაციის ინდექსს დიდი ალბათობით უფრო გააუმჯობესებს, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი სამხედრო ხარჯების მომატებას ითვალისწინებს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამხედრო ხარჯები 2 მლრდ 967 მლნ 831 ათას მანათს (3 მლრდ 798 მლნ 89 ათასი დოლარი) შეადგენს, რაც წინა 2013 წელთან შედარებით 57 მლნ მანათით (72 მლნ 903 ათასი დოლარი) მეტია.

დაფინანსება გაზრდილი აქვს აზერბაიჯანის ყველა ძალოვან სტრუქტურას. თავდაცვის სამინისტროსთვის დაგეგმილია 1 მლრდ 330 მლნ 105 ათასი დოლარი, სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურისთვის — 157 მლნ 26 ათასი დოლარი, მობილიზაციისა და გაწვევის სახელმწიფო სამსახურისთვის — 30 მლნ 544 ათასი დოლარი, ეროვნული უშიშროების სამსახურისთვის — 135 მლნ 981 ათასი დოლარი, აგრეთვე დაფინანსება მოემატა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სახელმწიფო ფელდსაეგერო სამსახურს.

თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსთვის ცალკე გამოყოფილია 3 მლნ 752 ათასი დოლარი და ფუნდამენტური კვლევებისთვის დამატებით 5 მლნ 448 ათასი დოლარი.

გარდა ამისა, სამხედრო მნიშვნელობის კვლევები 3 მლნ 529 ათასი დოლარით და თავდაცვითი მნიშვნელობის პროექტები 1 მლრდ 498 მლნ 980 ათასი დოლარით დაფინანსდება. სავარაუდოდ, ეს ბოლო თანხა საზღვარგარეთ იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მილიტარიზაციის გლობალური ინდექსის (Global Militarization Index 2013) კვლევების თანახმად, სომხეთი მე-4 ადგილზეა ისრაელის, სინგაპურისა და რუსეთის შემდეგ.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 1 ტრლნ 237 მლრდ 900 მლნ დრამია (3 მლრდ 47 მლნ 710 ათასი დოლარი), საიდანაც 21,1% სამხედრო ხარჯებზეა გამოყოფილი, რაც დაახლოებით 261 მლრდ 969 მლნ დრამს (644 მლნ 968 ათასი დოლარი) შეადგენს და 2013 წელთან შედარებით 6%-ით არის გაზრდილი.

თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილია 192 მლრდ დრამი (472 მლნ 557 ათასი დოლარი), ანუ 10 მლრდ-ით მეტი, ვიდრე 2013 წელს.

თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანის თქმით,

სამხედრო ხარჯები მიმართული იქნება ოფიცერთა ხელფასების მომატებაზე, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციაზე, ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გადაჭრასთან.

მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ სასურველი იყო ხარჯების კიდევ უფრო გაზრდა, მაგრამ ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ სხვა საკითხების მოგვარება ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო-ტექნიკური და სტრატეგიული თანამშრომლობით გადაწყდება.

მინისტრს არ დაუკონკრეტებია, თუ ვის გულისხმობდა ამ ფრაზებში, მაგრამ მისი აზრები 31 ოქტომბერს სომხეთში რუსული 102-ე ბაზის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ანდრეი რუზინსკიმ გაზეთ „კრასნაია ზვეზდასთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოხატა: „თუ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ყარაბაღში იურისდიქციის აღდგენას, მაშინ სამხედრო ბაზა შეიძლება შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაერთოს რუსეთის სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე". ეს კი კონფლიქტში სომხეთის მხარეს რუსეთის მონაწილეობას ნიშნავს.

2014 წლისთვის საქართველოს ბიუჯეტის პროექტი შემოსავლებში 7 მლრდ 379 მლნ 800 ათასი ლარით (4 მლრდ 405 მლნ 850 ათასი დოლარი) და ხარჯებში 7 მლრდ 482 მლნ 304 ათასი ლარით (4 მლრდ 467 მლნ 47 ათასი დოლარი) განისაზღვრა.

თავდაცვის სამინისტროსთვის 660 მლნ ლარია (394 მლნ 30 ათასი დოლარი) გამოყოფილი, ანუ იმდენი, რამდენსაც 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებდა. თუმცა 2013 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობა შესაძლებელია გარკვეულწილად თავდაცვის ხარჯების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე აისახოს.

2014 წლის თავდაცვის ბიუჯეტის პროექტში 2013 წელთან შედარებით გაზრდილია დაფინანსება შრომის ანაზღაურებაზე, სამხედრო განათლებაზე, თავდაცვითი ხასიათის კვლევებზე და სხვ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მნიშვნელოვანი ფინანსური უზრუნველყოფით ადგილობრივმა სეპარატისტულმა რეჟიმებმა საკუთარი ხარჯთაღრიცხვები განერეს, სადაც თანხების ნაწილი სამხედრო მიზნებს მოხმარდება.

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 2013 წელი შემოსავლებში 5 მლრდ 29 მლნ 437 ათასი რუბლით (154 მლნ 752 ათასი დოლარი) და ხარჯები 5 მლრდ 363 მლნ 919 ათასი რუბლით (165 მლნ 44 ათასი დოლარი) განსაზღვრა, საიდანაც თავდაცვაზე 8 მლნ 703 ათასი დოლარი (ხარჯების 5,27 %), მილიციის ორგანოებზე — 10 მლნ 141 ათასი დოლარი და უშიშროების სამსახურზე კი 8 მლნ 133 ათასი დოლარი იყო გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული ხელისუფლება 2008 წლიდან სამხედრო ხარჯებზე მონაცემებს არ აქვეყნებდა. ცოტა ხნის წინ კი რუსეთიდან მიღებული კრედიტებითა და გაზრდილი შემოსავლებით 2013 წლის მაჩვენებლებში კორექტივები შევიდა და შემოსავლები 7 მლრდ 687 მლნ 171 ათასი რუბლით (236 მლნ 528 ათასი დოლარი), ხარჯვითი ნაწილი 7 მლრდ 852 მლნ 388 ათასი რუბლით (241 მლნ 612 ათასი დოლარი) განისაზღვრა.

საინტერესოა, რომ სოხუმმა ქართულ-აფხაზური ომის დამთავრების მე-20 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე 85 მლნ 815 ათასი რუბლი, ანუ დაახლოებით 2 მლნ 641 ათასი დოლარი დახარჯა.

მომავალი 2014 წლის პროექტით შემოსავალი 5 მლრდ 156 მლნ 554 ათასი რუბლით (158 მლნ 663 ათასი დოლარი) და გასავალი 5 მლრდ 519 მლნ 419 ათასი რუბლით (169 მლნ 828 ათასი დოლარი) არის განსაზღვრული.

მართალია, სოხუმი ამჯერად სამომავლო სამხედრო ხარჯების ჩვენებას მოერიდა, მაგრამ მისი მოცულობა, ალბათ, ისევ 9 მლნ დოლარის ფარგლებში დარჩება.

საქართველოს მეორე ოკუპირებული ტერიტორიის, ცხინვალის რეგიონის ბიუჯეტი 2013 წელს შემოსავალსა და ხარჯებში ერთნაირი თანხით იყო 4 მლრდ 728 მლნ 327 ათასი რუბლით (დაახლოებით 145 მლნ 490 ათასი დოლარი) განისაზღვრა, რომლის 98% რუსეთის ფინანსური მხარდაჭერაა.

ასეთი მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების წყალობით ადგილობრივი სამხედრო უწყება შეიძლება განვიხილოთ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ დანაყოფად, რომლის გაუქმებასაც ოკუპანტი ქვეყანა აპირებდა. რადგან ცხინვალმა სიმბოლური არმია შეინარჩუნა ნომინალური სამხედრო უწყებით, ამიტომ მას ხარჯები აქვს. სავარაუდოდ, ეს თანხა 2-3 მლნ დოლარს შეადგენს.

თემურ ჩაჩანიძე

სამხრეთ კავკასიაში 2014 წელს თავდაცვის ხარჯების ზრდა ისევ გაგრძელდება, თუმცა ეს რას მოიტანს — საკითხავია?

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრი“ — ამ სახელით ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში სპეცსამსახურების საქმიანობას გააკონტროლებს და მათი მუშაობის თაობაზე ხელისუფლებას შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავს. ორგანიზაციას უხელმძღვანელებს ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი ბესიკ ალადაშვილი. თუ როგორ და რა მექანიზმებით შეძლებს ორგანიზაცია ამ სტრუქტურის გაკონტროლებას, ამის შესახებ ბესიკ ალადაშვილი გვესაუბრება:

ვინ გააკონტროლებს სპეცსამსახურების საქმიანობას

— არასამთავრობო ორგანიზაცია რეალური საჭიროებიდან გამომდინარე დავაფუძნეთ. მსგავსი ორგანიზაცია საქართველოში აქამდე არ არსებობდა და გასულ წლებში ამ სფეროს საქმიანობას თუ შევაფასებთ, საკმაოდ დიდი ნაკლიც იყო. საზოგადოებრივი, დემოკრატიული ორგანიზაციის არსებობა აუცილებელია და ამის თქმის საფუძველს გასულ წლებში სპეცსამსახურების საქმიანობის ანალიზი მაძლევს, რომელიც ხშირად სახელმწიფოსთვის შავი ლაქა იყო. წინა ხელისუფლების მუშაობამ დაგვანახვა, რომ ძალიან ბევრი პრობლემა და გადაუჭრელი საკითხი არსებობს. ამიტომაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურაში.

— რა მექანიზმი ექნება თუნდაც თქვენს ორგანიზაციას სპეცსამსახურების გაკონტროლებისთვის?

— საერთაშორისო საზოგადოებრიობამ და დემოკრატიულმა ქვეყნებმა კარგა ხანია გააცნობიერეს, რომ სპეცსამსახური არის ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტი, მაგრამ თუკი ის უკონტროლოა, დიდია ალბათობა ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის შექმნისა. სტალინი სპეცსამსახურების დახმარებით გახდა ერთპიროვნული დიქტატორი. რუსეთის ხელმძღვანელობამაც არადემოკრატიული გზით შექმნა სპეცსამსახურების მონოლითური სისტემა, რეალურად, საბჭოთა კავშირის დროინდელი სპეცსამსახურების სისტემა აღადგინა, რითაც პუტინმა, ძალაუფლება გაიმყარა.

თუ როგორ შევძლებთ სპეცსამსახურების კონტროლს, ამისათვის ოთხი მექანიზმი არსებობს და მათ შორის სამი სახელისუფლებოა:

— პირველი საკანონმდებლო კონტროლია, რომელსაც უნდა ახორციელებდეს პარლამენტი, მის სტრუქტურაში არსებული უშიშროებისა და თავდაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტის მეშვეობით. საკანონმდებლო აქტების შემუშავებას ვგულისხმობ, რომლითაც ეს სფერო უნდა დარეგულირდეს.

— მეორე სახელისუფლებო კონტროლია, ან უშუალოდ სპეცსამსახურების ხელმძღვანელების სტრუქტურა, მათი დებულებები და შიდაუწყებრივი ინსტრუქცია.

— მესამე არის სამართლებრივი რეგულირება, ანუ სპეცსამსახურების საქმიანობაზე სასამართლო და პროკურატურის ზედამხედველობა, რომლებიც მათი საქმიანობის კანონთან შესაბამისობას აკონტროლებენ, რამდენად კანონიერია ამ უწყების თანამშრომელთა ქმედებები.

ცხადია, დაისმის კითხვა, ვინ უნდა გააკონტროლოს ამ სამი შტოს მოქმედება, მით უფრო, რომ ბოლო წლებში ხელისუფლების სამივე შტოს ერთი პოლიტიკური ძალა აკონტროლებდა, ამიტომ არსებობს მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკა, ე. წ. მეოთხე ხელისუფლება, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი, რაც სპეცსამსახურების მუშაობის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ამ სისტემის მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და გავრცელებას გულისხმობს.

ასევე, მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტიანი გამოყენება და საზოგადოების ინფორმირება, სპეცსამსახურების საბიუჯეტო დაფინანსების ეფექტიანად გამოყენების ანალიზი; ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სპეცსამსახურების მოქმედების ეფექტიანობის ანალიზი და ხელისუფლების სამივე შტოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი.

— მსგავსი ორგანიზაცია სხვა ქვეყნებში თუ არსებობს?

— ევროპაში არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის თავდაცვისა და სპეცსამსახურების საქმიანობაში საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებს. მისი ფუნქციაა ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის კოორდინირება და დახმარებაც კი... საქართველოში არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც თუნდაც ევროპის ცენტრთან ექნებოდა კავშირი.

წლების განმავლობაში სპეცსამსახურების თემაზე კომენტარს აკეთებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ეს ეხებოდა „ლაფანყურის სპეცოპერაციას“, „ენვერს“ თუ „რუსეთის ჯაშუშების“ დაკავების საქმეს. არადა, ასეთ თემაზე მხოლოდ იურიდიული განათლება არ არის საკმარისი. ძალიან მტკივნეული თემა იყო ფარული ჩანაწერების განადგურების საკითხი, რომლის შესასწავლად საკმაოდ ზედაპირული სამუშაო ჩატარდა. ასე რომ, ბევრჯერ ვნახეთ, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიული ცოდნა ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების მისაცემად საკმარისი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ინფორმაცია, რუკაზე, რომელზეც სხვადასხვა ფერით იყო აღნიშნული ის ქალაქები, რომელთაც ამერიკული სპეცსამსახურები უსმენდნენ, თბილისიც იყო. ასეთი რამ საერთაშორისო სამართალში მიღებულია?

— ამაში გასაკვირი არაფერია სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქართველო მნიშვნელოვანია როგორც ამერიკული სპეცსამსახურების, ისე რუსეთის, თურქეთის, ირანის, არაბული ქვეყნების, ისრაელის, სომხეთისა და საზოგადოდ, გეოპოლიტიკური თამაშებით დაინტერესებული ქვეყნებისთვის. მათი სადაზვერვო წარმომადგენლობა დიპლომატების, ჟურნალისტებისა და სხვა პროფესიის პირთა საფარქვეშ მოქმედი დაზვერვის თანამშრომლები არიან, რომელთაც საკმაოდ დიდი აგენტურული ქსელი აქვთ.

მცდარია შეხედულება, თითქოს ჩვენი მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურები შეუზღუდავად უნდა მოქმედებდნენ საქართველოში. როგორც დადასტურდა, ისინი უსმენდნენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს პირებს, მაგალითად, ანგელა მერკელს. ანუ სწორია გამოთქმა: „არ არსებობს მეგობარი სპეცსამსახურები, არსებობს მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურები“.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ოპონენტი ქვეყანა გამოვყოთ. რა თქმა უნდა, რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ, რადგან სურს ევროპულ გზას ჩამოგვაშოროს და თავის რელსებზე გადაგვიყვანოს. საქართველოს სპეცსამსახურების ძლიერება სწორედ ასეთი საკითხების მიმართ თანამიმდევრულ მუშაობაში გამოიხატება.

ლალი პაპასკირი



გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკული სპეცსამსახურები თბილისსაც უსმენდნენ



ინტერნეტსივრცე სპეცსამსახურებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის მოპოვების საშუალებას აძლევს

ალკოჰოლის მიღება აქვეითებს ღვიძლის მუშაობას

თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პათოლოგიური მდგომარეობაა ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, რომელთა გამომწვევი მიზეზები მეტად მრავალფეროვანია. ამათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას. ეს უკანასკნელი [illegible] სტადიებზე უკავშირდება ჰეპატოსტეატოზის განვითარებას. ამ დროს ღვიძლის უჯრედებში-ჰეპატოციტებში მიმდინარეობს ბიოქიმიური პროცესების სხვადასხვა დარღვევები. ღვიძლში ჰომეოსტაზის დარღვევას ჯერ მივყავართ ცხიმის უჯრედშიდა დაგროვებასთან. ეს ღვიძლის პარენქიმის დარღვევის პირველი ეტაპია, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ვლინდება, თუ მას არ დაერთო ანთება (სტეატოჰეპატიტი). ქრონიკულად მიმდინარე მუდმივად არსებული ანთებითი პროცესების გამო დროთა განმავლობაში ჰეპატოციტებში ვითარდება ბალონური დეგენერაცია, ხდება ნეკროზული დაზიანებები, რასაც თანდათან მივყავართ შეუქცევად ცვლილებებამდე, ჯერ-ჯერობით ჯერ, ფიბროზის ჩამოყალიბებამდე. ღვიძლის ფიბროზი ეს არის ღვიძლის პარენქიმის ჩანაცვლება შემაერთებელი ქსოვილით, რაც საბოლოოდ იწვევს ღვიძლის ფუნქციების დარღვევას და პორტული ჰიპერტენზიის ჩამოყალიბებას. ვითარდება ციროზი-ღვიძლის დაავადებების ბოლო სტადია. იგი შეუქცევადი პროცესია. ავადმყოფთა 10-15%-ს ამ ფონზე უვითარდება ჰეპატოცელულური კარცინომა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია და სხვადასხვაგვარად რეაგირებს ალკოჰოლის მიღებაზე. ღვიძლის დაზიანების ხარისხი და სიმძიმე ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში ბევრად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე, ალკოჰოლის დოზასა და მისი მოხმარების ხანგრძლივობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანების კავშირი მრავლობით თანხმლებ პათოლოგიებთან, რაც ადასტურებს ალკოჰოლის ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანოების ყველა უჯრედის მეტაბოლიზმზე.

ამრიგად, ეთანოლით ქრონიკულ ინტოქსიკაციას მივყავართ ორგანიზმში ყველა სასიცოცხლო სისტემაში დამახასიათებელი სტრუქტურული ცვლილებების განვითარებამდე. მათ შორის არის არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, რაც საბოლოოდ იწვევს გულის ქრონიკულ უკმარისობას, სომატონევროლოგიური პათოლოგიების განვითარებას ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებით.

სომატონევროლოგიური გართულებების თერაპია ალკოჰოლური დამოკიდებულების დროს წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მიუხედავად ფარმაკოლოგიური პრეპარატების მრავალფეროვნებისა, თანადროულად ჰეპატოპროტექტორული და ნოოტროპული მოქმედების სამკურნალო საშუალებები არც თუ ისე ბევრია. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს პრეპარატ ჰეპა-მერცს.

პრეპარატი ჰეპამერცი ხასიათდება გამოხატული დეზინტოქსიკაციური თვისებებით და საკმაოდ ეფექტურია ალკოჰოლური აბსტინენციის სინდრომის დროს სომატოვეგეტატიური და ნევროლოგიური დარღვევების ასალაგებლად. მას ახასიათებს გამოხატული ჰეპატოპროტექტორული და ზომიერი ნოოტროპული აქტივობა.

როგორც ცნობილია, ქრონიკული ალკოჰოლური ინტოქსიკაციისას პაციენტები უჩივიან ძლიერ საერთო სისუსტეს, ძილის დარღვევას, ძილიანობას, გაფანტულობას, კონცენტრირების შესუსტებას. ყველა ზემოთ აღნიშნული უკავშირდება ღვიძლის ალკოჰოლურ გადატვირთვას, რის გამოც ღვიძლი ვეღარ ართმევს თავს ტოქსინების გაუვნებელყოფას. ეს ტოქსინები მიეწოდება ორგანიზმს როგორც გარედან, ასევე წარმოიქმნება ორგანიზმშიც (მაგ., ამიაკი). ჰეპა-მერცი ბოჭავს ტოქსინებს და ამით იცავს ღვიძლს, ეხმარება მას თავისი ფუნქციების შესრულებაში, ამიტომ პირები, რომლებიც ჭარბად მოიხმარენ ალკოჰოლს პერიოდულად უნდა იტარებდნენ თერაპიას ჰეპა-მერცით.

თამარ რუხაძე
ექიმი ინფექციონისტი

ჰეპა-მერცი - ჯკვიანი პრეპარატი ღვიძლისთვის

L-ასპარტატი, L-ორნითინი

დამზადებულია გერმანიაში

ALKOHOLURI INTOKSIKACIA SAXIFIXIA!
ALKOHOLURI SASMELIS REGULARULAD
MIIRIOBIBISAS MAOLSLIA RVIZLIS DAZIANEBIS RISKI.

ჰეპა-მერცი:

- ❖ ბოჭავს ტოქსინებს და იცავს ღვიძლს დაზიანებისგან
- ❖ აღადგენს ღვიძლის უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას
- ❖ აიოლებს ღვიძლის მუშაობას და აუმჯობესებს ნაბახუსევის შემდგომ თვითმეგრძნობას

ჰეპა-მერცის თერაპიული კურსის ჩატარება რეკომენდებულია ალკოჰოლის მიღების შემდგომი სიმპტომების შემცირებისთვის, აგრეთვე, ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანების პროფილაქტიკისთვის და მკურნალობისთვის, ალკოჰოლის მიღებამდე და მის შემდეგ.

ჰეპა-მერცი 1-2 პაკეტი 2-3-ჯერ დღეში 10-30 დღე

1 პაკეტი იხსნება 200 მლ სითხეში და მიიღება პერორალურად ან ფორთოხლის სასიამოვნო გემო

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. კონკრეტული პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი და დასავლეთი: გეოპოლიტიკური ბრძოლა წესების გარეშე?

ნოემბრის ბოლოს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გაიმართება მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიება: ევროკავშირის „აღმოსავლეთპარტნიორობის“ სამიტი.

ევროკავშირის ლიდერები და ლიტვის ხელისუფლება დიდად იყვნენ მონდომებული ექვსი ქვეყნის: აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებით. რუსეთი კი ზეწოლას ახდენდა „აღმოსავლეთპარტნიორობის“ მსურველ ქვეყნებზე და მათგან ევროკავშირთან დაახლოებაზე უარის თქმას მოითხოვდა. სამწუხაროდ, რუსეთს მათზე ზემოქმედების საკმაო ბერკეტები აქვს.

სომხეთის ხელისუფლების ამასწინანდელმა გადაწყვეტილებამ, ევროკავშირის ნაცვლად რუსეთს „ჩახუტებოდა“, კიდევ უფრო მაგრად და „საბაჟო კავშირში“ შესულიყო, ევროკავშირი შეაშფოთა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ძმები, „ჰაოსის“ შთამომავლები, „მრავალ ინსტრუმენტზე ისე კარგად უკრავენ“, რომ „დასავლეთის“ გულის მოგებას მალევე შეძლებენ და კვლავ მოგებულნი დარჩებიან: „დათვიც“ მათთან იქნება და „ბებერი ქალბატონიც“.

ბელორუსიისა და აზერბაიჯანისთვის ვილნიუსში სიახლე არაფერი იქნება, რადგანაც მათ თავად არ უნდათ ეს.

„ევროპის უკანასკნელი დიქტატორი“, ბელორუსიის პრეზიდენტი ლუკაშენკო, თითქმის ოცი წელია, ოსტატურად ბალანსირებს რუსეთსა და ევროპას შორის და არც რამე საფრთხე ჩანს, რომ ამ „დიპლომატიური ბაგირიდან“ კიდევ ოცი წელი ჩამოვარდეს.

ჩვენს კეთილ მეზობელ აზერბაიჯანს, რომელიც თავის ეროვნულ ინტერესებს არასოდეს ივიწყებს, ევროკავშირისგან არც შაქარყინული სჭირდება (თავადაც უამრავი აქვს!) და არც მოწოდება-ულტიმატუმები დემოკრატიულობისკენ. ილჰამ ალიევი ძალზე ჭკვიანურად აგრძელებს ჰეიდარის საგარეო პოლიტიკას, თუმცა დაკარგული ტერიტორიებისა და ასიათასობით დევნილის პრობლემების „დამოკლეს მახვილი“ ადრე თუ გვიან ძალზე დიდ საფრთხეს შეუქმნის.

ვილნიუსში უნდა განეხილათ უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირებული წევრობის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი.

თავი არ უნდა მოვიტყუოთ და უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი „ექვსეულიდან“ ევროპისთვის პრიორიტეტული უკრაინა იყო. ვილნიუსის სამიტამდე თითქმის მთელი ყურადღება უკრაინისკენ იყო მიმართული, რომელსაც ევროკავშირთან ურთიერთობა დაეძაბა ქვეყნის ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოს პატიმრობის გამო, რომლის სასწრაფო გათავისუფლებას (ფორმალურად გერმანიაში სამკურნალოდ გაშვებას) ევროკავშირი უკრაინისგან ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა. ამით სარგებლობდა რუსეთი და „ობობას ქსელს“ ქსოვდა იანუკოვიჩის ხელისუფლების გასაბმელად.

მოსკოვმა თავის მიზანს მაინც მიაღწია და სამიტის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე კიევმა უარი განაცხადა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე, რითაც ევროპას იმედები გაუცრუა.

ასე რომ, ვინღა დარჩა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ექვსეულიდან? რეალურად მხოლოდ მოლდავეთი და საქართველო.

რუსეთის იმპერიული ფანტაზიები

რუსეთის უმთავრესი პრობლემა, ისტორიულად და ამჟამადაც, მისი იმპერიული ამბიციებია. ეს ქვეყანა ყოველთვის ძნელად თმობს იმპერიულ აზროვნებას და მესიანურ როლზე პრეტენზიას არა მარტო სლავურ სამყაროში, არამედ მისი უახლოესი მეზობლებთანაც.

„ეს არის ჩვენი ბოლო და გადამწყვეტი ბრძოლა“ — ეს ციტატა „კომუნისტური ინტერნაციონალიდან“ რუსეთის ხელისუფლების ლოზუნგად და ფარულ მანიფესტად არის ქცეული.

თუ დავაკვირდებით, ამ მოწოდებით სულდგმულობდა რვა ათეული წელი სახელწოდებით საბჭოთა,

ხოლო შინაარსით რუსეთის იმპერია. ამჟამადაც რუსეთი ცდილობს ყველანაირი, დაშვებული თუ მიუღებელი ხერხებითა და მეთოდებით იბრძოლოს საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების რეალიზაციისთვის. ეს დადებით ფაქტად მანამდე შეიძლება დარჩეს, სანამ სხვა ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას არ „დაეჯახება“. შემდეგ კი რუსეთის ეს სტრატეგია უკვე იმპერიული პოლიტიკის მექანიზმად გადაიქცევა. საგარეო პოლიტიკაში რუსეთი ყოველთვის უფრო „სტაიერია“, ვიდრე „სპრინტერი“. ეს ქვეყანა ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდებზე გათვლილ პოლიტიკას აწარმოებს, რაც არა მარტო მისი უზარმაზარი და უკიდეგანო ტერიტორიით, არამედ უკვე მოსახლეობისა და ხელისუფლების მენტალიტეტით იყო და არის განპირობებული. საუკუნეების განმავლობაში განვითარდა და ჩამოყალიბდა საკმაოდ საინტერესო ფენომენი — ერთი შეხედვით მოუხეშავი და „ბუნჩულა დათვის“ ვერაგობა და ეშმაკობა“, როცა შეიძლება დაიხიო უკან, დამარცხდე და დათმო ცალკეული ბრძოლა, მაგრამ მოიგო ომი. გავიხსენოთ თუნდაც ნაპოლეონისა და ჰიტლერის დამარცხება უკვე წაგებულ ომებში.

რად უნდა მგელს ცხვრის ქურქი?

პუტინის პრეზიდენტობისას მალევე გამოიკვეთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი ტენდენცია — მისი გეოპოლიტიკური ინტერესები უფრო გაცხადდა, უფრო აგრესიული გახდა და ელცინისა და „ადრინდელი პუტინის“ პერიოდისთვის დამახასიათებელი „სიმორცხვე“ დაკარგა. რუსეთი უკვე აღარ თამაშობს ცხვრის ქურქში გახვეული მგლის როლს. ეს მას აღარ სჭირდება. მის ქმედებებში მგლურმა ინსტინქტმა იმძლავრა და მოჩვენებითი წესიერება რაღად უნდა? მსოფლიო არენაზე ის უკვე აცხადებს: „მსურს ამ რეგიონში ჩემი სტრატეგიული ინტერესები დავაფიქსირო, მსურს ამა და ამ ქვეყანაში მყავდეს მოკავშირე (რეალურად მარიონეტი. — ბ. ა.) ხელისუფლება. ამას მივაღწევ ჩემს ხელთ არსებული ყველა (იგულისხმება: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სპეცსამსახურების და ა.შ. – ბ.ა.) აშკარა თუ ფარული ბერკეტით“.

გადამწყვეტი ბრძოლა ვილნიუსის შემდეგ იწყება

ვილნიუსში დაგეგმილი იყო ევროკავშირის საქართველოსა და მოლდავეთთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება, აქედან კი სრულფასოვანი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ევროპაში და ჩვენთან იმედოვნებენ, რომ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ერთ წელზე ნაკლებ ვადაში, 2014 წლის სექტემბრისთვის მოხერხდება.

თუმცა კაცი ბჭობდა და კრემლი იცინოდაო. ევროპამ ჯერ სომხეთი, შემდეგ კი უკრაინა დაკარგა კარგა ხნით, ჯერი ახლა საქართველოზეა?

რუსეთის სპეცსამსახურების მოსალოდნელი ოპერაციები საქართველოში

გვსურს თუ არა, უკვე ორ ასეულ წელზე მეტია საქართველოში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ „ამინდს“, სამწუხაროდ, ჩრდილოელი მეზობელი განაპირობებს.

ვილნიუსში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მთავარი მიზანი იქნება არ „[illegible]“ საქართველო მთავარ დოკუმენტამდე ხელმოსაწერად.

რა მეთოდები აქვს რუსეთს ამისთვის? სამწუხაროდ, არაერთი.

1. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება

მტერ-მოყვარემ კარგად იცის, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. უცხოელ ბიზნესმენებს კი მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყანაში სურთ კაპიტალის დაბანდება.

ამიტომაც საქართველოში ეკონომიკური, სოციალური და შემდეგ პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით რუსეთის სპეცსამსახურების მთავარი ამოცანა გახდება მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად არასაიმედო და არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნა და განმტკიცება.

რუსეთის სპეცსამსახურები არ მოერიდებიან ფარული სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩატარებასა და სტრატეგიული თუ სამოქალაქო ობიექტების მწყობრიდან გამოყვანას. ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით მოსახლეობაში უკმაყოფილებას პოლიტიკური პარტიების მოთხოვნების რადიკალიზაცია დაემატება და საქართველოში არასტაბილურობა დაისადგურებს.

გათვლა მარტივია – ეკონომიკურ კრიზისს უმუშევრობა და მოსახლეობის სოციალური პირობების უფრო გაუარესება მოჰყვება, რასაც მსოფლიო ფინანსური და ენერგეტიკული კრიზისის შედეგად გაზრდილი ფასებიც დაემატება. ხალხი ქუჩაში გავა ჯერ სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებით, შემდეგ პოლიტიკური ლოზუნგები იმძლავრებს და ვითარება უმართავი, სინამდვილეში კი რუსეთის საგარეო დაზვერვის, ეფ-ეს-ბესა და გე-ერ-უსგან მართვადი გახდება.

ამგვარი სპეცოპერაციების დაგეგმვისა და ჩატარების გამოცდილება კი რუსეთის სპეცსამსახურებმა მემკვიდრეობით მიიღეს საბჭოთა კა-გე-ბე-სა და გე-ერ-უსგან.

2. შიდაპოლიტიკური ვითარების არევა

ეკონომიკური საბოტაჟისა და დივერსიული ოპერაციების პარალელურად რუსეთის სპეცსამსახურები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებული პარტიების ურთიერთდაპირისპირების გამოწვევით საქართველოში შიდაპოლიტიკური სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვას შეეცდებიან.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა, რომელთაც დღეს ფაქტობრივად განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვთ, უნდა გაითვალისწინონ, რომ საზოგადოებრივი დაპირისპირების „კოცონი“ ყოველთვის პოლიტიკური დაპირისპირების „ნაპერწკლიდან“ ინთება და შემდეგ უმართავ და ბობოქარ „ხანძარში“ გადაიზრდება. ამ პირობებში ევროკავშირსა და NATO-სთან დაახლოება ჩვენთვის კვლავ ოცნებად დარჩება.

3. შეტევა NATO-სა და ევროკავშირიდან

საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაციებიდან ერთ-ერთი უცილობლად იქნება ევროკა-

ვშირის წევრ ქვეყნებს შორის საქართველოსთან სრული ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული განხეთქილების შეტანა.

ამისთვის უკვე ევროპაში მოქმედი რუსეთის აგენტურა „იზრუნებს". ეს კი, მკითხველი დარწმუნებული იყოს, რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდება, იმიტომ, რომ მრავალი ათეული წელია ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურებს „დავერბოვკებული" ჰყავდათ და ჰყავთ ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნების მრავალი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და მეცნიერი. რუსეთის სპეცსამსახურებმა აგენტურა მემკვიდრეობით მიიღეს, შემდგომ წლებში თავადაც ბევრი დაამატეს და დღეისთვის, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ევროკავშირის ქვეყნების ბევრ პოლიტიკურ პარტიას, მასმედიის საშუალებას და ჟურნალისტს აკონტროლებენ.

ჩვენ დიდ ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ვერ გაურკვევია საკუთარი იმპერიული ინტერესები და მიზნები, როგორ შენიღბოს უფრო კარგად მეზობლებზე „ზრუნვითა და ფიქრით", ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფუნქცია არ უნდა დავუკარგოთ — რუსეთის იმპერია მეზობლებთან უხეში და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამო, ყოველთვის იყო ერთგვარი გამომაფხიზლებელი და შემაკავშირებელი. „ჩრდილოელი დათვის" მოუხეშავი ქმედებები აფხიზლებდა მის მეზობლებს და შეკავშირებისაკენ უბიძგებდა.

წინ მომავლისკენ კვლავ ფართოდ დახუჭული თვალებით?

ამ ვითარებაში ბევრია დამოკიდებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და აშშ-ზე: მათ ულტიმატუმებით არ უნდა უბიძგონ საქართველოს ხელისუფლებას საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლისკენ.

ამჟამად დასავლეთის ზოგიერთი მოქმედება, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობის განწყობისა და მოლოდინის არაადეკვატურია.

სამწუხაროა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის ცივი დამოკიდებულება საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი კვლავ გრძელდება. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, როცა პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაციაზე აშშ-ის ხელისუფლების ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობას გადავავლთ თვალი.

საკმაოდ დაბალი რანგის ჩინოვნიკებით დაკომპლექტებულ დელეგაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური(!) ფიგურა იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში თომას მელია. მისი გამოგზავნა სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი აშშ-ის ხელისუფლების ეჭვს. აშშ აქცენტს კვლავ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე აკეთებს, ვიდრე საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირების გაღრმავებაზე.

დიპლომატიური კურიოზებიც თვალში საცემია. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი გვაიმედებდა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მიულოცავდა ახალ პრეზიდენტ გიორგ მარგველაშვილს, თუმცა მხოლოდ ინაუგურაციის წინაღამეს გაავრცელა აშშ-ის საელჩომ პრეზიდენტ ობამას მილოცვის ტექსტი.

ფაქტობრივად, აშშ-მ ყველაზე ბოლოს გაგზავნა დიპლომატიური ჟესტი, რომელსაც [illegible] გულმოდგინედ აკვირდება.

რატომ აჭიანურებდა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე დიპლომატიაში მიღებული ეტიკეტის დაცვას? ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ჯერ კიდევ 12 ნოემბერს საქართველოს ცესკომ ოფიციალურად გამოაცხადა საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები.

ცალკე განხილვის საგანია დასავლეთის მოთხოვნა ყბადაღებული კოალიციის აუცილებლობასა და პოლიტიკური დევნის შეწყვეტაზე. ეს ულტიმატუმები ქართველ საზოგადოებაში გაგებულია, როგორც ხელშეუხებლობის ინდულგენცია „ნაცმოძრაობის" ლიდერებისთვის.

ამგვარი მიდგომით დასავლეთი, ალბათ, მისდა უნებურად უბიძგებს საქართველოს რუსეთთან „ჩახუტებისკენ".

თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ჩვენი ხელისუფლების პოზიცია იქნება: აუცილებელია მომზადებული შევხვდეთ რუსეთისგან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებს, რისთვისაც დრო არ უნდა დავკარგოთ და წინასწარ შევიმუშაოთ ადეკვატური საპასუხო სვლები. პარალელურად მეტი პროფესიონალიზმით უნდა დავანახოთ დასავლეთს სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობა და ამ პროცესის შეფერხების გამო მოსალოდნელი შიდაპოლიტიკური და სოციალური საფრთხეები.

P.S. როდესაც ეს სტატია დაიწერა, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ვილნიუსის სამიტის შედეგები.

ბესიკ ალადაშვილი



ვილნიუსის სამიტისგან საქართველო ახალი მთავრობა ბევრს მოელის

INTERPOLITEX-2013

სატვირთო „ურალის“ ბაზაზე შექმნილი შეჯავშნული Урал-4320ВВ. მისი პრეზენტაცია სექტემბერში Russia Arms EXPO 2013-ზე გაიმართა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დაკვეთით შექმნილი ახალი „ურალი“ (თვლების ფორმულა 6X6) 18 ტ-ს იწონის და 18 კაცს იტევს. რუსული სტანდარტით დაცვის დონე მე-5 კლასს შეესაბამება, რაც 5-10 მ-დან ნასროლ 7,62X54 მმ-იან ფოლადისგულარიანი ტყვიის შეკავებას გულისხმობს. საპასუხო ცეცხლის გახსნა მანქანაში მსხდომებს მინებში დატანებული სათოფურებიდან (მათ შორის საქარე მინიდანაც) შეუძლიათ. კორპუსის ფსკერი 2 კგ ტროტილის აფეთქებას უძლებს.

22 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა თავდაცვითი ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებების საერთაშორისო გამოფენა Interpolitex-2013, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. წლევანდელი ექსპოზიცია რიგით მე-17 იყო. ამჯერად მასში თავდაცვითი ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე 26 ქვეყნის 442 კომპანია მონაწილეობდა.

საგამოფენო პავილიონებში სხვადასხვა სახისა და პროფილის სამხედრო და საპოლიციო აღჭურვილობის ნახვა შეიძლებოდა. მათ შორის იყო საპოლიციო დანიშნულების ჯავშანმანქანები, მსუბუქი შვეულმფრენები, კატარღები, სამაშველო საშუალებები, სხვადასხვა წონის უპილოტო საფრენი აპარატები, სამედიცინო, სახანძრო, კავშირის, საშტაბო-სამეთაურო მანქანები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები), სნაიპერული და საიერიშო შაშხანები, კარაბინები, პისტოლეტები.

ავიაშოუებისა და მსხვილი სამხედრო გამოფენებისგან განსხვავებით, მსგავსი ტიპის გამოფენებზე მსხვილი კონტრაქტები არ ფორმდება. Interpolitex-ს კომპანიები საკუთარი პროდუქციის დემონსტრირებისა და პოტენციური კლიენტების მოზიდვის საშუალებად იყენებენ. რეკლამირების მიზნით გამოფენაზე იმართება სემინარები, კონფერენციები, პრეზენტაციები.

აღსანიშნავია, რომ სხვა მსგავსი ტიპის გამოფენათა შორის Interpolitex-ი იმ მცირე კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც პავილიონების გარდა, ჯავშანტექნიკის, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეცდანიშნულების რაზმების პრაქტიკული მოქმედებებისა და სროლების ხილვა პოლიგონზე შეიძლება.

გამოფენამ მუშაობა 25 ოქტომბერს დაასრულა.

ალექსანდრე აფაქიძე

საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა გაღრმავდა. „მისტრალების“ შეძენის შემდეგ, რუსები ფრანგული ჯავშანმანქანების შეძენას და შემდგომ ლიცენზირებულ წარმოებასაც აპირებენ. საუბარია Panhard-ის ფირმის VBL-ის ტიპის მსუბუქ ჯავშანმანქანებზე. კონტრაქტი ფრანგულ მხარესა და რუსულ ეფ-ეს-ბეს შორის წლის დამდეგს გაფორმდა და დაახლოებით 500 მანქანის შეძენას ითვალისწინებს. მსუბუქი VBL დაახლოებით ოცი ქვეყნის შეიარაღებაშია. მას ავღანეთში ISAF-ის კონტინგენტიც იყენებს.

ფრანგულ-რუსულ მოდიფიკაციას ნიშნული ASTAIS-VBL ექნება. სერიული წარმოება ქალაქ ნაბერეჟნიე-ჩელნიში დაიწყება და მომავალ წელს საცდელად 5-10 მანქანა უნდა დამზადდეს. სერიულ წარმოებას კი გამოცდის შემდეგ გადაწყვეტენ.

აღჭურვილი VBL-ი 4 ტ-ზე ოდნავ მეტს იწონის და სამკაციანი ეკიპაჟი ემსახურება. რუსები მის გამოყენებას სადაზვერვო დანიშნულებით აპირებენ. მანქანა დაცურავს და დიდი მობილურობით გამოირჩევა. ერთადერთი ნაკლი შედარებით სუსტი ჯავშანია, რომელიც STANAG 4569 სტანდარტის 1-ელ დონეს შეესაბამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავშანმანქანა СБА-60-КА (6x6) Булат-ის ახალი მოდიფიკაციაა. საბაზო ვარიანტთან შედარებით მცირედით გაზრდილია მანქანის სიმაღლე სადესანტო ნაკვეთურის ადგილას, სადაც 8 კაცი თავსდება. საჭიროების შემთხვევაში მანქანაში მყოფ პირებს ცეცხლის გახსნა ბორტებში დატანებული სათოფურებიდან შეუძლიათ.

გამოფენაზე მრავლად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა წონისა და ტიპის, მათ შორის ასეთი უჩვეულო კონსტრუქციის უპილოტო საფრენი აპარატები.

რუსული სნაიპერული შაშხანა СВ-98-ის მცირე პარტია სომხეთმა შეიძინა. რუსეთში მისი ძირითადი ოპერატორები სპეცდანიშნულებისა და სწრაფი რეაგირების რაზმები არიან. სპორტული შაშხანის ბაზაზე შექმნილი СВ-98 მოიხმარს 7,62X54 კალიბრის ვაზნებს და მისი სიგრძე 1200 მმ-ია. აქედან 650 მმ ლულაზე მოდის. არაავტომატური მოქმედების (ყოველი გასროლის შემდეგ გადატენა ხელით ხდება) შაშხანას 10-ვაზნიანი მჭიდი აქვს. არსებობს 0.338 Lapua Magnum 8,6x70 და NATO-ს სტანდარტის 7,62X51 კალიბრის ვაზნებზე მორგებული ვარიანტებიც.

ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

აზერბაიჯანის არმიას მალე 2С31 Вена-ს ტიპის თვითმავალი საარტილერიო ქვემეხები დაემატება

აზერბაიჯანი

■ უახლოეს თვეებში აზერბაიჯანი რუსეთიდან მიიღებს БМП-3-ის ბაზაზე აწყობილ 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო ქვემეხ 2С31 Вена-ს პირველ პარტიას. 2012 წელს ხელმოწერილი კონტრაქტით აზერბაიჯანის არმია 2014 წლის ბოლომდე 18 „ვენით" შეივსება.

■ 26 ოქტომბერს ფრონტის ხაზის ტერტერის მიმართულებაზე აზერბაიჯანის არმიის პრაპორშჩიკს სომხების მხრიდან ნასროლი ტყვია თავში მოხვდა და გარდაიცვალა.

■ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში ახალმა თავდაცვის მინისტრმა საკადრო ცვლილებები განახორციელა: თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად, გენერალ-მაიორი რამიზ თაიროვი, ხოლო ყოფილი სარდალი, გენერალ-მაიორი ალთაი მეჰდიევი კი შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიის უფროსად დაინიშნა; მე-5 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსობა პოლკოვნიკმა ჰიქმეთ ჰასანოვმა, ხოლო მისმა წინამორბედმა, გენერალ-მაიორმა ჰეიდარ პირიევმა კი ჰეიდარ ალიევის სახელობის უმაღლესი სამხედრო სკოლის უფროსობა ჩაიბარა; თანამდებობა დატოვა მინისტრის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ჩინგიზ მამედოვმა; დაზვერვის სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი რაგიმ ჯაფაროვი, პოლკოვნიკმა იდგარ მაზანოვმა შეცვალა; თავდაცვის სამინისტროს ინსპექციის სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ მამედ ბეიდულაევის ადგილი პოლკოვნიკმა ფაჭრეddინ ჯაბრაილოვმა დაიკავა.

■ ჩვეულებრივ შეიარაღებაზე გაეროს რეგისტრის თანახმად 2002-12 წლებში აზერბაიჯანმა 264 ტანკი შეიძინა. მათ შორის ბელორუსიაში — 153, რუსეთში — 62, უკრაინაში — 48 და სლოვაკეთში ერთი. ძირითადად, იყიდეს Т-72 ტიპის ტანკები. რეგისტრში არ მოხვდა 2013 წელს რუსეთში ნაყიდი Т-90-ები.

■ მომავალი წლიდან აზერბაიჯანი ახალი სამხედრო ხომალდების მშენებლობას შეუდგება. ბაქოს გემთსაშენმა ქარხანამ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებს განსახილველად სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ხომალდის პროექტი შესთავაზა. აზერბაიჯანი 2020 წლიდან კასპიის ზღვაში საკუთარ შესაძლებლობათა გაზრდას აპირებს და ამასთან დაკავშირებით ბაქოს მახლობლად აიგო ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზა, ჩამოყალიბდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებათა დივიზიონები. მომავალ წელს რუსეთიდან Уран-Е ტიპის სახომალდო სარაკეტო კომპლექსები უნდა შემოვიდეს.

■ 8 ნოემბერს ბეილაგანის რაიონში აზერბაიჯანის არმიის ტანკი ავტობუსის გაჩერებას დაეჯახა და იქვე მდგომი ორი ავტომობილი თხრილში გადაყარა. დაშავებულები არ არიან.

■ მომავალ წელს უნდა დასრულდეს ოპერატიულ შესაძლებლობათა ბრიგადის ფორმირება, რომელიც NATO-ს ძალებთან ერთობლივად იმოქმედებს. ბრიგადის შემადგენლობაში იქნება სამშვიდობო ბატალიონიც, ხოლო სამხედრო ტექნიკა ალიანსის წევრი ქვეყნების არმიათა შეიარაღების ნიმუშებით იქნება წარმოდგენილი.

■ აზერბაიჯანი აპირებს სამხედრო ატაშეების აპარატის გახსნას ბულგარეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროში, ბრაზილიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და პოლონეთში.

■ 16 ნოემბერს ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა რამილ უსუბოვმა, შინაგანი ჯარის პირად შემადგენლობას წარუდგინა ახალი სარდალი — გენერალ-მაიორი შაჰინ მამედოვი. წინა სარდალი კი, გენერალ-ლეიტენანტი ზაქირ ჰასანოვი, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის გადაწყვეტილებით თავდაცვის მინისტრად დაინიშნა.

■ აზერბაიჯანი თურქული წარმოების შვეულმფრენ Т-129 ATAK-ით დაინტერესდა და ამასთან დაკავშირებით თურქები ბაქოში საერთაშორისო გამოფენა ADEX-2014-ზე შვეულმფრენის შე-

საკვებით მოწამვლას ორივე სომხეთის არმია დადაურჩა

საძლებლობათა დემონსტრირებას აპირებენ.

სომხეთი

■ მალე სომხეთში რუსულ სამხედრო ბაზაზე განთავსებულ МиГ-29-ების ავიაესკადრილიას შვეულმფრენთა ესკადრილია დაემატება. ამის გარდა სომხეთთან მიღწეული შეთანხმებით რუსმა მფრინავებმა „ბაგრამიანის“ პოლიგონზე თვითმფრინავებიდან ბომბარდირებისა და მართვადი რაკეტებით პრაქტიკული ვარჯიშის უფლება მიიღეს.

■ ბრიუსელში სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა მოლაპარაკება გამართა იტალიელ კოლეგასთან ლიბანში გაეროს დროებითი კონტინგენტის (UNIFIL) შემადგენლობაში სომხური სამშვიდობო ქვედანაყოფის მონაწილეობის თაობაზე. მომავალ სამშვიდობო ოპერაციაში სომეხ ცისფერჩაფხუტიანთა მოვალეობა UNIFIL-ის შტაბბინის დაცვა იქნება.

■ 3 ნოემბერს ღამით ერევანში სამხედრო კლინიკური ჰოსპიტლიდან სამკურნალოდ მყოფი 4 ჯარისკაცი გაიქცა. გაქცევას წინ უსწრებდა ჩხუბი, შემდეგ ჯარისკაცები თავს დაესხნენ მორიგე ექიმს და ქუჩაში გაცვივდნენ, სადაც გამვლელ ავტომობილებს აჩერებდნენ და მძღოლებს ჰოსპიტლიდან რაც შეიძლება შორს წაყვანას სთხოვდნენ. მოგვიანებით ჯარისკაცების დაკავება მოხერხდა და ერთ-ერთის მამის თქმით, გაქცევის მიზეზი ჰოსპიტლის უფროსისა და მისი ხელქვეითებისგან ჯარისკაცების ცემა გახდა.

■ 9 ნოემბერს ქალაქ არარტში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში უხარისხო ქათმის ხორცისგან დამზადებული სადილით 40 ჯარისკაცი მოიწამლა.

■ 18 ნოემბერს სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სამინისტრო მუშაობს არმიაში თამბაქოს მოხმარების შესამცირებელ პროგრამაზე და ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად ფიზიკური დატვირთვის გაზრდა მიაჩნია.

სირიელმა რეპატრიანტებმა აფხაზეთში ქართველი ლტოლვილის სახლი სამლოცველოდ გადააქციეს

კონფლიქტის რეგიონები

ოკუპირებული აფხაზეთი

■ 22-24 ოქტომბერს აფხაზეთში სოხუმის სამხედრო კომისარიატისა და რეზერვის მე-4 და მე-5 მსროლელი ბრიგადების სამეთაურო-საშტაბო სწავლება ჩატარდა.

■ 27 ოქტომბერს სოხუმის უმაღლესმა საერთოსაჯარისო სამეთაურო სასწავლებელმა შექმნის მე-13 წელი აღნიშნა. არსებობის მანძილზე სასწავლებელმა 150-ზე მეტი ოფიცერი მოამზადა.

■ გრძელდება სირიიდან რეპატრიანტთა მიღება. 14 ნოემბრის მდგომარეობით მათმა რაოდენობამ 522 კაცი შეადგინა, საიდანაც 50% აფხაზური და აფხაზურ-ადიღეური ოჯახია, ხოლო დანარჩენი კი ადიღეური. რეპატრიანტთა მთავარი პრობლემა კვლავ განსახლებაა, რადგანაც ბევრი მათგანი შემოთავაზებულ ბინებსა თუ სახლებზე სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

■ 28 ოქტომბერს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის სარდლის თანამდებობა დატოვა გენერალ-მაიორმა ალექსანდრ შუშუკინმა. მისი ადგილი პოლკოვნიკმა მიხაილ პოლიშჩუკმა დაიკავა.

■ 6 ნოემბერს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის დასათვალიერებლად ცხინვალის სკოლების 250 მოსწავლე მიიყვანეს და ბაზის განკარგულებაში არსებული სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება აჩვენეს.

თვითაღიარებული ყარაბაღი

■ 5 ნოემბერს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბაკო სააკიანმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას 2013 წლის ზამთრის გაწვევასა და დემობილიზაციაზე.

ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

გრძელდება კრასნოდარის უმაღლესი საავიაციო სამხედრო სასწავლებლის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავ Як-130-ებით შევსება

რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

■ 25 ოქტომბერს ჩეჩნეთში ხასავიურთის რაიონის ერთ-ერთი დასახლების მცხოვრების ბინაში სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 3 თვითნაკეთი ფეთქებადი მოწყობილობა, 13 თვითმკვლელის, შაჰიდის ქამარი, ქალის წყვილი პარიკი, ავტომობილის ნომრების ხუთი კომპლექტი და რელიგიური ლიტერატურა.

■ ოქტომბრის ბოლოს შავ ზღვაში გამოცდა გაიარა ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსმა Бастион-მა. რუსები ირწმუნებიან, რომ სროლის გასართულებლად სამიზნედ გამოყენებული მეოთხედი კუბური მეტრი მოცულობის ავზი რაკეტამ პირველივე გასროლით სანაპიროდან რამდენიმე ათეული კმ-ის დაშორებით ჩაძირა.

■ 2013 წლის ბოლომდე კრასნოდარის უმაღლესი საავიაციო სამხედრო სასწავლებელი 18 სასწავლო-საბრძოლო Як-130-ს მიიღებს. ამჟამად სასწავლებლის შემადგენლობაში შემავალ ბორისოგლებსკის სასწავლო ცენტრს ამ ტიპის 34 თვითმფრინავი ჰყავს.

■ შავი ზღვის ფლოტს მომავალი წლის ივლისში 636-ე პროექტის წყალქვეშა ნავი „ნოვოროსიისკი" შეემატება. ბაზირებისთვის ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზაა შერჩეული. 2017 წლისთვის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში 636-ე პროექტის 6 წყალქვეშა ნავი უნდა იყოს. ახალი პროექტის ხომალდისთვის „ნოვოროსიისკისა" და „როსტოვ ნა დონისთვის" შერჩეული ეკიპაჟები სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქალაქ ობნინსკის სასწავლო ცენტრში ბრძოლისებრ ბრძოლებას უკვე გადიან.

თურქეთი

■ 24 ოქტომბერს კილისის პროვინციაში, თურქეთ-სირიის საზღვრის მახლობლად, თურქი სამხედროების კონვოის სირიისნომრებიანი ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც თურქეთის არმიის 2 გენერალი და 6 სამხედრო მოსამსახურე დაშავდა.

■ 24 ოქტომბერს პროვინცია ბურსაში გამოცდის დროს კომპანია Otokar-ის უახლესი ჯავშანავტომობილი Ural-ი (4X4) გადაბრუნდა და მასში მყოფი სამი პირი დაშავდა.

■ 28 ოქტომბერს თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს სირიის მოსაზღვრე რაიონები მას შემდეგ, რაც თურქეთის მხარეს სირიის ტერიტორიიდან ნასროლი რამდენიმე რაკეტა ჩამოვარდა. ოპერაციაში F-16 ტიპის თვითმფრინავები მონაწილეობდნენ.

■ ოქტომბრის ბოლოს თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსა და სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების საბჭოს (TUBITAK) შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას უპილოტო საფრენი აპარატის წარმოებაზე, რომელიც ამერიკული აპარატის Global Hawk-ის ანალოგიური უნდა იყოს.

■ 3 ნოემბერს თურქული ოთხი F-16 ჰაერში აფრინდა მას შემდეგ, რაც შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქ კირკლარელის მახლობლად რუსული მზვერავი Ил-20-ები გამოჩნდნენ. ეს მოხდა 22 ოქტომბერს, როცა თურქულმა F-16-ებმა Ил-20-ის მფრინავები საჰაერო საზღვრის შესაძლო დარღვევის თაობაზე გააფრთხილეს.

■ ბოლო ორ თვეში თურქეთის არმიის 3 ათასზე მეტმა სერჟანტმა გადადგომის შესახებ განაცხადა. ამის მიზეზია 1980 წლის 12 სექტემბრის გადატრიალების ორგანიზატორ სამხედროთა სასამართლო პროცესი. სერჟანტებთან ერთად გადადგომის შესახებ განცხადება 700-მდე ოფიცერმა გააკეთა. გადატრიალების ორგანიზატორს მაშინდელი გენშტაბის უფროსსა და ქვეყნის ექსპრეზიდენტს 94 წლის კენან ევრენს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

■ 8 ნოემბერს დასრულდა თურქეთის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების საბჭოს (TUBITAK) მხარდაჭერით შექმნილი უპილოტო საფრენი აპარატის TAN-100-ის აწყობა, რომელსაც 2 სთ ფრენა შეუძლია და მზის ბატარეებზე მუშაობს.

■ თურქეთის შეიარაღებული ძალე-

ბის გენერალური შტაბის ინ-ფორმაციით, სირიის საჰაერო თავდაცვის ძალებს 10 წამი მიზანში ჰყავდათ ამოღებული თურქეთის საჰაერო ძალების 3 თვითმფრინავი, რომლებიც ჰატაის პროვინციის სამხრეთ ნაწილში დაფრინავდნენ.

■ თურქული გაზეთის Cumhuriyet-ის მონაცემებით, ქვეყნის სახმელეთო ჯარების სარდლობამ კიდევ უარი განაცხადა თურქულ-იტალიური პროექტით შექმნილი შემტევი შვეულმფრენ T-129 EDH-ის შეიარაღებაში მიღებაზე. სამხედროების აზრით, შვეულმფრენი არმიის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და იქვე აღნიშნულია, რომ განახლებული AH-1 Cobra-ს ან AH-64-ის ვერსიები უფრო მისაღებია.

თურქული უახლესი ჯავშანავტომობილი Urfa (4X4)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანი

■ 26 ოქტომბერს ირან-პაკისტანის საზღვარზე, ქალაქ სარივანის მახლობლად, ბანდიტურ დაჯგუფებასთან შეტაკების დროს 17 ირანელი მესაზღვრე დაიღუპა და 5 დაიჭრა.

■ 31 ოქტომბერს თურქეთიდან ირანში საზღვარზე გადასვლის დროს ქურთების თავისუფალი ცხოვრების პარტიისა (PJAK) და ირანის ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მებრძოლთა შორის შეტაკების დროს ირანელებს ჯარისკაცი დაეღუპათ, 2 კი დაეჭრათ.

■ 9 ნოემბერს ირანში ქვეყნის თავდაცვის მინისტრ ჰუსეინ დეჰკანის მონაწილეობით გაიხსნა ახალი საწარმო, რომელიც Sayyad-2-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს გამოუშვებს. Sayyad-2 საშუალო სიშორის კომპლექსია და დიდ სიმაღლეებზე სხვადასხვა სახის საფრენ აპარატს ებრძვის. მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია რადიოელექტრონულ ბრძოლაში.

ირანული უპილოტო საფრენი აპარატი Fotros-ი

■ ირანის სახმელეთო ჯარების სარდლის ბრიგადის გენერლის აჰმად რეზა პურდასტანის თქმით, ნოემბრის ბოლოს ირანის არმია ჯარების ყველა სახეობისა და ფლოტის მონაწილეობით მასშტაბურ სწავლებას ჩაატარებს დაახლოებით 250 ათას კვკმ ტერიტორიაზე.

■ ქალაქ სარივანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ზაჰედანის ციხეში 16 მეამბოხე ჩამოახრჩვეს ისე, რომ მათ 25 ოქტომბერს შეტაკების დროს დაღუპული მესაზღვრეების მკვლელობაზე ბრალდება წაყენებული არ ჰქონდათ.

■ ისრაელი და საუდის არაბეთი ერთობლივად განიხილავენ ირანზე თავდასხმის ვარიანტს იმ შემთხვევაში, თუ ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკება სასურველ შედეგს არ მოიტანს.

■ 18 ნოემბერს თავდაცვის მინისტრ ჰუსეინ დეჰკანის მონაწილეობით ახალი, ყველაზე დიდი უპილოტო საფრენი აპარატის Fotros-ის დემონსტრირება შედგა. აპარატი 7 ათას 600 მ სიმაღლეზე და 2 ათას კმ-ზე დაფრინავს, შეუძლია სადაზვერვო ამოცანების შესრულება და „ჰაერი-მიწა" კლასის რაკეტების ტარება. გამოქვეყნებული ფოტოების მიხედვით კი ირანული Fotros-ი ამერიკულ MQ-9 Reaper-ს ძალიან ჰგავს. ირანს უკვე აქვს Shahed 129 და Iasir-ის ტიპის უპილოტოები. პირველის სამოქმედო რადიუსი 1 700 კმ, ხოლო მეორისა კი — 200 კმ-ია.

სირია

■ ქვეყნის უმაღლესი მუფთის, აჰმად ბადრედინ ჰასანუს თქმით, სირიაში 83 ქვეყნის 100 ათასი დაქირავებული იბრძვის, საიდანაც საუდის არაბეთის — 8 ათასი (მ.შ. მოკლულია 1019, უკვალოდ დაიკარგა 1800), ტუნისის — 4 ათასი, ერაყის — 3 ათასი, რუსეთის — 1700, ჩეჩენი ეროვნების (მოკლულია 717), თურქმენეთის — 360, უკრაინის — 350, აშშ-ის — 290, ყაზახეთის — 250, ტაჯიკეთის — 190, კანადის — 120, აზერბაიჯანის — 100 და საქართველოს 80 მოქალაქეა.

თემურ ჩაჩანიძე

საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო

(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16, 2013)

XX საუკუნის ისტორიის შესწავლა იოსებ სტალინის ფენომენის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. უფრო მეტიც, დღესაც, XXI საუკუნის ათიანი წლების დამდეგს, ჩვენთვის საინტერესო მოვლენებიდან 50-80 წლის შემდეგაც, „დიდი დიქტატორის“ აჩრდილი არ გვასვენებს.

საბჭოთა სპეცსამსახურების სხვა, ცნობილ სპეცოპერაციებს რომ არ შევეხოთ, ქართული „ემიგრაციის არქივის“ გამო განვითარებულ ძველ თუ ახალ მოვლენებში სტალინის დროინდელი ფარული დავალებების კვალი ნათლად ჩანს.

30-იანი წლების მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც შიდა ოპოზიცია გაანადგურა და „რიგითი ბელადიდან“ უკვე „დიდ ბელადად“ გადაიქცა, სტალინმა ახალი მიზანი დაისახა. მან მსოფლიო მასშტაბით შეუდრეკელი რევოლუციონერის სახელის (არალეგალურ ბრძოლაში მონაწილეობა, გადასახლებებიდან გაქცევა, რევოლუციის ლიდერობა, სამოქალაქო ომში გამოჩენილი გმირობა, ტროცკისტული ოპოზიციის დამარცხება, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია და სხვა მრავალი რეალური თუ მითური მიღწევა) დამკვიდრება, პიროვნული თვისებების (ის, რომ ამხანაგი სტალინი მამასავით მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო) და საკუთარი ეროვნული წარმოშობის (ის, რომ „კობა“, ვინმე ბოგანო კი არა, არამედ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის, საქართველოს მკვიდრი იყო!) რეკლამირება მოისურვა. ამაში კი სტალინს ის ძველი რევოლუციონერები უშლიდნენ ხელს, რომლებმაც ემიგრაციაში გაქცევა მოასწრეს და იქ დაწერილი სტატიებითა თუ წიგნებით მწარედ კბენდნენ „დიდ ბელადს“.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ნოე რამიშვილი იყო, რომლის სიცოცხლეც „ბოლშევიკების“ აგენტურის მიერ მართული ემიგრანტის, პარმენ ჭანუყვაძის ხელით შეწყდა.

სტალინის მეორე დაუძინებელი მტერ-მეტოქე სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი ლევ ტროცკი იყო, რომელიც ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისიდან გახდა მისი იდეური მოწინააღმდეგე და დაუძინებელი მტერი.

სტალინის უცხოეთში თავშეფარებული მტრების ხელში ბევრი ისეთი დოკუმენტი იყო, რომელიც „დიდი ბელადის“ სახელის გასატეხად შეიძლებოდა გამოეყენებინათ.

ამიტომ „დიდ ბელადს“ ამ დოკუმენტების ხელში ჩაგდების როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე პირადი დაინტერესება ჰქონდა და არქივების დაბრუნების ან ცალკეული დოკუმენტის განადგურების დავალება პირადად მისგან მოდიოდა.

„ტროცკის არქივის“ მოტაცების სპეცოპერაცია

1929 წელს საბჭოთა კავშირიდან იძულებითი წესით გასახლების დროს ლევ ტროცკიმ შეძლო პირადი არქივის გატანაც (მათ შორის იყო ლენინსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან პირადი მიმოწერის ამსახველი დოკუმენტები, პოლიტბიუროს სხდომის ოქმების ასლები და ა.შ., არქივი სულ 28 ყუთში იყო მოთავსებული).

ამჟამად ძნელი სათქმელია, თუ როგორ შეძლო ტროცკიმ არქივების გატანა: ეს საბჭოთა კონტრდაზვერვის დაუდევრობით მოხდა თუ ტროცკის მრავალრიცხოვან მომხრეთა (მათ შორის ОГПУ-ში) დახმარებით.

არსებობს ვერსია, რომ სტალინი შემდგომ წლებში საკუთარ თავს ვერ პატიობდა ამ შეცდომას. ისევე, როგორც ლევ ტროცკის ცოცხლად გაშვებას.

„ტროცკის არქივებში“ ისეთი დოკუმენტები ინახებოდა, რომლებიც სტალინის კომპრომეტირებისთვის გამოდგებოდა. მართლაც შემდგომ წლებში ტროცკი ამ დოკუმენტებს ხშირად იყენებდა, ამიტომ ტროცკის ლიკვიდაციაზე არანაკლებ სტალინს მისი არქივების ხელში ჩაგდება სურდა.

საბჭოთა კავშირიდან ტროცკის გაძევების შემდეგ სტალინის პირადი დავალებით საბჭოთა საგარეო დაზვერვა (ინო) ტროცკის არქივების მოტაცების ან განადგურების სპეცოპერაციებს შეუდგა.

ტროცკის, მისი ვაჟის, ლევ სედოვის და IV ინტერნაციონალის საერთაშორისო სამდივნოს არქივების ხელში ჩასაგდებად და სხვადასხვა ტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად საბჭოთა დაზვერვაში შეიქმნა სპეციალური ე. წ. „იაშა სერებრიანსკის ჯგუფი“, რომელშიც შედიოდნენ ინგლისელი მორისონი (ოპერა-

საბჭოთა დაზვერვა
ერდეურ
მოწინააღმდეგეს
ბიბლიოთეკა
ეროვნული
უმასპინძლდებოდა

ტროცკის არქივი
საბჭოთა დაზვერვის დიდ
ინტერესს ინვევდა

ტროცკი „დიდ ბელადზე“ კრიტიკულ წიგნებს თითქმის ყოველ წელს გამოსცემდა

ტიული ფსევდონიმი „გარი“), ბულგარელი ბორის აფანასიევი (ოპერატიული ფსევდონიმი „გამა“) და სხვები.

ტროცკის გადასახლების მთელ პერიოდში არქივსა და ბიბლიოთეკას ლევ სედოვი მეთვალყურეობდა. ლევ ტროცკი აღიარებდა, რომ ვაჟის დაუხმარებლად (რომელიც საჭირო მასალებს აწვდიდა არქივიდან) წიგნებს ვერ დაწერდა. ასევე ლევ სედოვი ხელმძღვანელობდა ტროცკისტთა მთავარი გამოცემის „ოპოზიციის ბიულეტენის“ დაბეჭდვას.

ლევ სედოვის ხელთ იყო აგრეთვე „ტროცკისტული მოძრაობის“ ყველაზე საიდუმლო დოკუმენტები: საბჭოთა კავშირში დარჩენილ თანამოაზრეთა მისამართები, მათთან ფარული კავშირის დასამყარებელი ხერხები და პირობითი სიგნალები.

30-იანი წლების მეორე ნახევარში „იაშას ჯგუფმა“ ხელში ჩაიგდო „ტროცკის არქივის“ მრავალი საიდუმლო დოკუმენტი: ტროცკისტთა სამომავლო ღონისძიებათა გეგმები; ტროცკისა და სედოვის მიერ საბჭოთა კავშირში გაგზავნილი დაშიფრული წერილები, რითაც გამოავლინეს ტროცკის მომხრეთა ფარულად მოქმედი ჯგუფები.

საბჭოთა დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ 1935 წელს მოხერხდა სიფრთხილით გამორჩეული ლევ სედოვის უახლოეს გარემოცვაში საბჭოთა აგენტ მარკ ზბაროვსკის ჩანერგვა.

მარკ ზბაროვსკის (1908-1990 წწ.) ოჯახი 1920 წელს რუსეთიდან ემიგრაციაში წავიდა: ჯერ პოლონეთში, შემდეგ კი საფრანგეთში. გავრცელებული ინფორმაციით, მარკმა 1933 წელს ემიგრაციიდან დაბრუნება მოინდომა.

პარიზში საბჭოთა საელჩოში დაზვერვის რეზიდენტი მას დაჰპირდა, რომ საბჭოთა კავშირში ის გაცილებით უკეთ იცხოვრებდა. თუმცა უკან დასაბრუნებელ ვიზას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდნენ, თუ „საბჭოთა სამშობლოს“ საკეთილდღეოდ მნიშვნელოვან რამეს გააკეთებდა.

ეს იყო ის კლასიკური სქემა, რომელსაც საბჭოთა დაზვერვა იყენებდა სამშობლოში დაბრუნების მსურველი ემიგრანტების გადასაბირებლად (გავიხსენოთ თუნდაც ქართველი ემიგრანტების, გრიგოლ ვეშაპელისა და პარმენ ჭანუყვაძის მძიმე ხვედრი).

სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ემიგრაციის რიგებში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ და სამშობლოს ნოსტალგიამ ბევრ ემიგრანტს თავის გადარჩენისა და უკან დაბრუნების სურვილი გაუღვივა. ეს კი ბოლშევიკების წინაშე დამსახურებისა და ემიგრაციაში მათი დავალებების შეუსრულებლად მიუღწეველი ოცნება იყო.

საბჭოთა ემიგრანტების გადაბირება უპირატესად შანტაჟით ხდებოდა. ბევრ მათგანს საბჭოთა კავშირში ჰყავდა ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა მათზე ზემოქმედებით ემიგრაციაში მყოფი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეებიდან ბევრი გადაებირებინა.

საბჭოთა დაზვერვის ამოცანა გაამარტივა იმ გარემოებამაც, რომ ზბაროვსკის ძმა და ორი და საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და, ფაქტობრივად, ბოლშევიკების მძევლები იყვნენ. ამიტომაც ზბაროვსკის უარი თანამშრომლობაზე მისი ახლობლებისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა. ასე გახდა მარკ ზბაროვსკი შინსახკომის საიდუმლო აგენტი (ოპერატიული ფსევდონიმები „ტულპანი“ და „მაკი“).

ახალგაზრდა აგენტის პირველი და მთავარი დავალება საფრანგეთში მოქმედი ტროცკისტების ჯგუფში შეღწევა, ნდობის დამსახურება და იქ პოზიციების გამყარება იყო.

1935 წელს „მაკი“ ლევ სედოვს დაუახლოვდა და თანდათან მოიპოვა მისი სრული ნდობა.

სულ მალე საბჭოთა აგენტმა ევროპელი ტროცკისტების მთავარ ორგანიზაცია „IV ინტერნაციონალის

„ლიგა“
საკურნალო ბაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

საერთაშორისო სამდივნოში“ შეაღწია, რის შემდეგაც „ეტიენმა“ (ამგვარი ოპერატიული ფსევდონიმი შეურჩიეს ზბაროვსკის ტროცკისტებმა) ლევ სედოვის ყველა ნაბიჯი იცოდა. საბჭოთა დაზვერვის მთავარი დავალება ლევ ტროცკის არქივის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ხელში ჩაგდება იყო.

ტროცკის არქივზე ნადირობის ქრონიკა საბრძოლო მოქმედებების აღწერას ჰგავს.

1931 წელს ტროცკის არქივების ნაწილი გაურკვეველ ვითარებაში ხანძრის დროს დაიწვა, თუმცა დოკუმენტების დიდი ნაწილი გადარჩა.

1936 წლის 5 აგვისტოს ნორვეგიაში ემიგრირებული ტროცკის თავს უცნობი პირები დაესხნენ და მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაიტაცეს.

1936 წლის ბოლოს ტროცკის არქივის ერთი ნაწილი პარიზში მდებარე ერთ-ერთ ინსტიტუტში საიდუმლოდ გადაიტანეს. ამ საქმეში „მაკი“ უშუალოდ მონაწილეობდა და, ბუნებრივია, ყველაფერი საბჭოთა დაზვერვას აცნობა.

1936 წლის 7 ნოემბრის ღამეს საბჭოთა ბოევიკები ინსტიტუტში შეიჭრნენ და არქივი გაიტაცეს. დიპლომატიური ფოსტით გაგზავნილი დაახლოებით 80 კგ დოკუმენტი მალე მოსკოვში, სტალინის სამუშაო მაგიდაზე იყო დალაგებული. ტროცკის არქივის დანარჩენი ნაწილიდან „მაკმა“ ფარულად დაამზადა ფოტოასლები და მოსკოვში გადაგზავნა.

თუმცა ტროცკი არ ცხრებოდა და ყოველ წელს ახალ წიგნს ბეჭდავდა, სადაც „დიდი ბელადის“ რევოლუციური წარსული, ეროვნული წარმოშობა თუ პიროვნული თვისებები ძალზე კრიტიკულად იყო გადმოცემული.

წლების მანძილზე საბჭოთა დაზვერვის დავალებით ზბაროვსკი ტროცკის მორიგი წიგნის ხელნაწერის ფოტოასლებს ფარულად იღებდა და მოსკოვში გზავნიდა. ასე რომ, სტალინი ტროცკის წიგნებს მანამდე კითხულობდა, სანამ ისინი დაიბეჭდებოდა.

ამ ფაქტის დასადასტურებლად გთავაზობთ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნიკოლაი ეჟოვის 1938 წლის 28 თებერვლის სრულიად საიდუმლო შეტყობინების თარგმანს:

„ამხ. სტალინს, მოლოტოვს

გიგზავნით ჩვენ მიერ სედოვის მიმოწერიდან აგენტურული გზით მიღებულ ასლებს ტროცკის 1938 წლის 13 და 15 იანვრით დათარიღებული ორი სტატიის — აგრძელებს კი საბჭოთა ხელისუფლება 20 წლის წინ მიღებული პრინციპების შესრულებას და ხმაური კრონშტადტის ირგვლივ.

ამ სტატიების დაბეჭდვა გათვალისწინებულია „ოპოზიციის ბიულეტენის“ მარტის ნომერში“.

ლევ სედოვი 1938 წლის 15 თებერვალს პარიზში, ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა: წარმატებით დასრულებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ სამ დღეში ტროცკის ვაჟი გარდაიცვალა. ეს უბედური შემთხვევა იყო თუ საბჭოთა დაზვერვის სპეცოპერაცია, უცნობია.

ლევ ტროცკის სიცოცხლე კი 1940 წლის 21 აგვისტოს შეწყდა, როდესაც მრავალსვლიანი ოპერატიული კომბინაციის შემდეგ საბჭოთა დაზვერვამ შეძლო ტროცკის გარემოცვაში აგენტის, რამონ მერკადერის შეგზავნა, რომელმაც მექსიკაში თავშეფარებული ტროცკი ალპინისტის ძალაყინით მოკლა.

სტალინი ტროცკიში
დაუძინებელ მტერს ხედავდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„არსენალის“ მკითხველს ტროცკის ლიკვიდაციის სპეცოპერაციასა და თავად რამონ მერკადერზე უფრო დაწვრილებით სხვა დროს მოვუთხრობთ.

ახლა კი ისევ „მაკს“ დავუბრუნდეთ. მარკ ზბაროვსკის შემდგომი ცხოვრება კი უფრო მშვიდობიანად წარიმართა. 1941 წელს ის აშშ-ში გაემგზავრა, ჯერჯერობით უცნობია, საბჭოთა დაზვერვის დავალებით თუ პირადი ინიციატივით. მან ამერიკის მოქალაქეობა მიიღო და კარგა ხანს მშვიდად ცხოვრობდა აშშ-ში, თუმცა 1955-1957 წლებში ის რამდენჯერმე დაიკითხა აშშ-ის სენატის ეროვნული უსაფრთხოების ქვეკომისიის სხდომებზე, სადაც ამტკიცებდა, რომ 1941 წლიდან საბჭოთა დაზვერვასთან კავშირი გაწყვიტა, რაც, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა სპეცსამსახურის მოქმედების მეთოდებს, ძნელი დასაჯერებელია.

„ტროცკის არქივის“ გატაცება-განადგურება საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთ წარმატებულ სპეცოპერაციად ითვლება. ასეთივე მეთოდებს იყენებდა საბჭოთა აგენტურა ქართული ემიგრაციის ლიდერების არქივებისა და პირადი დოკუმენტების ხელში ჩასაგდებად. „არსენალის“ შემდეგ ნომერში მოგითხრობთ, თუ როგორ მოიპარეს ნოე ჟორდანიას საიდუმლო დოკუმენტი და, სავარაუდოდ, ვინ გააკეთა ეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბესიკ ალადაშვილი
ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცები და საღი კბილები

„სპეცოპერაციისთვის ვემზადებოდით და რამდენიმე დღე ჯუნგლებში მოგვიწია ყოფნამ. გაუსაძლისი თითქოს არაფერი იყო, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, კბილი ამტკივდა. ტკივილის გაყუჩებას შეძლებისდაგვარად ვცდილობდი. ნაწილში დაბრუნებამდე მთელი ორი კვირა იყო. ბოლოს გამოსავალი ვიპოვე — კბილი ხის ტოტით ჩავიმტვრიე და მტკივანი ღრძილი იარაღის გახურებული ტარით მოვიწვი. დამისივდა, მაგრამ ტკივილი შემიჩერდა და შვება ვიგრძენი.

სამ წელზე მეტია, უცხოურ ლეგიონში ვმსახურობ და ის დღეები ყველაზე მძიმედ მახსენდება. აქამდე ვამბობდი, ყველანაირ ტკივილს გავუძლებ-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ ვამბობ, ყველაფერს გავუძლებ, კბილის ტკივილის გარდა!“ — იხსენებს ქართველი სამხედრო, რომელიც საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მსახურობს.

ალბათ, ყველამ იცის, რომ კბილის ტკივილი ადამიანს კი არა, მხეცსაც აგიყუებს. გაუსაძლის ტკივილს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეთოდით ებრძოდნენ.

საუკუნეების წინ კბილის ამოსაღებად საწამებლის მსგავს იარაღებს, ლითონის მაშებს იყენებდნენ, — ჯერ კბილს არყევდნენ, შემდეგ კი იღებდნენ, რა თქმა უნდა, ანესთეზიის გარეშე.

კბილის ამოსაღები პირველი ინსტრუმენტი ძვ. წ. IV საუკუნეში გაჩნდა. მანამდე ტკივილის გასაყუჩებლად სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ: კბილს ცხელი ნავთით ან ცვილით ბუჟენდნენ; პაციენტს ასუნთქებდნენ ლენცოფას, დამწვარი ხახვისა და თხის ქონის კვამლს. ამ ველური მეთოდების ხშირი მომხმარებლები მეომრები იყვნენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედროებს ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რათა ლამაზი ღიმილი ჰქონდეთ.

საბედნიეროდ, თანამედროვე სტომატოლოგია პირის ღრუს პრობლემების მაქსიმალურად შემცირების საშუალებას იძლევა. კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ექიმ-სტომატოლოგი **სოფიო ნადირაშვილი** ქართველი სამხედროების კბილების სიჯანსაღეზე ზრუნავს.

თუ რა მდგომარეობაა წვევამდელებსა და თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორებში ამ მხრივ და რა მნიშვნელობა აქვს ჯარისკაცისთვის ჯანსაღ პირის ღრუს, ჩვენი რესპონდენტი გვესაუბრება:

— ჯანსაღი პირის ღრუ აუცილებელია როგორც სამხედროებისთვის, ისე სამოქალაქო პირებისთვის, მაგრამ ჩემი პაციენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ყველას გამოუცდია კბილის ტკივილი და იცის, როგორი გაუსაძლისია მისი მოთმენა. თუ სამხედროს კბილი სტკივა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს თავისი მოვალეობის სრულყოფილად შესრულებას.

— ახალწვეულებისა და კონტრაქტორ ჯარისკაცებს როგორი მდგომარეობა აქვთ ამ მხრივ?

— სტატისტიკის თანახმად, სტომატოლოგიური დაავადებები ახალწვეულთა 25-%-ს აწუხებს, კონტრაქტორებისა კი დაახლოებით 75-%-ს.

— ახალწვეულებში შედარებით მცირე მაჩვენებლის მიზეზი რა არის, ჰიგიენის მიმართ უფრო ჯანსაღი დამოკიდებულება?

— არა, ამას რამდენიმე მარტივი მიზეზი აქვს: ახალწვეულებში, მათი ბიოლოგიური ასაკიდან გამომდინარე, ეს დაავადებები განვითარებას ვერ ასწრებს, ამიტომაც მხოლოდ დაწყებითი ფორმა აქვთ. აი, კონტრაქტორი ჯარისკაცების ყოველ მეოთხეს კი აქვს პაროდონტიტის მსუბუქი ფორმა, გინგივიტი, რომლის დროსაც პაციენტებს პირის ღრუში დისკომფორტი, არასასიამოვნო სუნი და სისხლმდენი ღრძილები აქვთ. კონტრაქტორ სამხედროებში ეს პრობლემა საშუალო და მძიმე ფორმითაც გვხვდება. ზოგს იმდენად მწვავედ აქვს, რომ გარეგნული დათვალიერებითაც კი შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში ექიმთან ვიზიტის გადადება დაუშვებელია. დაავადების ამ ეტაპზე მკურნალობა, რა თქმა უნდა, უფრო რთული და ხანგრძლივია.

— კბილების მკურნალობა ყველა ჯარისკაცისთვის უფასოა?

— დიახ, თავდაცვის სამინისტრო ყველა ჯარისკაცს უფასო სტომატოლოგიური მკურნალობის სრული კურსის ჩატარებას სთავაზობს. სამხედროებს სრული კომფორტი აქვთ შექმნილი, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი ტიპის დაავადებები და მით უფრო, გართულებები...

პრობლემის მიზეზი მხოლოდ ჰიგიენის დაუცველობა არ არის, ხშირად ამას უხარისხო კვება და მავნე ჩვევებიც განაპირობებს, მაგალითად, ერთი შეხედვით „უწყინარი“ ჩვევა — ცალ მხარეს ღეჭვა, რაც ყბის ფუნქციურ გადატვირთვას იწვევს და იწყება დაავადების განვითარება. ნეგატიური ეკოლოგიური გარემო, სტრესი, თამბაქოს ხშირი მოხმარება, ქრონიკული დაავადებები.

— ცნობილია, რომ სტომატოლოგიური იარაღების დანახვისას თვით „ძლიერნი ამა ქვეყნისანიც“ კარგავენ ფერს. გამონაკლისი, ალბათ, ჯარისკაცებიც არ არიან, არა?

ჯანსაღი პირის ღრუ სამხედროებისთვის განსაკუთრებულად აუცილებელია

— დიახ, მაინცდამაინც ბედნიერი სახეებით არ მოდიან, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომენტი. XXI საუკუნეში შიშის სინდრომი გარკვეულწილად მოხსნილია. იმათაც კი, ვისაც წლების განმავლობაში სტომატოლოგის ხსენებაც შიშის ზარს სცემდა, ანესთეზიური საშუალებებით დავარწმუნეთ, რომ საშიში არაფერია და ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლის. თუმცა, სანამ პაციენტი იმ „ავადსახსენებელ სავარძლამდე" მივა, ფსიქოლოგიური შემზადება სჭირდება.

ყველა ექიმი თავისებურად ფსიქოლოგია და პაციენტთან ტკბილი ენით ცდილობს სიტუაციის მოგვარებას. თუ მართლა აუცილებელი არ არის, ზოგჯერ პაციენტს სამედიცინო მანიპულაციებს პირველივე ვიზიტზე არ ვუტარებთ.

შეიძლება უბრალოდ გაესაუბრო ადამიანს და დაარწმუნო, რომ ის პრობლემა, რომელიც აწუხებს, გაცილებით საშიშია მისი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ჩემი სამუშაო იარაღები. მოუწესრიგებელი პირის ღრუ შესაძლოა სხვადასხვა დაავადების კერა აღმოჩნდეს. პირადად მე და ჩემი კოლეგები ამ ყველაფერს მათ სამედიცინო ტერმინოლოგიით კი არა, გასაგებ ენაზე ვუხსნით. ამიტომაც არაერთი შემთხვევა ყოფილა, რომ ჯარისკაცს უთქვამს, ძალიან მეშინოდა და თურმე არც ისე საშიში ყოფილაო.

— სოფო, რამდენი წელია რაც მუშაობთ?

— 9 წელია და სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ შიშის ფაქტორი თანდათან მცირდება. ვინც ერთხელ ყოფილა სტომატოლოგთან, ის შემდეგ თავის მეგობარსაც უწევს რეკომენდაციას, რომ კბილის ექიმი არც ისე საშიშია, როგორც ეგონა.

— ყველაზე მეტად რომელი პროცედურის ეშინიათ?

— ანესთეტიკის გაკეთება აშინებთ. მართლაც სახალისოა, თმის ღერივით ნემსის დანახვაზე დამფრთხალი უზარმაზარი ბიჭები, მაგრამ თუ ეს ეტაპი მშვიდობით გავიარეთ, შემდეგ ყველაფერი კარგად მიდის.

ლალი პაპასკირი

ბევრ ჯარისკაცს აქვს ნათქვამი — თავიდან კბილის ექიმთან მისვლა ძალიან მეშინოდა, მაგრამ თურმე არცთუ საშიში ყოფილა

ნაღმების აღმოსაჩენი მანქანები

ექსკავატორით, ლითონდეტექტორებითა და რადიოჩამხშობი მოწყობილობებით აღჭურვილი ავღანეთში მოქმედი ამერიკული კონტიგენტის Husky

შექმნის დღიდან ნაღმებმა საბრძოლო მოქმედებათა წარმოების სპეციფიკა საფუძვლიანად შეცვალეს. მიწაში დამალული ქარხნული თუ კუსტარული წესით დამზადებული ფეთქებადი მოწყობილობა მსხვერპლს შეიძლება წლობით ელოდებოდეს.

გასული და მიმდინარე საუკუნის სამხედრო კონფლიქტებში კი ნაღმებმა ტექნიკის ათასობით ერთეული გაანადგურეს და ასიათასობით კაცის სიცოცხლე შეიწირეს.

აფრიკის კონტინენტზე სამხრეთ როდეზიაში 1965-79 წლების ომი ისტორიაში ნაღმების მასობრივად გამოყენებითა და მასთან ბრძოლის არაორდინარულ საშუალებათა გამოგონებით შევიდა.

ნაღმების ეფექტურობა გამოყენების მასშტაბის ზრდას უწყობდა ხელს და შესაბამისად კონფლიქტში მონაწილე მეორე მხარე კი თავდაცვის საშუალებათა საჭიროების წინაშე აღმოჩნდა. ჯავშანტექნიკის დასაცავად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სპეციალური, მკვეთრი V-ების მსგავსი ფსკერიანი მანქანების შექმნაზე გადავიდა. მსგავსი კონსტრუქცია აფეთქების ტალღის ზემოქმედებას ამცირებდა და ადამიანების გადარჩენის შანსს ზრდიდა.

პარალელურად სამხრეთაფრიკელები ნაღმების აღმოჩენის ეფექტურ საშუალებებზეც მუშაობდნენ. ხელის ლითონდეტექტორებით გზების შემოწმება დიდ დროს მოითხოვდა. სპეციალიზებული გამნაღმველი ტექნიკის არარსებობის გამო სამხრეთაფრიკელებმა ნაღმების აღმომჩენი თვითმავალი დანადგარი გამოიგონეს.

დანიშნულებიდან გამომდინარე, ერთკაციან ჯავშნიან Pookie-ს კუთხოვანი კორპუსი და V-ების მსგავსი ფსკერი ჰქონდა. გრუნტზე დატვირთვის შესამცირებლად და ნაღმის დეტონაციის თავიდან ასაცილებლად Pookie მაქსიმალურად შემსუბუქდა და უჩვეულო თვლები დაუყენეს. კონსტრუქტორთა ჩანაფიქრით, „ფორმულა-1"-ის ბოლიდებზე გამოყენებული განიერი საბურავები გრუნტზე მოქმედ დატვირთვას კიდევ უფრო შეამცირებდა. სამხრეთ აფრიკის გრან-პრიდან ნახმარი საბურავების გამოტანა რბოლების ორგანიზატორთა მოსყიდვით მოხერხდა. საერთაშორისო ემბარგოს გამო ქვეყანაში ნებისმიერი სახის სათადარიგო ნაწილების შეტანა აკრძალული იყო.

ნაღმების აღმოსაჩენად Pookie-ს კორპუსის შუა, ქვედა ნაწილში ორი ლითონდეტექტორი (თითო თითო ბორტის მხარეს) დაუმაგრდა და მუშა მდგომარეობაში ორივე მიწის პარალელურად იყო განთავსებული.

1976 წელს ორი პროტოტიპის დამზადების შემდეგ, არმიამ კიდევ ხუთი მანქანა დაუკვეთა. სამხედრო კოლონის გადაადგილებისას ნაღმების აღმომჩენი თვითმავალი დანადგარი ძირითადი ძალებისგან წინ, ცალკე მოძრაობდა. ნაღმის დაფიქსირებისას მძღოლი-ოპერატორი ადგილს სპეციალური მარკერით მონიშნავდა და გზას აგრძელებდა. ნაპოვნი „საჩუქრის" გაუვნებლებით კი უკან მომავალი მესანგრეები იყვნენ დაკავებული.

ლითონისკორპუსიანი ნაღმების ეფექტურობის შემცირების გამო მოწინააღმდეგე თვითნაკეთი ფეთქებადი მოწყობილობების გამოყენებაზე გადავიდა.

ასეთ ნაღმებში ლითონის დეტალების არარსებობა, ლითონდეტექტორებით მათ აღმოჩენას შეუძლებელს ხდიდა. ამიტომაც Pookie-ის აღჭურვილობას

დაემატა მარტივი ექოლოკატორი, რომელიც გრუნტში ლითონდეტექტორისთვის შეუმჩნეველ უცხო საგნებს ტალღებით პოულობდა.

ოთხი წლის განმავლობაში, ორი პროტოტიპის ჩათვლით 75 Pookie აიგო. ნაღმების აღმომჩენი თვითმავალი დანადგარები მეტად ეფექტური გამოდგა და ოთხ წელიწადში როდეზიელებმა 500-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აღმოაჩინეს.

ნაღმების ეფექტურობის შემცირების გამო მოწინააღმდეგემ Pookie-ების განადგურებაზე სპეციალური ჯილდოც კი დააწესა. ჩასაფრებებისა და გზების გასწვრივ მძლავრ ფეთქებად მოწყობილობათა (25-30 კგ) გამოყენებით 12 მანქანა გამოვიდა მწყობრიდან.

ნაღმების აღმომჩენი თვითმავალი დანადგარების ექსპლუატაციისას სამხრეთაფრიკელებმა ახალი ექვსთვლიანი მანქანა Spinnekop-ი (ჰოლანდიურად „ობობა“) შექმნეს. უჩვეულო ფორმის ქმნილება სახელს სრულად ამართლებდა. აფეთქებისგან დაზიანებათა შესამცირებლად კორპუსმა მიწიდან მაქსიმალურად შესაძლო სიმაღლეზე აიწია („ობობას“ საერთო სიმაღლე 3 მ-ს აღწევდა) და თვლები გრძელ დგარებზე დამაგრდა. მანქანის მართვისა და ნაღმების აღმოჩენის ფუნქციები ეკიპაჟის 2 წევრს შორის გადანაწილდა. საბრძოლო დავალების შესრულებისას „ობობა“ 16-18 კმ/სთ-ში სიჩქარით გადაადგილდებოდა.

წინამორბედი მოდელისგან განსხვავებით „ობობაზე“ ნაღმების აღმომჩენი ხელსაწყოები — ლითონდეტექტორი და ექოლოკატორი (ზოგიერთი წყაროს ცნობით აღჭურვილობაში ელექტრომაგნიტური გამომსხივებელიც შედიოდა) მოსახსნელ კონსტრუქციაზე მანქანის წინა მხრიდან მაგრდებოდა. გადაადგილებისას Spinnekop-ი 2,5-დან 3 მ-მდე სიგანის გზას „ასუფთავებდა“.

პირველი „ობობა“ 1979 წელს აიგო და საბრძოლო მოქმედებათა დასრულებამდე მხოლოდ 18 ერთეულის აწყობა მოასწრეს.

უცნაური იერის მიუხედავად, „ფორმულა-1“-ის ბოლიდებისგან „ნასესხებ“ საბურავებიანი Pookie საკუთარ ამოცანას შესანიშნავად ასრულებდა

როდეზიაში მიღებული საბრძოლო გამოცდილებისა და ნაღმების აღმომჩენი პირველი თვითმავალი დანადგარების ექსპლუატაციის საფუძველზე 70-იანი წლების დამლევს სამხრეთაფრიკელებმა კომპლექსი VMMD შექმნეს.

კომპანია DCD-ის ქმნილება ნამიბიისა და ანგოლის დანაღმულ გზებზე სამხედრო კოლონების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფდა და ის ორი კომპონენტისგან შედგებოდა:

პირველი – Meerkat-ი (თვლების ფორმულა 2X4) კოლონის წინ მიდის და მხოლოდ ლითონისკორპუსიან ნაღმების აღმოჩენაზეა გათვლილი. ძველი „პუკისა“ და „ობობას“ მსგავსად, მას ბორტის ორივე მხარეს მაღალი მგრძნობიარობის ლითონდეტექტორები აქვს. V-ებრი ფსკერი და ძლიერი ჯავშანი ეკიპაჟს აფეთქებისა (6,8 კგ-მდე ტროტილის ეკვივალენტში) და ტყვიებისგან იცავს. გრუნტში ნაღმის დაფიქსირებას მძღოლი-ოპერატორი ხმოვანი სიგნალით იგებს, შესაბამის ადგილს საღებავით ნიშნავს და გზას აგრძელებს.

ფრანგული SOUVIM-2 მტრალავი მისაბმელების გამოყენებით 2,6-დან 3,9 მ-მდე სიგანის გზას „წმენდს“

მეორე კომპონენტი – Husky გამოიყენება (თვლების ფორმულა 4X4) დაწოლითი მოქმედების ნაღმების ადგილზე გასანადგურებლად. მართალია, თავად მანქანა „მერკატის“ ანალოგიურია, მაგრამ მისგან განსხვავებით მაღალი წნევის საბურავები აქვს.

„ჰასკის“ უკან 2-3 მტრალავი მისაბმელი აქვს ჩაბმული. დეტონაციის გზით დაწოლითი მოქმედების ნაღმების 100%-იანი განადგურებისთვის მისაბმელებზე თვლების ადგილმდებარეობა ისეა შერჩეული, რომ თავად „ჰასკის“ თვლებთან ერთად, ისინი 3 მ-ის სიგანის „დაფარვის ზონას“ ქმნიან. მეტი ეფექტურობისა და გრუნტზე დაწოლის გასაზრდელად მისაბმელებზე სათადარიგო ნაწილებს, საბურავებსა და ბალასტს ამატებენ.

კომპლექს VMMD-ის კომპონენტების გამოყენება ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება. ამ შემთხვევაში „მერკატის“ მიერ აღმოჩენილი ნაღმების გაუვნებლება უკან მომავალი კოლონის მესანგრეებს უწევთ.

ავღანეთში ნაღმების აღმომჩენ თვითმავალ სამხრეთაფრიკულ დანადგარს ინტენსიურად იყენებენ. საკუთარ მანქანებს ამერიკელებმა მოდერნიზაცია ჩაუტარეს და Husky Mk III-ზე ლითონდეტექტორებთან ერთად წინა ნაწილში ექოლოკატორი დაამონტაჟეს. ის 3,3 მ-ის სიგანის გზას აკონტროლებს და პლასტიკურ-კორპუსიანი ნაღმების აღმოჩენისთვის გამოიყენება.

ბოლო მოდიფიკაცია Husky 2G ამერიკელი მესანგრეების განკარგულებაში 2011 წლიდანაა. მანქანის მართვისა და აღმოჩენილი ნაღმების დაფიქსირების ფუნქცია ეკიპაჟის 2 წევრს შორისაა განაწილებული (ყველა წინამორბედი ვარიანტი ერთკაციანია). ლითონდეტექტორებსა და ექოლოკატორებთან ერთად, 9 ტ-იან „საბრძოლო ტრაქტორზე“ მაგნიტურ-იმპულსური დეტექტორები და რადიოსიგნალების ჩამხშობი სისტემებია დაყენებული. გრუნტზე მოქმედი დატვირთვის შემცირებისთვის ახალ „ჰასკიზე“ ნახევარი მეტრი სიგანის დაბალი წნევის საბურავებია გამოყენებული.

ნაღმების აღმომჩენ თვითმავალ სამანქანეებზე საფრანგეთშიც მუშაობენ. 2004 წლიდან ფრანგული სამხედრო გამოფენებზე სანაღმო ტრალს SOUVIM 2-ს აქტიურ რეკლამას უკეთებენ. თუმცა არმიის შეიარაღებაში ის მხოლოდ 2010 წელს გამოჩნდა. სამხრეთაფრიკული კომპლექსის მსგავსად ისიც ორკომპონენტიანია. ერთნაირკორპუსიან მანქანებს განსხვავებული თვლები აქვთ. დაწოლითი მოქმედების ნაღმებისგან დასაცავად პირველ მანქანას (VDM) განიერი და დიდი დიამეტრის დაბალი წნევის საბურავები აქვს. მეორე კომპონენტზე (VTR) მტრალავი მისაბმელებია ჩაბმული და თვლები დიდი წნევისაა.

გამოყენებული კომპონენტებისა და მისაბმელების რაოდენობიდან გამომდინარე, ფრანგული სანაღმო ტრალი 2,6-დან 3,9 მ-მდე სიგანის გზას „წმენდს“. მისი მოქმედების პრინციპი სამხრეთაფრიკული VMMD-ს ანალოგიურია და ორივე მანქანაზე ლითონდეტექტორების დაყენება შეიძლება. თუმცა ფრანგული „საბრძოლო ტრაქტორების“ წინ მოგორავე კონსტრუქციაზე ექოლოკატორის სანაცვლოდ ტემპერატურის ინფრაწითელი დეტექტორები და ამერიკული Rhino-ს ანალოგია დაყენებული.

პირველის მუშაობის პრინციპი საგნების შინაგანი ენერგიით გამოყოფილი ელექტრომაგნიტური გამოსხივების გაზომვაზეა დაფუძნებული. Rhino ინფრაწითელ დიაპაზონში მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობების წინააღმდეგ გამოიყენება. ოთხკუთხედ ყუთში მოთავსებული სპირალი დიდ სიმხურვალეს გამოყოფს, ხოლო მაღალი ტემპერატურა სითბური დამიზნების ფეთქებად მოწყობილობას, (რომელიც მანქანის ძრავის სითბოზე უნდა რეაგირებდეს) ატყუებს და მის ინიცირებას უსაფრთხო მანძილზე ახდენს.

ალექსანდრე აფაქიძე

აფეთქებისას, მანქანაზე დარტყმის ტალღის ეფექტის შესამცირებლად, თვლების ღერძები კორპუსიდან მაქსიმალურად დაშორებულია. დაწოლითი მოქმედების ნაღმებისგან „გადარჩენისთვის“ SOUVIM-2-ის პირველ კომპონენტს სპეციალური დაბალი წნევის საბურავები აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირიის კონფლიქტი: ახლო აღმოსავლეთის „კავკასიზაციის“ დასაწყისი?

სირიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. სირიის ლოკალური ომის პარამეტრები უკვე გადავიდა გეოპოლიტიკური კონფიგურაციიდან გეოსტრატეგიული მოდელირების მდგომარეობამდე.

როგორც ცნობილია, გეოსტრატეგია არის გეოპოლიტიკური ანალიზი სამხედრო ანალიზის ჭრილში, ხოლო მეორე განმარტებით კი, გეოსტრატეგია არის ტრადიციული ძალთა პოლიტიკის ტერმინი, რომელიც ასახავს მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას სამხედრო პარამეტრებით.

ის ფაქტი, რომ სირიის კონფლიქტმა მიიღო წმინდა გეოსტრატეგიული დაპირისპირების მასშტაბები, გამოიხატა იმ გარემოებით, რომ საუდის არაბეთი და საუდიდების დინასტია უკვე მზად არის სირიაში განახორციელოს ინტერვენცია და ითამაშოს უფრო აქტიური როლი სირიის „გამბიტში“.

საუბარია გავლენიანი ამერიკული ჟურნალ Foreign Policy-ს ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთი იორდანიაში 50-ათასიან არმიას ქმნის და მას წვრთნებს პაკისტანელი სამხედრო ინსტრუქტორები უტარებენ.

ჟურნალის მონაცემებით იორდანიაში ლტოლვილთა ბანაკებში მყოფი სირიელებისგან უკვე ჩამოყალიბებულია ათ-ათათასიანი ორი ბრიგადა.

ამას გარდა, საუდის არაბეთის საერთო სადაზვერვო სამსახურის ეგიდით ჩამოყალიბდა ახალი ისლამისტური სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება „ისლამის არმია“ („ჯეიშ ალ-ისლამი“), რომელსაც სათავეში ჩაუდგა საველე მეთაური მუჰამად ულუშა.

საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ ტურკი ალ ფეისალმა ჩაიბარა ოპერაციაში საუდის არაბულ-პაკისტანური კოალიციის საერთო ხელმძღვანელობა. აღნიშნული პიროვნება საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა და იგი არის საუდიდების სამეფო დინასტიის წარმომადგენელი და საუდის არაბეთის საერთო სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი.

როგორც ჩანს, ოფიციალური ერ-რიადი და ისლამაბადი ერთობლივად აპირებენ გეოსტრატეგიული ლაშქრობის დაწყებას ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური დამასკო-თეირანის წინააღმდეგ, ნაწილობრივ კი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგაც.

ასეთი ერთობლივი „ლაშქრობა“ და სტრატეგიული პარტნიორობა რიგით უკვე მესამეა და რა გამოვა, დრო აჩვენებს. რაც შეეხება წინა ორ გეოსტრატეგიულ „ლაშქრობებს“, ისინი წარმოადგენდნენ შემდეგს:

საუდის არაბეთი ფინანსურად დაეხმარა პაკისტანს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში და „არაბული ბირთვული ბომბის“ შექმნაში, რომელსაც 1998 წელს პროფესორი ხანი ხელმძღვანელობდა. ამ პრო-

საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილი უფროსი ტურკი ალ ფეისალი

ექტმა ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთში „არაბული გეოცენტრიზმის“ განვითარებას;

საუდის არაბეთი და პაკისტანი გამოვიდნენ სტრატეგიულ მოკავშირეებად ჯერ კიდევ 1982 წელს ავღანეთში საბჭოთა აგრესიის პერიოდში, როდესაც ორივე ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებმა იმავე წელსვე ურთიერთთანამშრომლობაზე საიდუმლო მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმი კიდევ უფრო განმტკიცდა 1994-1999 წლებში და ის უკავშირდებოდა „კავკასიურ გეოპოლიტიკურ გამბიტში“ ჩაბმას.

იორდანიაში ლტოლვილთა ბანაკებში მყოფი სირიელებისგან უკვე ჩამოყალიბებულია ათ-ათასიანი ორი ბრიგადა

სწორედ საუდის არაბეთის და პაკისტანის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წყალობით კავკასიის არეალში, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ რეგიონში (მათ შორის საქართველოში — აფხაზეთსა და პანკისის რეგიონებში) გავრცელდა ვაჰაბიზმი, რომელმაც განაპირობა კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავება.

სწორედ საუდის არაბეთისა და პაკისტანის სპეცსამსახურები ქმნიდნენ ჩეჩნეთში რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებს, როცა 1996 წელს გაიხსნა „კავკასიის ისლამური ინსტიტუტი“ და ჩამოყალიბდა „ისლამური სამშვიდობო ბრიგადა“ შამილ ბასაევის მეთაურობით.

პროექტი 10 მილიონი დოლარი დაჯდა. ტურკი ალ-ფეისალმა პირადად გამოგზავნა თავისი ემისრები — ხატაბი და აბუ ალ-ვალიდი „კავკასიაში ისლამური ხალიფატის“ იდეის განხორციელების მიზნით.

საუდის არაბეთ-პაკისტანის ტანდემი დაუპირისპირდა კავკასიის არეალში სირია-ირანი-რუსეთის გეოპოლიტიკურ კოალიციას და მათ შორის სასტიკი მეტოქეობა დაიწყო.

სირიის ასადის რეჟიმს ჰქონდა განსაკუთრებული გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში, რომელიც ხელს უწყობდა კრემლის პოზიციის განმტკიცებას ჩრდილოეთ და ასევე სამხრეთ კავკასიაშიც 1992-2003 წლებში და, ფაქტობრივად, ასრულებდა „პრიმაკოვის დოქტრინით“ გათვალისწინებულ პუნქტებს:

- გეოსტრატეგიული მაგისტრალური ხაზის „გაჭრას“: სირია-ირანი-სომხეთი-რუსეთის ფედერაცია სტრატეგიული შეიარაღებისა (ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300 Фаворит) და თავდაცვითი ტიპის შეიარაღების იმპორტისთვის;
- ჩერქეზულ-ვაინახური დიასპორის პოზიციის განმტკიცება დედასამშობლოსთან მჭიდრო კონტაქტის წყალობით და ასადის რეჟიმის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, ანალოგიური მიდგომა სომხური დიასპორის წარმომადგენლების მიმართაც;
- „წინმსწრები თავდაცვა“, ანუ ამერიკელებთან ომი მიმდებარე გეოპოლიტიკურ სივრცეში (მაგალითად, 1992-1993 წლების აფხაზეთის ომში აფხაზების მხარეს იბრძოდნენ სირიის ერთ-ერთი სპეცდანიშნუ-



სირიის პრობლემას პაკისტანის მხრიდან უწყებათშორისი დაზვერვის შეფი ზაჰირულ ისლამი კურირებს

ლების რაზმის წევრები კაპიტან ალ-ბაშირის მეთაურობით);

- რუსეთთან ალიანსის შექმნა საუდის არაბეთის წინააღმდეგ;
- რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიიდან „მოხალისე მებრძოლებისა“ და დაქირავებული მებრძოლების გადმოსროლის უზრუნველყოფა ასადის რეჟიმის გასაძლიერებლად (მაგალითად, ჩეჩნური „ვოსტოკის“ ბატალიონის მებრძოლები, კადიროვის პირადი გვარდიის მებრძოლების მონაწილეობა სირიის ლოკალურ ომში და ა.შ.). როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მიუთითებს, ახლო აღმოსავლეთში დაიწყო ე.წ. „კავკასიზაცია“, რაც ნიშნავს სირია-ირანი-რუსეთის დაპირისპირებას საუდის არაბეთი-პაკისტანის ბლოკთან, ანუ კავკასიის სივრციდან დაპირისპირება უკვე ამ არეალში გადმოდის.

ვახტანგ მაისაია
აი-ბი ევროკავკასიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ᲐᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡტᲠᲝ

F-15E

„კატიუშიდან“ „გრადამდე“

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა დიდ ფართობზე მოწინააღმდეგის სამიზნეების განადგურების საუკეთესო საშუალებად ითვლება

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები დიდ ფართობზე მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების, გამაგრებული პოზიციების, ცოცხალი ძალისა თუ საბრძოლო ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანის საუკეთესო საშუალებად ითვლება და ლულიან საარტილერიო სისტემებს მობილურობა-კომპაქტურობით ბევრად სჯობს.

რეაქტიული სისტემები ერთობ გავრცელებულია და მრავალი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში დაიმკვიდრა ადგილი. იმავდროულად, ზოგიერთი ტერორისტული თუ რევოლუციური ორგანიზაციის სამხედრო ფორმირებათა ლამის საშტატო იარაღად იქცა.

დღეისათვის კი იარაღის მსოფლიო ბაზარი მყიდველებს სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებულ, სხვადასხვა კალიბრის, მიმმართველთა რაოდენობისა თუ შორ მანძილზე მოქმედი ზალპური ცეცხლის სისტემათა ფართო არჩევანს სთავაზობს.

ამ იარაღის ასეთ პოპულარობას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა შორეულ 1941 წლის მარტში, როცა საბჭოთა კავშირში პირველად გამოცადეს სატვირთო ავტომობილ ЗиС-6-ის ბაზაზე შექმნილი რეაქტიული არტილერიის საველე სისტემა БМ-13 და 132 მმ-იანი რეაქტიული ჭურვების РС-132-ის ზალპმა სასწავლო სამიზნე დაფარა. სერიული წარმოების საკითხიც უმოკლეს დროში გადაწყდა და მეორე ომის მსვლელობისას „კატიუშად“ მონათლული რეაქტიული სისტემა წითელი არმიის საცეცხლე ძალის ერთგვარი სიმბოლო გახდა.

დროდადრო ამა თუ იმ კონფლიქტსა და ომში დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებაში ზალპური სისტემების თვითნაკეთი დანადგარებიც გამოჩნდება ხოლმე. მეტწილად ეს მაღალი გამავლობის ავტომობილია მასზე დაყენებული რომელიმე რეაქტიული სისტემის პაკეტით ან საავიაციო უმართავი რაკეტების გამშვები ბლოკით. თუმცა იქმნება ორიგინალური კონსტრუქციებიც. ამ მხრივ გამორჩეულია ახლო აღმოსავლეთი, სადაც არაბი კონსტრუქტორების „შემოქმედებით“ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს.

ისრაელის დასაბომბად არაბები ლითონის მილებისგან კუსტარულად და სხვადასხვა კალიბრის Qassam-ის ტიპის რაკეტებს ამზადებენ, ხოლო გამშვები დანადგარები სხვადასხვა სახის ავტომობილზეა მორგებული.

რადგან ისრაელი ჰაერიდან მუდმივად აკონტროლებს საზღვრების მახლობლად არაბული ავტომობილების მიმოსვლას და მანქანის ძარაზე დაყენებული ზალპური სისტემებიც თვალში საცემია, პალესტინელები ეშმაკობენ და გამშვებ დანადგარებს ოსტატურად ნიღბავენ. ის შეიძლება შეინიღბოს სასწრაფო დახმარების ავტომობილის ძარაში ან თვითმცლელი ავტომობილის ძარის ქვეშ და ა. შ.

ცოტა ხნის წინ ლიბიაში პრეზიდენტ მუამარ კადაფის არმიას აჯანყებულები საკუთარი შემოქმედების ნაირ-ნაირი რეაქტიული სისტემებით ებრძოდნენ, „პიკაპის“ ძარიან მაღალი გამავლობის ავტომობილებზე დაყენებული 107 მმ-იანი სისტემები „ტიპი 63“, საავიაციო 57 მმ-იანი უმართავი რაკეტული ჭურვების გამშვები ბლოკები, „გრადის“ ოთხი მიმმართველით შეკრული თვითნაკეთი პაკეტები და მრავალი სხვა კადაფის მოწინააღმდეგეებს მნიშვნელოვან საცეცხლე მხარდაჭერას უწევდნენ.

კიდევ უფრო მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი რეაქტიული არტილერია სირიის სამოქალაქო ომში. სამთავრობო ჯარებს აქვთ საბჭოთა წარმოების 140 მმ-იანი БМ-14 და 122 მმ-იანი БМ-21 Град-ი, ჩინური 107 მმ-იანი „ტიპი 63“ და მისი ირანული ანალოგი Fajr 1. ეს უკანასკნელი დაახლოებით 10 კმ მან-

ძილზე საცეცხლე ზემოქმედების მსუბუქ და უბრალო საშუალებად ითვლება.

სირიაში ასადის მხარეს „ჰეზბოლას“ რაზმებიც იბრძვიან და გავრცელებული ინფორმაციით, „გრადის“ ირანულ ვერსია Arash-ებს, აგრეთვე, Fajr 1-ებსა და 240 მმ-იან Fadjr 3-ებს იყენებენ.

ვალში არც ანტიასადისტები რჩებიან. მათ შეიარაღებაში სამთავრობო ძალებისთვის წართმეულ სისტემებთან ერთად ცოტა ხნის წინ ხორვატული 128 მმ-იანი დანადგარი RAK-12 (იუგოსლავიური M63 Plamen-ის ანალოგი) გამოჩნდა.

სირიის სამოქალაქო ომი მესამე წელია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს და მის დასრულებამდე დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებაში სხვა სისტემების გამოჩენაც გამორიცხული არ არის.

მოუგვარებელი კონფლიქტების გამო კავკასია მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ცხელ რეგიონად რჩება, სადაც ყოველწლიურად შეიარაღების სხვადასხვა სახეობის შესყიდვებზე სახელმწიფოები დიდ თანხებს ხარჯავენ.

სამხედრო ხარჯების მხრივ კავკასიაში აზერბაიჯანი გამოკვეთილი ლიდერია. ყარაბაღის კონფლიქტის გამო ბაქო საკუთარი არმიის საუკეთესო იარაღითა და სამხედრო ტექნიკით აღჭურვას დიდ ყურადღებას აქცევს, საზღვარგარეთ გაკეთებულ შესყიდვებში არცთუ მცირე ადგილი ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს უკავია. 2012 წლის მიწურულს აზერბაიჯანს დაახლოებით 130-ზე მეტი ამგვარი სისტემა ჰქონდა და ეს მაჩვენებელი ახლა ბევრად დიდი იქნება.

ამჟამად აზერბაიჯანის არმიის განკარგულებაშია: რუსული — 300 მმ-იანი Смерч-ი, 220 მმ-იანი Ураган-ი და 122 მმ-იანი БМ-21 Град-ი, თურქული — 300 მმ-იანი Kasirga, 122 მმ-იანი T-122 Skarya და 107 მმ-იანი T-107, ისრაელის — 300 მმ-იანი Lynx Extra, 160 მმ-იანი LAR-160 და 122 მმ-იანი Lynx Grad AR-ი და ხორვატული 128 მმ-იანი RAK-12.

აზერბაიჯანის არმია თავისი მრავალფეროვანი რეაქტიული არტილერიით 90 კმ-მდე დიაპაზონს მთლიანად ფარავს.

პალესტინელ გამომგონებელთა ნახელავი

ლიბიელთა თვითშემოქმედება — საავიაციო УБ-32-ებით აღჭურვილი მთელი ბატარეა

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-13 შემდგომში „კატიუშად“ მოინათლა

თურქული 107 მმ-იანი სისტემა T-107-ის აზერბაიჯანული ანალოგი — TR-107 Boran-ი

სომხური პასუხი — თერმობარული ჭურვების ზალპური სისტემა

ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყნის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო რეაქტიული სისტემების წარმოებისთვის არაფერს იშურებს. მოკლე დროში მოხერხდა ლიცენზიური და საკუთარი კონსტრუქციის მსუბუქი სახის ზალპური სისტემების ათვისება და სერიული წარმოების დაწყება. 2013 წლის 26 ივნისს აღლუმზე თურქული 107 მმ-იანი ზალპური ცეცხლის სისტემა T-107-ის აზერბაიჯანული ანალოგი — 12-ლულიანი TR-107 Boran-ი გამოიტანეს.

„ბორანების" ტრანსპორტირებისთვის გამოყენებულია ГАЗ-330273 Соболь-ის ტიპის რუსული ავტომობილები, თუმცა ამ კომპაქტური 600 კგ-იანი სისტემის გადატანა მცირე ტვირთამწეობის სხვა ავტომობილებითაც შესაძლებელია. შემოდგომაზე კი აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს სამამულო კონსტრუქციის 15-ლულიანი სისტემა, რომელიც 80 მმ-იან C-8 ტიპის საავიაციო უმართავ რაკეტებს ისვრის. სისტემა კომპაქტურია, ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელი და მისი ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენება შეიძლება.

აზერბაიჯანული წყაროების ცნობით, C-8-ების წარმოებაც ათვისებული აქვთ, ოღონდ რუსული რაკეტებისგან განსხვავებით აზერბაიჯანული მოკლეა, მაგრამ მეტ მანძილზე დაფრინავს და საბრძოლო ნაწილის ძალაც დიდი აქვს.

კიდევ ერთი სიახლეა ბორბლებიან და მუხლუხა მსუბუქ ჯავშანტექნიკაზე დასაყენებელი დისტანციურად მართვადი მოდული, რომელშიც გაერთიანებულია 23 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი (ГШ-23-2Л), 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი (ПКТ), 30 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი (АГС-17) და 80 მმ-იანი C-8 ტიპის ოთხი რაკეტა.

თუ როგორ ახერხებს ოპერატორი ოთხი სახის იარაღით ცეცხლის ეფექტურ გამოყენება-მართვას, ამის შესახებ ოფიციალური ბაქო დუმილს ამჯობინებს.

ყარაბაღის კონფლიქტის მეორე მხარე, სომხეთი, შეძლებისდაგვარად ცდილობს რეაქტიული არტილერიის არსენალის გამრავალფეროვნებას, თუმცა არა ისეთი მასშტაბით, როგორიც აზერბაიჯანს აქვს.

2012 მიწურულს სომხეთის არმიას დაახლოებით 100 რეაქტიული არტილერიის ზალპური სისტემა ჰქონდა, უდიდეს ნაწილს რუსული „გრადები" შეადგენდნენ.

2011 წლის 21 სექტემბერს ერევანში სომხეთის არმიის მე-20 წლისთავზე დიდი სამხედრო აღლუმი ჩატარდა, სადაც სომხეთმა პრაქტიკულად ყველა სა-

დაჯავშნული „კრაზი" — „გრადის" ქართული ვერსია

ხის შეიარაღება წარმოადგინა. ერევნის ცენტრალურ მოედანზე რუსულ 122 მმ-იან Град-თან ერთად ჩინური კომპანია NORINCO-ს 273 მმ-იანი რვარაკეტიანი ზალპური ცეცხლის სისტემა WB-80 იყო ნაჩვენები.

მნახველთა ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი კომპანია Garni Ler-ის მსუბუქი ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიულმა სისტემა 2-მა. მისი გამოყენება შეიძლება მოწინააღმდეგის დახურული პოზიციების, ცოცხალი ძალის, მსუბუქად დაჯავშნული და საავტომობილო ტექნიკის მწყობრიდან გამოსაყვანად.

სომეხმა კონსტრუქტორებმა რუსული სატვირთო ავტომობილის ГАЗ-3308 Садко-ს ძარაში დააყენეს 12-მიმმართველიანი სისტემა, რომელიც სომხური წარმოების თერმობარული (ТБ-1) ან მსხვრევად-ფუგასური (ОГ-7) საბრძოლო ნაწილით აღჭურვილ რეაქტიულ ყუმბარებს ისვრის. სისტემის ტრანსპორტირება დასაშვებია სატვირთო ავტომობილის ძარით, МТ-ЛБ-ს ან სხვა მსუბუქად დაჯავშნული ტექნიკის კორპუსზე.

ცოტა ხნის წინ სომხეთმა ისევ ჩინური NORINCO-სგან WB-80-ზე ბევრად ძლიერი 300 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა AR1A შეიძინა. ეს უკანასკნელი რუსული „სმერჩის“ შემდგომ განვითარებად განიხილება და საბრძოლო ნაწილის ტიპის მიხედვით მიზანს 60-130 კმ-ის რადიუსში ანადგურებს.

განვლილ ომებსა თუ კონფლიქტებში რეაქტიული არტილერიის გამოყენებაში დიდი გამოცდილება დაგროვა საქართველომ. თბილისის ომის დროს 1991 წლის დეკემბერში მაშინდელი მთავრობის სახლზე (ახლანდელი პარლამენტის შენობა) შეტევის დროს ოპოზიციურ ძალებში მსუბუქ გამნე МТ-ЛБ-ზე დაყენებული სეტყვასაწინააღმდეგო 82,5 მმ-იანი „ალაზნის“ ტიპის რაკეტებიანი დანადგარი გამოჩნდა.

1991 წლის დეკემბერი თბილისის ომი და რუსთაველზე გამოყვანილი „ალაზანის“ სისტემა

შემდგომ ომებში ზოგიერთმა ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებამ საკუთარი ინიციატივით მსუბუქი ჯავშანტექნიკის (БРДМ-2, БМП-1/2, МТ-ЛБ და სხვ.) კორპუსზე საავიაციო უმართავი 57 მმ-იანი და 80 მმ-იანი რაკეტების გამშვები ბლოკები (УБ-16-32КВ, Б-8М და სხვ.) დააყენეს. თუმცა ასეთი სისტემების ცეცხლის სიზუსტესა და ეფექტურობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამჟამად ქართული არმიის შეიარაღებაშია ისრაელში დამზადებული 160 მმ-იანი LAR-160-ები, აგრეთვე 122 მმ-იანი ჩეხური წარმოების RM-70-ები და საბჭოთა 122 მმ-იანი БМ-21 Град-ები.

2012 წლის 3 მარტს ვაზიანის პოლიგონზე სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „დელტას“ პროექტით დამზადებული რეაქტიული სისტემის გამოცდას ველოდით, მაგრამ სინამდვილეში ის „ურალის“ მარკის ავტომობილიდან უკრაინულ კრაზის 6332-ე მოდელზე დაყენებული სტანდარტული „გრადის“ პაკეტი აღმოჩნდა. სიახლე კი დანადგარის მომსახურე პერსონალისთვის კრაზის დაჯავშნული კაბინა იყო. შეჯავშნულ კაბინაში ახალი არაფერია და საზღვარგარეთული წარმოების რიგ სისტემებშია გამოყენებული, როგორიცაა, მაგალითად, ბრაზილიური Astros II (ისვრის 127 მმ-იან, 180 მმ-იან და 300 მმ-იან რაკეტებს), ესპანური 140 მმ-იანი Teruel 3 და სხვ. იმ მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მსუბუქი სახის რეაქტიულ სისტემებს ამჯობინებენ, ქართული სისტემა მძიმეა, რაც ავტომობილის რესურსზე, საწვავის ხარჯზე, გარბენსა და სხვა მახასიათებლებზე მოქმედებს.

მსუბუქი ზალპური ცეცხლის სისტემებით დაინტერესება თვით „კატუშას“ სამშობლოშიც კი გაჩნდა და ერთ-ერთმა რუსულმა სამეცნიერო საწარმომ ჯავშნიანი ავტომობილ Тигр-ის საფუძველზე Мини-Град-ი შექმნა, სადაც 81,5 მმ-იანი ან 105 მმ-იანი უმართავი რაკეტები და გამშვები 20 მიმმართველია გამოყენებული. დანადგარის შემქმნელთა აზრით, „მინი-გრადი“ სუსტად დაცული მიზნების, ცოცხალი ძალის თავშეყრის ადგილების, მსუბუქი ჯავშანტექნიკისა და მარტივი თავშესაფრების საცეცხლე დამუშავებისთვის ეფექტური იქნება.

თემურ ჩაჩანიძე

ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში იტალიის მონაწილეობას იტალიელები ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომაც — ავღანეთში სპეციალური ოპერაციების ძალების Task Forcfe 45-ის საბრძოლო მოქმედებათა შესახებ ბოლო დრომდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. მაგრამ, როცა იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია მათი ნამოქმედარის შესახებ, პაციფისტები ახმაურდნენ — მათ თანამემამულეებს იქ ბრძოლის უფლება ხომ არ ჰქონდათ, შემდეგ კი 2011 წლის 3 ნოემბერი დადგა.

ზეციური მეხთამტეხა

დაახლოებით დილის ათის ნახევარზე ჰერათის სამხრეთით მდებარე აეროპორტისკენ მიმავალი გზატკეცილის მახლობლად ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. მაღალ კედელში ჩადგმული მასიური კარის ახლოს ორმა თვითმკვლელმა ასაფეთქებელი მასალით გატენილი ავტომობილი ააფეთქა. აფეთქებისგან გაჩენილ კედლის ნახლეჩში მომენტალურად შევარდა სამი წვერიანი ბანდიტი და დაცვას გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თავდასხმის შესახებ ცნობა მიიღო კოალიციური ძალების შტაბმა („დასავლეთი"), მაგრამ მოხსენებების გარეშეც ყველაფერი ნათელი იყო, რადგან აფეთქებებისა და ავტომატების სროლის ხმები ბაზა Camp Arena-ს შტაბიდან რამდენიმე კმ-ის მოშორებით ისმოდა. იქ კი ესპანელთა და იტალიელთა სამხედრო კონტინგენტი იყო განლაგებული. ასევე ადვილი გამოსაცნობი იყო კონკრეტული ბრძოლის ადგილი — ეს იყო კომპანია ES-KO-ს ტერიტორია.

ავღანეთის დასავლეთით ეს კომპანია ხელშეკრულების თანახმად NATO-ს ჯარებს ამარაგებდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ მას თავს დაესხმებოდნენ, იგი ხომ მშვიდობიან მისიას ასრულებდა. მისი დაცვაც არ იყო განსაკუთრებული, მას ავღანური კერძო ფირმა იცავდა. მის თანამშრომლებს შორის ბევრი უცხოელი, მათ შორის იტალიელებიც იყვნენ.

ოფიციალური შეტყობინება თავდასხმის შესახებ ავღანეთის დასავლეთში კოალიციის ძალების სარდალმა, იტალიელმა გენერალმა ლუჩიანო პორტოლანომ დილის ცხრა საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე მიიღო.

მდგომარეობა რთული იყო, მაგრამ მას ერთი მნიშვნელოვანი მხარე აღმოაჩნდა, — იტალიელი ცოლქმარი, რომლებიც ბაზაში თალიბებისგან უჩინარ ადგილას იყვნენ დამალულნი, მომხდარის შესახებ ზუსტ ინფორმაციას ტელეფონით შტაბს მუდმივად გადასცემდნენ. როგორც იტყობინებოდნენ, თალიბებმა მძევლად აიყვანეს კომპანიის 18 თანამშრომელი, მათ შორის სამი იტალიელი, ხოლო დანარჩენები ერთ-ერთ შენობაში იყვნენ ჩაკეტილი. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, რადგან ბოევიკებს მათი დატყვევებაც შეეძლოთ. ცნობის მიღებიდან ათი წუთის შემდეგ დაიწყო „მდგომარეობის სალიკვიდაციო და იტალიის მოქალაქეების უსაფრთხო ევაკუაციის" გეგმაზე მუშაობა. აშკარა იყო, რომ ბოევიკები არც საკუთარ თავს დაინდობდნენ და არც მძევლებს. ამიტომ დაყოვნება დატყვევებულებს შესაძლოა ძვირად დასჯდომოდათ, მით უმეტეს, რომ ბანდიტები იმ შენობის კარის შემტვრევას ცდილობდნენ, რომელშიც ოცამდე მოქალაქე აფარებდა თავს. თუმცა, თუ კარს ვერ შეამტვრევდნენ, ხომ შეეძლოთ ყუმბარსატყორცნები დაეშინათ ფანჯრებისათვის. ამიტომ საჭირო იყო ცეცხლის მეშვეობით ბანდიტების ყურადღების სამოქალაქო პირებისგან ჩამოცილება და მაქსიმალურად სწრაფად მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა. გადაწყდა, რამდენიმე მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით ერთდროულად შეეტიათ. ბრძოლა უნდა წარმართულიყო მაქსიმალურად ახლო დისტანციიდან. გეგმა სარისკო იყო, მაგრამ მდგომარეობა მას ამართლებდა. მოიერიშე ჯგუფებისა და ცეცხლით მხარდამჭერთა ბრძოლის ადგილას მისაყვანად შვეულმფრენები გამოიძახეს. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. შეტევა მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა ბოევიკთათვის. დაახლოებით ოცმა მებრძოლმა კარაბინერთა ანტიტერორისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის სპეცდანიშნულების ძალების მოიერიშე ჯგუფებმა შენობებში გამაგრებულ ბოევიკებს ფანჯრებიდან, კარებიდან და სახურავებიდან ერთდროულად შეუტიეს.

მთავარი ამოცანა ადამიანების გადარჩენა იყო და ბოევიკთა ცეცხლქვეშ მათმა ევაკუაციამ ძალიან სწრაფად ჩაიარა. საბედნიეროდ, ყველა მძევალი და ოპერაციაში მონაწილე თანამშრომელი დაშავებას გადაურჩა.

მოგვიანებით იტალიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იტალიური სპეცრაზმების ჩარევის წყალობით შესაძლებელი გახდა „31 სამოქალაქო პირის უსაფრთხო ევაკუირება. მათ შორის 6 იტალიელი, ერთი ავღანელი და 24 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე იყო“.

შუადღემდე სპეცრაზმელებმა ბოევიკებსაც გაუსწორეს ანგარიში. ყველა ტერორისტი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაანადგურეს. იერიშის დროს დაილუპა ორი მცველი, დაჭრილთა შორის კი სამი ავღანელი — პოლიციელი და ორი მცველი აღმოჩნდა. ბოევიკის თვითაფეთქებისას ნამსხვრევებით ფეხში დაიჭრა კარაბინერთა სპეცრაზმის ოპერი. კოალიციური ძალების წარმომადგენლის აზრით, „მისი მდგომარეობა სახიფათო არ იყო“. დაჭრილთა შორის მოიხსენიებოდა აგრეთვე „იდუმალი დაზვერვის თანამშრომელი“, მაგრამ რომელ სპეცსამსახურს მიეკუთვნებოდა, გაურკვეველი დარჩა.

თავდაცვის მინისტრმა მოკლედ განაცხადა „იდეალურად ჩატარებული“ ოპერაციის შესახებ, რომელიც სწრაფი რეაგირების ძალებმა, სნაიპერებმა, შვეულმფრენებმა და ავღანეთში იტალიის სპეციალური ძალების ჯგუფმა Task Force-მა ჩაატარა.

საბრძოლო ჯგუფების მომზადების დონე ასევე დადებითად შეაფასა კოალიციური ძალების მთავარსარდალმა გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა: „მე არ შევეხები წვრილმანებს, ვიტყვი მხოლოდ, რომ საშუალება მომეცა, გავცნობოდი Task Force 45-ის პროფესიონალურ მოქმედებებს და ვფიქრობ, იტალიელებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ჯარისკაცებით“. მაშ, რას წარმოადგენს Task Force 45 და რისთვისაა მოწოდებული იგი?

იტალიელები ავღანეთში

ერთ-ერთი იტალიელი ჟურნალისტი Task Force 45-ის შესახებ წერდა: „ეს არის სომალიში ჩატარებული „ოპერაცია იბისის“ შემდეგ იტალიაში ოდესმე შექმნილი სპეცდანიშნულების რაზმებს შორის უმსხვილესი სამხედრო ქვედანაყოფი. დაახლოებით ორასმა პროფესიონალმა დაარღვია იტალიის კონსტიტუცია და ამერიკულ Delta Force-სა და ბრიტანულ SAS-თან ერთად მონაწილეობდა საიდუმლო ოპერაცია Sarissa-ში, რომლის მიზანი ფარაჰის პროვინციაში თალიბების განადგურება იყო“. იტალიის კონსტიტუცია მართლაც კრძალავს თავისი შეიარაღებული ძალების საომარ ოპერაციებში მონაწილეობას, თუ ის ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს არ ემსახურება. მაგრამ განა იტალიის სახელმწიფო ინტერესებში არ შედიოდა მისი მოქალაქეების ჰერათის ტყვეობიდან გათავისუფლება?

თუმცა ზემოთ მოტანილი ციტატა ჯერ კიდევ ჰერათის ოპერაციამდეა დაწერილი. მაშინ აბეზარმა იტალიელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს იტალიური სწრაფი რეაგირების ძალების მიერ ავღანეთის დასავლეთში ჩატარებული სპეცოპერაციების სია 2006 წლის შემოდგომიდან შემდეგი ორი წლის ჩათვლით.

გულახდილად რომ ვთქვათ, Task Force 45-ის მიერ ჩატარებული ყველა ოპერაცია ვერ ჩაითვლება „თავდაცვითად“, მაგრამ ცნობილია, რომ საუკეთესო თავდაცვა-თავდასხმაა. ეტყობა ამ ფორმულით ხელმძღვანელობდნენ იტალიელი მეთაურები ავღანეთში.

2006 წლის სექტემბერი. Task Force 45-ის ჯგუფი და 66-ე პოლკი „ტრიესტის“ მედესანტეები, ავღანეთისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებთან ერთად მონაწილეობდნენ ოპერაცია Wyconda Pincer-სა და Wyconda Pincer 2-ში, რომლებიც ფარაჰის პროვინციაში ჩატარდა.

იტალიელებმა ბრძოლების დროს დაახლოებით სამოცდაათი თალიბი გაანადგურეს. იტალიის თავდაცვის სამინისტრომ მკაცრი ბრძანება გასცა, რომ ოპერაციასთან დაკავშირებული მონაცემები საიდუმლოდ ყოფილიყო შენახული.

2006 წლის 1-ლი ოქტომბერი. იგივე ძალები ამერიკულ და ავღანურ რაზმებთან ერთად მონაწილეობდნენ ფარაჰის პროვინცია გულისტანის რაიონში ჩატარებულ ოპერაცია Wyconda Rib-ში, რომლის დროსაც თალიბების მიერ დაკავებული ტერიტორიები გათავისუფლდა. ოპერაციის დეტალები დღემდე უცნობია.

იტალიელი სპეცრაზმელები თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვეულმფრენი A-129 Mangusta
საცეცხლე მხარდაჭერა ეფექტურია

2006 წლის 10 დეკემბერი. იტალიელმა გენერალმა ანტონიო სატამ კოორდინაცია გაუწია ავღანეთის არმიის სახმელეთო ძალებსა და აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს ფარაჰის პროვინციის ბალა-ბულოკის რაიონში, სადაც შეაღწია თალიბების ჯგუფმა ჰერათისკენ მიმავალ წრიულ გზატკეცილზე დივერსიის მოსაწყობად. ოპერაციისას ავღანელ ჯარისკაცებს 207-ე კორპუსიდან თან ახლდნენ მომზადებისა და კავშირის ჯგუფიდან (OMLT) იტალიელი მრჩეველები. შეტაკებებში სულ მცირე 9 ბოევიკი განადგურდა.

2007 წლის 21 თებერვალი. იტალიელები, ავღანეთის ჯარებთან ერთად მონაწილეობენ ბაყვას რაიონის გათავისუფლების ოპერაციაში. ეს უკანასკნელი თალიბებს ორი დღის წინ ჰქონდათ დაკავებული.

ავღანეთში იტალიური კონტინგენტის განკარგულებაშია მრავალმხრივი დანიშნულების მანქანა IVECO VM 90

ოპერაციის დროს დაახლოებით ოცი ბოევიკი განადგურდა.

2007 წლის 11 მარტი, 10 აპრილი. Task Force 45-ის ჯგუფები და იტალიური სწრაფი რეაგირების ძალების მედესანტეები მონაწილეობენ სპეცოპერაცია Tiger Achilles-ში. მათი ამოცანა თალიბების სავარაუდო უკან დახევის გზების ბლოკირება იყო.

თავდაცვის სამინისტრო თავიდან უარყოფს ოპერაციაში იტალიელთა მონაწილეობას, მაგრამ მოულოდნელად საიდუმლო ინფორმაციამ მადრიდიდან გაჟონა. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში იტალიურმა სპეცდანიშნულების ძალებმა უამრავი რეიდი და ჩასაფრება მოაწყვეს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის კი მხოლოდ სამი მათგანი იყო ცნობილი.

2007 წლის 27 აპრილი ჰერათის პროვინციის შინდანდის რაიონში გენერალმა ანტონიო სატამ კოორდინაცია გაუწია აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავებს, რომლებიც ზირკოხის ზეგანზე თალიბების პოზიციებს ბომბავდნენ. პირველივე ბრძოლაში 49 თალიბი დაიღუპა. დაბომბვას მშვიდობიანი მოქალაქეებიც ემსხვერპლნენ, რამაც ქვეყანაში მასობრივი პროტესტი გამოიწვია. სატამ განაცხადა, რომ ოპერაცია იტალიელების მომზადებული იყო, რომ იტალიელთა შვეულმფრენებს გამოჰყავდათ დაჭრილები, იტალიის თავდაცვის სამინისტრო კი კვლავ ჯიუტად უარყოფდა მომხდარს და აცხადებდა, რომ ამ ოპერაციის შესახებ მისთვის არაფერი იყო ცნობილი.

2007 წლის 10 აგვისტო. ბადგის პროვინცია ბალამურღაბის რაიონში ესპანურ და ავღანურ ტექნიკის კოლონას თავს დაესხნენ თალიბები. სწრაფი რეაგირების ძალების ბარსელიერთა ბრიგადა „გარიბალდის“ 1-ლი პოლკის მსროლელთა რაზმი ორ-ნახევარი საათი ებრძოდა მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში პირველად მონაწილეობდნენ იტალიური A-129 Mangusta-ს ტიპის შემტევი შვეულმფრენები და თალიბებმა ბრძოლის ველზე ათობით ბოევიკი დატოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 წლის 28 აგვისტო. ფარაჰის პროვინციაში სადაზვერვო რეიდისას თალიბების დაგებულ ხაფანგში იტალიური ჯავშანმანქანების Lynx-ების კოლონა აღმოჩნდა. იტალიელებმა ბრძოლა მიიღეს და ჰერათიდან „მანგუსტები“ გამოიძახეს. ჩასაფრებულ თალიბთაგან არც ერთი ცოცხალი არ გადარჩენილა.

2007 წლის 19 სექტემბერი. Task Force 45-ის ჯგუფი და სწრაფი რეაგირების ძალების მსროლელთა ჯგუფი ორ შვეულმფრენ „მანგუსტთან“ ერთად მონაწილეობდნენ სპეცოპერაცია Palk Wahel-ში. ამოცანა ჰილმენდის პროვინციიდან უკან დახეული თალიბების ბლოკირება იყო, როცა ფარაჰის პროვინციაში კოალიციის ჯარების მასშტაბურ ოპერაციას ატარებდნენ.

2007 წლის 5 ოქტომბერი. მე-5 ბრიგადა „იულიას“ ალპურმა მსროლელებმა მუსახის ველზე ღამით თალიბების სიმაგრეებს შეუტიეს. თალიბებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლით შეშინებულები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ.

2007 წლის 1-21 ნოემბერი. Task Force 45-ის ჯგუფი, სწრაფი რეაგირების ძალების სნაიპერები, შვეულმფრენებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების მხარდაჭერით, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად იბრძოდნენ ფარაჰის პროვინციის გულისტანის რაიონზე კონტროლის აღსადგენად. ბრძოლებში ათობით თალიბი განადგურდა.

მომდევნო პერიოდში სპეცოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, მაგრამ არის გამონაკლისიც, მაგალითად, 2012 წლის 3 აპრილს Task Force-ს ჯგუფის რეიდის დროს ამოიღეს ასაფეთქებელი ნივთიერებები, დიდძალი იარაღი და საბრძოლო მარაგი, ხოლო დატყვევებული თალიბები ავღანეთის ხელისუფლებას გადასცეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კარაბინერთა სპეცრაზმი მეცადინეობის დროს

იტალიური Task Force 45-სა და ავღანელი სამხედროების ერთობლივი ოპერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრინავი ტრანსფორმერები

ვერტიკალური აფრენა-დაფრენის შესაძლებლობა და მაღალი ჰორიზონტალური სიჩქარით მოძრავი საფრენი აპარატის შექმნის პერსპექტივა სამხედროებს ყოველთვის ხიბლავდა. ერთ საფრენ აპარატში ასეთი თვისებების შერწყმა კი ერთნაირი ეფექტურობით დესანტის გადასხმის, დაჭრილთა ევაკუაციის, ტვირთის გადატანის, დაზვერვისა თუ საჰაერო იერიშების საშუალებას იძლეოდა.

ხრახნიანი საფრენი აპარატების შექმნა პირველად ავტოჟირების სახით სცადეს. შვეულმფრენის მსგავსად მასაც მზიდი ხრახნი აქვს, თუმცა ხრახნს ძრავის ნაცვლად მიმწყდომი ჰაერის ნაკადი ატრიალებს.

ასეთი საფრენი აპარატის შექმნის იდეა ესპანელ კონსტრუქტორ ხუან დე სერვას ეკუთვნის. რამდენიმე მარცხის შემდეგ სერვამ 1923 წელს მოქმედი პროტოტიპი C.4 შექმნა, ხოლო გაუმჯობესებული მოდელ C.8-ით კი პარიზიდან ლონდონში გადაფრინდა. მალე ავტოჟირებით დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და სსრკ-შიც დაინტერესდნენ.

თანდათან სამხედრო სფეროში ავტოჟირები გაცილებით სრულყოფილმა ხრახნიანმა საფრენმა აპარატებმა — შვეულმფრენებმა ჩაანაცვლეს. თუმცა მინუსები მათაც ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, ფრენის შედარებით მცირე ჰორიზონტალური სიჩქარე. ინჟინრების მცდელობის მიუხედავად, 50-იანი წლების ბოლოს შვეულმფრენების მაქსიმალური სიჩქარის ზღვარი 260-280 კმ/სთ-ს არ აღემატებოდა, როცა თვითმფრინავებისთვის ანალოგიური მაჩვენებელი ბგერის ორ სიჩქარეს აჭარბებდა. ამიტომაც სპეციალისტებს ერთმანეთთან თვითმფრინავისა და შვეულმფრენის შესაძლებლობების „შეჯვარების“ იდეა გაუჩნდათ. სხვათა შორის, მსგავს კონსტრუქციულ გადაწყვეტილებაზე ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე მუშაობდნენ.

1938 წელს გერმანულმა ფირმა „ვეზერფლუგმა“ კონვერტოპლან P.1003-ის პროექტი წარმოადგინა. უჩვეულო საფრენი აპარატი ვერტიკალურ აფრენა-დაფრენას ფრთის ბოლოვანებისა და მათზე დამაგრებული ხრახნების მობრუნებით ახდენდა. პროექტის რეალიზაციას ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა.

დეტალურად შემუშავებული კონვერტოპლანის მეორე პროექტის ჩაშლაში დამნაშავე ამჯერად ომის დასრულება იყო. Focke-Achgelis-ის პროექტი ორხრახნიან Fa-269-ის შექმნაზე იყო გათვლილი. აფრენა-დაფრენისთვის აუცილებელი ვერტიკალური წევის შესაქმნელად აპარატის წამყვანი ხრახნები ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ქვევით 85 გრადუსით იხრებოდა.

50-იან წლებში კონვერტოპლანების თემატიკა კვლავ აქტუალური გახდა. ამ ტიპის საფრენი აპარატები 2 ძირითად კლასად იყოფა — მბრუნავფრთიანები ე.წ. „ტილტვინგები“ და კონვერტოპლანები მბრუნავი ხრახნებით.

ამერიკული Bell-ი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც კონვერტოპლანის მოქმედი პროტოტიპი შექმნა.

1955 წლის 23 აგვისტოს ჰაერში საცდელი XV-3 აფრინდა. 9,2 მ-ის სიგრძის ცარიელი აპარატი მხოლოდ 1633 კგ-ს იწონიდა. ვერტიკალურ აფრენა-დაფრენას

და შემდგომ ჰორიზონტალურ ფრენას ფრთის ბოლოებზე დაყენებული ორი მბრუნავი ხრახნი უზრუნველყოფდა.

ძრავის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ხრახნები ავტომატურად ვერტიკალურ მდგომარეობაში გადადიოდა და XV-3-ს ავტოროტაციით დაშვების საშუალებას აძლევდა. გამოცდისას მაქსიმალურმა სიჩქარემ 290 კმ/სთ შეადგინა. ერთი 450 ცხ.ძ.-იანი ძრავით აღჭურვილი კონვერტოპლანისთვის ეს ურიგო მაჩვენებელი არ იყო.

Bell-ის წარმატებას აშშ-ში კონვერტოპლანების ბუმი მოჰყვა. საკუთარ თვითმფრინავ-შვეულმფრენების ჰიბრიდულ ვარიანტებზე მუშაობა თითქმის ყველა ამერიკულმა საავიაციო ფირმამ დაიწყო. ახალი ტიპის საავიაციო ტექნიკით პენტაგონიც დაინტერესდა.

1959 წელს არმიისა და ფლოტის ერთობლივი დაკვეთით ფირმებმა Vought-მა, Rayn-მა და Hiller-მა ახალ „ტილტვინგის“ ტიპის კონვერტოპლანზე დაიწყეს მუშაობა. შეცვლილი პროპორციების მიუხედავად, ვიზუალურად ოთხძრავიანი XC-142 ტრადიციულ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს ჰგავდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, ერთი უნიკალური შესაძლებლობა ჰქონდა, — სპეციალურ მექანიზმს 20,6 მ-ის გაქანის ფრთა და მასზე დამაგრებული 4 ძრავა ჰორიზონტალური მდგომარეობიდან 90°-იან ვერტიკალურში გადაჰყავდა. ტრანსფორმაციას XC-142 ვერტიკალური აფრენა-დაფრენისთვის იყენებდა.

პირველი აფრენა ახალმა კონვერტოპლანმა 1964 წლის 29 სექტემბერს შეასრულა. საგამოცდო პროგრამის დროს კი შესრულდა დაჯდომები ავიამზიდზე, სამაშველო ოპერაციების იმიტაცია, პარაშუტისტების გადასხმა, ტვირთის გადატანა სალონში და გარე საკიდზე და სხვ.

ფლოტი კონვერტოპლანებზე დიდ იმედს ამყარებდა. XC-142 იდეალური სადესანტო საშუალება იყო და ბორტზე 32 სრულად ეკიპირებულ ჯარისკაცს ან 24 დაჭრილს იტევდა. გამოცდაზე კონვერტოპლანმა მაქსიმალური სიჩქარე 694 კმ/სთ აჩვენა და ამ პარამეტრით ის ყველა შვეულმფრენს სჯობდა.

მაღალი სიჩქარის, დიდი სასარგებლო დატვირთვისა და ვერტიკალური აფრენა-დაფრენის უნარის ხარჯზე XC-142-მა სადესანტო ოპერაციებში თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს შორის არსებული შუალედი შეავსო.

ნაკლი „ტილტვინგებსაც“ ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ფრთის მდებარეობის ცვლილების მექანიზმის რთული კონსტრუქცია და პილოტირების თავისებურებანი.

ექსპლუატაციისას გამოვლენილმა სირთულეებმა სამხედროებს XC-142-ით დაინტერესება გაუნელა. 1965 წელს ფლოტმა პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა. რამდენიმე თვეში კონვერტოპლანს ზურგი არმიამაც აქცია. ეკონომიკური თვალსაზრისით მძიმე შვეულმფრენების წარმოება გაცილებით ეფექტური იყო და ერთი წლის შემდეგ XC-142-ის ბოლო მოქმედი ეგზემპლარი NASA-ს გადაეცა.

„ტილტვინგებზე“ ამერიკელების მეზობელი კანადელებიც მუშაობდნენ. 1963 წელს კანადის თავდაცვის უწყებამ Canadair-ს ექსპერიმენტული კონვერტოპლანის შექმნაზე 12 მლნ გამოუყო. პერსპექტივაში ახალი CL-84-ის გამოყენება სატრანსპორტო-სადესანტო,

თვითმფრინავისა და შვეულმფრენის შერწყმული მახასიათებლების მქონე საფრენი აპარატის — კონვერტოპლანის პირველი სრულყოფილი პროექტი გერმანელებს ეკუთვნის

ამერიკული ექსპერიმენტულ
კონვერტოპლანი XV
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამძებრო-სამაშველო, სანიტარულ და საცეცხლე მხარდაჭერის ვარიანტებად იგეგმებოდა.

კონვერტოპლანი პირველად 1965 წლის 7 მაისს აფრინდა. ორძრავიანი საფრენი აპარატი (დამატებითად ორი ძრავა ფრენის სტაბილიზაციას ემსახურებოდა) ბორტზე 12 მედესანტეს იღებდა. სპეციალური მექანიზმი ფრთას მასზე დამაგრებული ძრავებითურთ ნორმალური მდგომარეობიდან 102°-ით აბრუნებდა. ამ კონსტრუქციული თავისებურების წყალობით ვერტიკალურ მიმართულებასთან ერთად, კონვერტოპლანი უკან 56 კმ/სთ-ში სიჩქარით ფრენას ახერხებდა.

პირველი პროტოტიპის ჩამოვარდნის მიუხედავად, დამატებითი სამი CL-84-ის ასაგებად 1967 წელს კანადის მთავრობამ 13 მლნ დოლარი გამოყო.

კანადურმა კონვერტოპლანებმა მრავალმხრივი გა
მოცდა გაიარეს — დაჯდომა ავიამზიდზე, ტვირთის
გადატანა გარე საკიდზე, ტაქტიკური დესანტის გა
დასხმა და სხვ.

ზღვაზე ჩატარებული სამძებრო-სამაშველო ოპე
რაციების იმიტაციისას, შვეულმფრენებთან შედა
რებით, CL-84 ორჯერ ეფექტური იყო. მიზეზთა გამო
პირველი და უკანასკნელი კანადური მოქმედი კონვერ
ტოპლანის პროექტი 1974 წელს დაიხურა. 4 პროტო
ტიპიდან დღეს მხოლოდ ერთი, კანადის ავიაციისა და
კოსმოსის მუზეუმში (ოტავა) გამოფენილი ეგზემპლა
რია დარჩენილი.

კონვერტოპლანების შექმნასთან დაკავშირებული
ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, ამერიკელი
სამხედროები საფრენი აპარატის მიმართ ინტერესს არ

მსოფლიოში პირველი და ერთადერთი სერიული სამხედრო კონვერტოპლან „ოსპრეის“ ერთადერთ მომხმარებლად აშშ-ის თავდაცვის უწყება რჩება

2016 წელს სერტიფიკატის მიღების შემდეგ, ამერიკულ-იტალიური AW609 მსოფლიოში პირველი სამოქალაქო კონვერტოპლანი იქნება

კარგავდნენ და ექსპერიმენტულ პროექტებს ინტენსიურად აფინანსებდნენ.

70-იანი წლების ბოლოს პენტაგონმა არმიის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საზღვაო ქვეითთა კორპუსის აღჭურვისთვის ახალი კონვერტოპლანის შექმნა გადაწყვიტა და კონკურსში ფინალისტებად „ბოინგ ჰელიკოპტერსი“ და „ბელი“ დასახელდნენ. მომავალ V-22 Osprey-ზე ფირმებმა ერთობლივი მუშაობა 1985 წელს დაიწყეს.

პენტაგონის საწყისი გეგმა 913 საფრენი აპარატის შეძენას ითვალისწინებდა, თუმცა ტექნიკურმა სირთულეებმა და პროტოტიპების კატასტროფამ Osprey ერთ-ერთ გაჭიანურებულ და ძვირად ღირებულ ამერიკულ საავიაციო პროექტად აქცია. პროექტს უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ხოლო თავდაცვის მინისტრ რიჩარდ ჩეინს (1989-93 წწ.) პროგრამის დაფინანსების შეწყვეტაზე განკარგულება 4-ჯერ აქვს გაცემული, მაგრამ V-22 კონგრესის მფარველობამ გადაარჩინა.

Osprey პირველად 1989 წლის 15 მარტს აფრინდა. ორძრავიან კონვერტოპლანს ბორტზე 24 მედესანტის აყვანა ან 5 ტ-ზე მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია.

ვერტიკალური (ან შემოკლებული) აფრენა-დაფრენა ფრთის ბოლოებზე განთავსებული ძრავების მობრუნებით ხდება. სიმაღლის აღებასთან ერთად ეკიპაჟი ძრავების მობრუნების კუთხეს ამცირებს და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ამ პროცესის ხანგრძლივობა 12 წმ-ია.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში კონვერტოპლანს ავტოროტაციის შესაძლებლობა არა აქვს. ამიტომაც მწყობრიდან ერთ-ერთი ძრავის გამოსვლის შემთხვევაში, სიმძლავრის ართმევა გამართული ძრავიდან ხდება. კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, V-22-ს აფრენა-დაფრენა მხოლოდ ვერტიკალურად შეუძლია. დაშვების წინ ძრავების ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაყვანის მექანიზმის გაუმართაობის შემთხვევაში, ხრახნის ნიჩბები ისეა დაპროექტებული, რომ მიწასთან შეჯახებისას მათი ნამსხვრევები ფიუზელაჟისგან საპირისპირო მხარეს იფანტება.

კონვერტოპლანის ექსპლუატაცია 2006 წელს დაიწყეს. მომავალ წელს საზღვაო ქვეითთა კორპუსის შემადგენლობაში „ოსპრეი“ ჯერ ერაყში, შემდგომ კი ავღანეთში გაგზავნეს. შუა აღმოსავლეთის ცხელ წერტილებში კონვერტოპლანებს ცოცხალი ძალისა და იშვიათად ტვირთის გადასატანად იყენებენ. სუსტი შეიარაღების გამო (უკანა რამპაზე დამაგრებული მხოლოდ ერთი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) საცეცხლე მხარდაჭერის ოპერაციებში კონვერტოპლანის გამოყენება შეუძლებელია.

გაჭირდა კონვერტოპლანის ექსპლუატაცია ქვიშიან ადგილებში, რამდენჯერმე მტვერი ძრავების მდებარეობის ცვლილების მექანიზმის გაჭედვისა და ავარიის მიზეზიც გახდა. ავღანეთში პენტაგონმა მხოლოდ ერთი, სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი „ოსპრეი“ დაკარგა. 2010 წლის 9 აპრილს კონვერტოპლანის ჩამოვარდნას 3 ამერიკელი სამხედროსა და ერთი სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა.

ამჟამად აშშ-ის თავდაცვის უწყების განკარგულებაში 31 CV-22 (სამხედრო-საჰაერო ძალები) და 164 MV-22 (საზღვაო ქვეითთა კორპუსი) მოდიფიკაციის კონვერტოპლანია.

კონსტრუქციული სირთულის, ავარიების (1991-დან 2000 წლამდე 4 ჩამოვარდნილ „ოსპრეის“ 30 კაცის სიცოცხლე შეეწირა) და პილოტირების თავისებური სპეციფიკის მიუხედავად, დიდი ტვირთამწეობისა და მოქმედების რადიუსის წყალობით საზღვაო-სადესანტო ოპერაციებში V-22 იდეალური საშუალებაა. საჰაერო გადაზიდვებში შვეულმფრენებზე მეტი სიჩქარე Osprey-ს მობილურობას ზრდის, მაგრამ კონსტრუქციისა და პილოტირების სირთულით განპირობებული მაღალი საექსპლუატაციო ხარჯი კონვერტოპლანების ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

ალექსანდრე აფაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზი თავადის ვაჟკაცობა

დამხმარე კრეისერი Dacia — ყოფილი რუმინული სამგზავრო-სატვირთო გემი

რუსეთის ძირმორყეული იმპერიის სათავეში 1917 წლის ოქტომბერში სამხედრო გადატრიალებით მოსულმა ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე დღეებიდან იდეურ მოწინააღმდეგეებს წითელი ტერორი დაუპირისპირეს. წითელი ტერორი მძვინვარებდა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და მას ვერც შავი ზღვის ფლოტი გადაურჩა.

1917 წლის 25 დეკემბრიდან 1918 წლის იანვრის პირველ რიცხვებამდე სევასტოპოლში ბოლშევიკმა მატროსებმა ოფიცრებს თვითგასამართლებები მოუწყვეს, რასაც 120-ზე მეტი ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა.

1918 წლის იანვრის ბოლოს ფლოტში დემობილიზაცია გამოცხადდა, რადგან ის „მეფის კანონებით არსებობდა“ და ეკიპაჟები ბევრმა გამოცდილმა მეზღვაურმა დატოვა, ხოლო მათი ადგილი კი ბოლშევიკებმა დაიკავეს.

დეკემბრის ბოლოს, 1918 წლის იანვრის დამდეგს, შავი ზღვის ფლოტზე მთელი უფლებამოსილება სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის ცენტრალური კომიტეტის (ცენტროფლოტი) ხელში გადავიდა, რომელსაც ბოლშევიკები და ესერები აკონტროლებდნენ.

1918 წლის დამდეგს საქართველოს პორტებში რთული ვითარება შეიქმნა. ბათუმში ცენტროფლოტის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო-საზღვაო კომიტეტი შავი ზღვის ფლოტის დამხმარე გემებით ლაზეთის სანაპიროდან კავკასიის არმიის ნაწილების რუსეთში გადაყვანით იყო დაკავებული. შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდებსა და დამხმარე გემებზე კი წითელი ტერორის შედეგად დისციპლინა მოშლილი იყო.

იქ არსებულ მდგომარეობას კარგად აღწერს რევაზ გაბაშვილი, რომელსაც 1918 წლის 16 მარტს (ახალი სტილით) ტრაპიზონიდან ბათუმისკენ ცურვამ დამხმარე კრეისერ Regele Carol I-ით მოუწია.

თავის მოგონებებში „რაც მახსოვს“, ის წერს:

„თურმე ეს გემია, რომლის „გაბოლშევიკებულ“ მეზღვაურებს (მატროსებს) გაუძარცვიათ შავი ზღვის სანაპიროები, აქა-იქ დაუხოციათ „კონტრ-რევოლუციონერები“ და მოუკლავთ ემუხვარი — გემის ონკანის ორთქლში მოხარშვით. სამხედრო გემი მართლაც დატვირთული იყო ხალიჩებით და უადგილო ადგილას დაგროვილი ტომრებით, სავსეთი შაქრით, ფქვილით და სხვ. ოფიცრები (რუსები და რუმინელები; ეს გემი რუსებმა შეიძინეს რუმინელებისგან, ომის დასაწყისში) ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ მეზღვაურნი, რასაც უნდა, იმას უშვრებოდნენ და საითაც უნდოდათ, თავს უკრავდნენ“.

დროდადრო რუსული ხომალდები და გემები გაბოლშევიკებული მეზღვაურებით ბათუმსა და სოხუმში შემოდიოდნენ. ნაპირზე გადმოსულ სასმლის მოყვარულ და შეიარაღებულ პირთა თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა.

თუმცა გაბაშვილის მონათხრობი ემხვარის მკვლელობაზე Regele Carol I-ზე, ანუ „კაროლ კარლზე“ (ასე ეძახდნენ მაშინ ამ ხომალდს) სინამდვილეს არ შეესაბამება, ეს ამბავი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში შემავალ მეორე რუმინულ ხომალდ „დაკიას“ უკავშირდება.

1918 წლის 28 თებერვალს სოხუმს ტრაპიზონიდან სევასტოპოლისკენ მიმავალი დამხმარე კრეისერი „დაკია“ — ყოფილი რუმინული სამგზავრო-სატვირთო გემი მოადგა.

„დაკიას“ ეკიპაჟის ბოლშევიკი მატროსები ნაპირზე გადმოვიდნენ და ბულვარზე მოსეირნე აფხაზური ასეულის პორუჩიკს, თავად ნიკოლოზ ემხვარს შეეჩეხნენ. მას მეფის არმიის ოფიცრის მუნდირი ეცვა და ამიტომაც მიიქცია მეზღვაურების ყურადღება.

ბოლშევიკებისთვის მეფის არმიის ოფიცერი, ბუნებრივია, „კლასობრივი მტერი“ იყო და თავად ემხვარს სამხრეების მოხსნა მოსთხოვეს, რაზეც შესაფერისი პასუხი — უარი მიიღეს. მაშინ მატროსებმა თავადს ოფიცრის სამხრეები ძალით მოაგლიჯეს. შეურაცხყოფილმა აფხაზმა თავდამსხმელებს თავხედობა არ აპატია და რევოლვერით ერთი მათგანი მოკლა, მეორე დაჭრა, თავად კი გაიქცა.

სოხუმელმა ბოლშევიკებმა არ დააყოვნეს და საპროტესტო აქციებზე იხმეს მოსახლეობა. მეორე დღესვე გაიმართა მიტინგი. ბოლშევიკური ორგანიზაციის მოთავეები „დაკიას“ ეკიპაჟს დაუკავშირდნენ. „დაკიას“ მატროსები თავად ემხვარის დაკავებას, მოკლული მატროსის ოჯახისთვის 15 ათას რუბლსა და რაც მთავარი იყო, სოხუმში ხელისუფლების ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისთვის გადაცემას მოითხოვდნენ.

ტრაპიზონიდან წამოყვანილი სამხედროები „დაკიას“ ეკიპაჟს სოხუმში დიდი ხნით დაყოვნების საშუალებას არ აძლევდნენ და 1-ელ მარტს, 22 საათზე, გემი ზღვაში ისე გავიდა, რომ ულტიმატუმის შესრულებას აღარ დაელოდა.

სამაგიეროდ ბათუმში ტელეგრამა გაიგზავნა: „სასწრაფოდ გამოგზავნეთ სოხუმში ორი ნაღმოსანი ან დიდი საბრძოლო გემი“ და ამ შეტყობინებას ბათუმისკენ თან ჰიდროთვითმფრინავის გაგზავნაც მოჰყვა.

მფრინავმა საჰაერო აპარატი ბათუმის ყურეში, საესკადრო ნაღმოსან „დერზკის“ მახლობლად დასვა და მატროსებს აფხაზი ბოლშევიკების თხოვნა გადასცა.

თხოვნა რომ ბათუმში გაიგზავნა, შემთხვევით არ მომხდარა. იქ იმ დროს ცენტროფლოტის დაქვემდებარებაში არსებული ოცამდე სამხედრო ხომალდი და კატარღა, სატრანსპორტო გემი იდგა და მათ ეკიპაჟებში ბოლშევიკებს მხარდამჭერები ჰყავდათ.

ტრაპიზონიდან დაბრუნებულ „დერზკის“ ბათუმის პორტში საწვავისა და წყლის მარაგი შევსებული ჰქონდა და სევასტოპოლისკენ გასვლას აპირებდა.

„დერზკის“ ეკიპაჟის ბოლშევიკ მატროსებს კლასობრივ მტერთან ბრძოლის გამოცდილება უკვე ჰქონდათ. 1917 წლის დეკემბრის მოვლენების დროს სევასტოპოლში „დერზკის“ ბოლშევიკებმა თვითგასამართლება მოაწყვეს და დახვრიტეს ხომალდის მეთაური, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, II რანგის კაპიტანი ალექსანდრ ბასალოვი და ვახტის ოფიცერი ლეიტენანტი ტევიაშჩევი.

სოხუმიდან გამოგზავნილ თხოვნას ეკიპაჟი ოპერატიულად გამოეხმაურა და ხომალდის მეთაურმა, ლეიტენანტმა ლეონიდ ჟიტკოვმა „დერზკი“ აფხაზეთის დედაქალაქისკენ სრული სვლით წაიყვანა. 2 მარტს ხომალდი სოხუმის მახლობლად გამოჩნდა და ადგილობრივ ბოლშევიკებს თავისი მისვლის შესახებ 5-6 გასროლით ამცნო.

ნაპირზე გადმოსასხმელად 70-კაციანი შეიარაღებული რაზმი მომზადდა. ხომალდის ეკიპაჟი შტატით 10 ოფიცერს, 6 კონდუქტორსა და 130 დაბალჩინოსანს ითვლიდა, მაგრამ იმ დროისათვის 110 კაცზე ცოტა მეტი თუ იქნებოდა.

„დერზკი“ სოხუმის ხის გემთსადგომს კიჩოთი მიადგა, მატროსების შეიარაღებული რაზმი ნაპირზე გადავიდა და ქალაქის მმართველობას „დაკიას“ ეკიპაჟის ულტიმატუმის 24 სთ-ში შესრულება მოსთხოვა.

რუსული ხომალდის ეკიპაჟს მხარი მაშინვე აუბეს აფხაზმა ბოლშევიკებმა, რაც საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გადაყენებითა და ძალაუფლების ადგილობრივი ბოლშევიკებისთვის გადაცემით დასრულდა.

ახალმა ხელისუფლებამ ქალაქის ხაზინიდან 15 ათასი რუბლი აიღო „დაკიას“ მოკლული მეზღვაურის ოჯახისთვის გადასაცემად და საგანგებო ბიულეტენით მოსახლეობას მიმართა: ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი პირობას დებდა, რომ მატროსის მკვლელის დასაკავებლად ზომებს მიიღებდა, დაუნდობლად აღკვეთდა ადგილობრივ შეიარაღებულ



„დერზკის“ ტიპის ასეთ საესკადრო ნაღმოსანზე თავადი ნიკოლოზ ემხვარი რუსმა ბოლშევიკებმა მხეცურად მოკლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ტერორის მხარდამჭერი იმდროინდელი ერთ-ერთი პლაკატი

ნაწილებს შორის განხეთქილების შეტანის ნებისმიერ მცდელობას და თუკი ვინმე შეეცდებოდა რევოლუციური წესრიგის დარღვევას, სამხედრო-რევოლუციურ სასამართლოს გადასცემდა.

ქალაქ სოხუმში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა, მოსახლეობა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებებს უნდა დამორჩილებოდა.

ბოლშევიკებმა ემხვარი და მისი ძიძიშვილი სმელ ბადია სოფელ დრანდასთან დააკავეს და სოხუმში წამოიყვანეს.

„დერზკიზე" მიყვანისას ნიკოლოზ ემხვარს ვიღაცამ მალულად რევოლვერი გადასცა და ტრაპით ხომალდზე ასვლისას მან უფროსი უნტერ-ოფიცერი კოვალჩუკი მოკლა, მაგრამ მომდევნო ვაზნა გაიჭედა და ხომალდის კომიტეტის თავმჯდომარე გრუდაჩევი სიკვდილს გადაურჩა. ემხვარს მარცხენა ხელი ფრონტზე კონტუზირებული ჰქონდა, ამიტომ იარაღის გადატენა ვეღარ შეძლო.

„დერზკის" ბოლშევიკმა მეზღვაურებმა აფხაზ თავადს უსასტიკესი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და ცოცხალი ადამიანი ხომალდის ერთ-ერთ საქვაბეში ჩააგდეს, სადაც ტურბინებისთვის საჭირო ორთქლის მისაღებად წყალი იხარშებოდა.

სიკვდილით დასჯის ასეთი ფორმა რუსეთში XVI საუკუნეში მეფე ივანე მრისხანემ მოიგონა, რომელიც ისტორიაში ადამიანების წამებისა და სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ნაირ-ნაირი „გამოგონებით" არის ცნობილი.

რუსულ პუბლიკაციებში ეს შემთხვევა სხვანაირად არის წარმოდგენილი, ნათქვამია, რომ 1918 წლის მარტის პირველ რიცხვებში „დერზკიმ" თავისი ცეცხლით სოხუმის წითელ გვარდიას შეტევაზე გადმოსულ თავად ემხვარის ქართულ სამხედრო ფორმირებებთან ბრძოლაში დახმარება გაუწია. ნიკოლოზ ემხვარის სიკვდილით დასჯაზე კრინტიც არ არის დაძრული.

აფხაზი ისტორიკოსების გადმოცემით, ემხვარი რუსმა მეზღვაურებმა „დერზკიზე" მაშინვე მოკლეს და ზღვაში გადააგდეს. ეკიპაჟის დიდი ნაწილი კოვალჩუკის სევასტოპოლში წასვენებას მოითხოვდა, ამიტომ „დერზკიმ" კურსი სევასტოპოლისკენ აიღო.

1933 წელს მწერალმა ლეო ქიაჩელმა (ლეონ შენგელაია) ამ ტრაგიკულ ისტორიას მოთხრობა „ჰაკი აძბა" მიუძღვნა. კომუნისტური რეჟიმის მკაცრი ცენზურის გამო მწერალმა რეალური პიროვნებები გამოგონილი პერსონაჟებით შეცვალა — თავადი ნიკოლოზ ემხვარი,



აფხაზეთში მებრძოლი ქართული ჯარის ერთ-ერთი რაზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯუშ ემხა გახდა, ხოლო მისი ძიძიშვილი სმელ ბადია — ჰაკი აძბა.

ქართველმა მწერალმა დამხმარე კრეისერი „დაკია“ რევოლუციურ კრეისერ „შმიდტად“ მონათლა, რომელსაც „მრისხანედ“ წოდებული ბოცმანი კუზმა კილგა მეთაურობდა.

მწერალმა ემხვარ-ემხას საქციელი რეაქციისა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის მაგალითად წარმოადგინა, სადაც ავტორის სიმპათია აშკარად აფხაზი თავადის მხარეს იხრება. თუმცაღა საბჭოთა იდეოლოგიის შესაბამისად მწერალს ბოლშევიკები მკაცრნი, მაგრამ სამართლიანები უნდა გამოეყვანა, ამიტომაც ემხვარის სიკვდილით დასჯის ამბავი ნაწარმოებში დახვრეტით შეცვალა. მოთხრობის ფინალში ოსტატურად არის დახატული სწორხაზოვნად მოაზროვნე რუსი ბოლშევიკი ლიდერის — კუზმა კილგას პორტრეტი, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა არაფრად უღირს, ტრადიციებს პატივს არ სცემს და ადგილობრივ მოსახლეობას „ჭკუის დამრიგებლის“ სახით ზემოდან დაჰყურებს.

თავისი სათქმელი ლეო ქიაჩელმა ჰაკი აძბას ბოლოს მაინც ათქმევინა:

„— კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე... შენ კი უჯუში მომიკალი.

ძაღლი ყოფილხარ, კაპიტან... ჰო, სისხლი! სისხლი!

წამოიყვირა და ერთხელ კიდევ მთელი ძალ-ღონით გემის მოაჯირისკენ დაიძრა.

— ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუშ!

მისი თვალები შეურიგებლობის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო და პირიდან ცოფის დორბლი სცვიოდა.

კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ, ზიზღი და ბრაზი სახეზე შეუკიდა, სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა.

ერთხანს ასე უცქირა.

— გაუშვით! — თქვა შემდეგ.

ჰაკის ხელი შეუშვეს მეზღვაურებმა.

მწერალი ლეო ქიაჩელი

იგი ერთი ნახტომით გემბანის მოაჯირთან გაჩნდა. ცხადი იყო მისი განზრახვა, და თვალიც ვერ შეასწრეს, რომ აქაფებულ ტალღებში გადაეშვა.

გემბანზე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სულერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...

ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა კუზმამ და მოკლე, მაგრამ ბევჯითი ნაბიჯით თავისი კაბინისკენ გაემართა“.

თემურ ჩაჩანიძე

ქართული ხმლების ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატიონთა ოჯახის ქართული გორდა ხმალი სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმმა 1924 წელს ივანე სუმბათაშვილისგან შეიძინა.

ხმლის სიგრძე 90 სმ-ია, ხმლის პირისა კი — 79 სმ. პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ოდნავ გახრილი და ცალლესულია. აქვს 15 სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს ბრტყელი ღარია, რომელიც პირს ტარიდან შაშარამდე მიჰყვება.

პირის მეორე მხარეს გამოსახულია გორდას დამღა — ზურგშექცეული დაკბილული რკალები.

ხმლის ტარი და ვადაჯვარი დამზადებულია ფოლადისაგან და მთლიანად დაფარულია ოქროზარნიშით შესრულებული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით.

ვადაჯვრის ორივე მხარეს ოქროზარნიშითვე ორ-ორი წყვილი ფრინველია (ჩიტები) გამოსახული. ასეთი ჩიტების გამოსახვა ძალზე დამახასიათებელია თბილისელ ოქრომჭედელთა სკოლისთვის, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხმალი ნამდვილად ქართულია.

ხისგან დამზადებულ ქარქაშზე შავი ტყავია გადაკრული და ბუნიკითა და ორი სალტითაა მორთული.

აღწერილი ხმალი ქართული გორდა ხმლების ერთ-ერთი ჯგუფის, ვადაჯვრიანი გორდების კატეგორიას განეკუთვნება. ხმალზე დასმული „გორდას“ ევროპული დამღა ქართული მინაბაძია. რაც უცხოურისთვის ხარკის გადახდის თავისებური წესი გახლავთ. თავად ხმლის არც ხარისხსა და არც ფორმას ევროპულ „გორდასთან“ საერთო არაფერი აქვს და უდავოდ ადგილობრივად დამზადებული საბრძოლო იარაღია.

გორდა ხმალი

საქართველო ყოველთვის განთქმული იყო საუკეთესო ფოლადის — „ბულატის“ წარმოებით. XIX საუკუნეში თბილისში „ბულატის“ ოსტატები — ეფრემ და ყარამან ელიზარაშვილები ცხოვრობდნენ. მათი მამა გიორგი, იგივე იაგორი, ხმლის განთქმული ოსტატი ყოფილა. ეს ხელობა თავად მასაც მემკვიდრეობით მიუღია და შემდეგ შვილებისათვის გადაუცია.

საუკეთესო ფოლადის დამზადების ტექნოლოგია საიდუმლოდ ინახებოდა. მიუხედავად ამისა, გიორგის ერთ-ერთმა შვილმა, ყარამანმა, 1828 წელს ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ქართული ფოლადის — ხმლის დამზადების საიდუმლოება რუსებს „გაუმხილა“.

ელიზარაშვილების ხმლის დამზადების ოსტატობის შესასწავლად რუსეთიდან თბილისში ზლატოუსტის ქარხნის ორი მოწინავე ოსტატი (მუშებთან ერთად) გამოგზავნეს.

გენერალი პოტო წერდა: „ზლატოუსტის ქარხნის საუკეთესო ხმლებად რუსეთის კავალერიაში ყოველთვის ითვლებოდა ის ხმლები, რომლებზედაც აღნიშნულია 1832-33-34 წლები“. საგულისხმოა, რომ ეს პერიოდი, როგორც პაატა გუგუშვილი მიუთითებს: „ყარამანის შეგირდების მოღვაწეობის პირველ წლებს ემთხვევა“.

საქართველოში ინდური (ვუნცა), სპარსული (ტაბანი, ყარატაბანი, ხორასნული), სირიული (დამასკური) და საკუთრივ ქართული ფოლადისაგან შექმნილი ცივი იარაღი მზადდებოდა.

ცივი იარაღის მრავალფეროვნება ტერმინოლოგიაშიც აისახა, მაგალითად: ჭოლაური//ლეკური (იგივე „შაშკა“), დავითფერული, დედალი ფრანგული, მამალი ფრანგული, მისრული, გველისპირული, ჭარული, მგლის დამღიანი, დაშნა, გორდა, კალდიმი, ცნობილი იყო თბილისური ხმალიც, ქართული ხმალი ირანული ტიპის, კაბიანი ხმალი და სხვ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილავთ ქართული ხმლის ათამდე სახეობას. ხმლების ეს სახეობები დიდ-

ხანს გამოიყენებოდა ყოფაში და დღეს კი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ესენია: გორდა, კალდიმი, კაბიანი, დავითფერული, ფრანგული (მგლის დამღიანი), ხევსურული, ლეკური (შაშკა), უნგრული, თბილისური და ირანული ტიპის ქართული ხმლები.

მიუხედავად იმისა, რომ ხმლის ამ ტიპებს დროთა განმავლობაში სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრებისა თუ მოდური გატაცების გამო უცხო ქვეყნებში წარმოებული ხმლების ცალკეული დეტალები დაემატა, ისინი იმდენად კარგად გადმოსცემს ადგილობრივი წარმოების ხასიათს, რომ მათ ჩვენ „ქართული ხმლების" კატეგორიას დაუბრკოლებლად მივაკუთვნებთ.

სულხან-საბა, განმარტავს რა ტერმინ „ხრმალს", აღნიშნავს: „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიც(ა) ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი, მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, — ამას ქართველნი ჰყვარობენ. ფრანგნიცა ესეთსა და სხვარიგთაცა ახალსა არა ჰრიდებენ; არაბნი სხვარიგსა, სპარსნი სხვასა, თემითი-თემად, რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შვეტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა; არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მხედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს, და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე. თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, — სრული გვიან საპოვნარია".

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა საუკეთესო თვისებების მქონე ხმლების დახასიათებისას მხოლოდ და მხოლოდ ხმლის ორ სახეობას — გორდასა და კალდიმს ასახელებს.

გორდა ხმალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში. გორდას დამღაა — ორი დაკ-

იოანე ბაგრატიონ-მუხრანელის გორდა ხმალი — XVIII საუკუნე

ბილულზედაპირიანი ნახევარმთვარის ფორმის ზურგშექცეული რკალები, შუაში განთავსებული წარწერით — „გენუა".

ამ დამღის ისტორია ერთ-ერთი ვერსიით XIV საუკუნეში გენუის ქალაქ-სახელმწიფოს უკავშირდება, ხოლო სხვა ვერსიით მას კავკასიური წარმომავლობა აქვს.

საბას განმარტებით: „გორდა ხმალია ერთგვარი", ხოლო დავით ჩუბინაშვილს „გორდახმალი" ერთ სიტყვად აქვს გაერთიანებული.

გურამ გასიტაშვილი „გორდაფრანგულს" „ჯიშიანი" ანუ საუკეთესო ხმლების კატეგორიაში განიხილავს. სერგი მაკალათიას ცნობით კი უკანასკნელ ხანს „გორდა" 4-5 ძროხა ღირებულა.

ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით „გორდა" იგივე სპარსული „ქარდ", ანუ „ქორდ"-ია, რაც დიდ დანას ნიშნავს. მისივე განმარტებით: „მოყვანილობის მიხედვით გორდა დრეკილ, მოხრილ ხმალს აღნიშნავს".

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ხმალთაგან, დიდი დანის აღმნიშვნელია აგრეთვე ჩერქეზული „შაშკაც" (ქართული ინტერპრეტაციით „ლეკური"), რომელიც ასევე უვადაჯვრო ხმალია.

სპარსული ხმალი „ქორდ", ანუ „გორდა" და ჩერქეზული „შაშკა" უვადაჯვრო ხმლებია და შესაძლოა ერთ ტიპად აღვიქვათ.

ვიზუალურად გორდა „მოკლე, უვადო, მოხრილი და დრეკადი ხმალია, რომელსაც შუაში ერთი ფართო, ხოლო ყუისკენ დამატებით ორი ვიწრო ღარი გასდევს. ხმლის ყუაზე გამოყვანილი ტალღოვანი რკალები ან ხმლის პირზე ორი მოპირდაპირე, დაკბილული პატარა ნახევარრკალი წარმოადგენს მის დამღას. რკალის ბოლოები სამმარცვლოვანი ნიშნებით აქვს დაწინწკლული (გადმოცემის თანახმად, ბრძოლებში მონაწილეობის ან მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად). ასეთი დამღა დამახასიათებელია აღმოსავლური, კავკასიური თუ ევროპული წარმომავლობის ხმლის პირებისათვის. გვიანფეოდალურ საქართველოში გორდა ფართოდ იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემოინახა როგორც ადგილობრივი, ისე XVI-XVII საუკუნეების ცნობილ იტალიელ ოსტატთა ნახელავი გორდა ხმლები, რომლებიც გენუელ ვაჭრებს შემოჰქონდათ საქართველოში. ჩვენში დამზადებულ ხმლის პირებს სადამღო რკალები ყუაზე მიჯრით ჰქონდა გამოყვანილი".

ქართული ენციკლოპედიის ეს განმარტება გარკვეულწილად სწორია, როდესაც საუბარია გენუელ ვაჭ-

გორდა ხმალი ქარქაშით — XVIII საუკუნე

საჭურველს გამსახურდია ამგვარად აღწერს: „საესებით უზადოდ შენახულიყო როგორც ჯაჭვის პერანგი, ისე თორი, ჯაჭვის პერანგი თვალმრგვალი იყო და სამფეროსანი. ჩაბალახის ორიოდ ადგილას თვალი ამოვარდნოდა“. მუზარადზე ქართული ასოებით — „ჩსნგ“, ანუ 1253 წელია აღნიშნული.

რებზე, მაგრამ გორდა ხმლის ტარისა და პირის ფორმის გადაწყვეტა და ერთმნიშვნელოვნად განცხადება, რომ ეს ხმალი უვადაჯვრო კატეგორიას მიეკუთვნება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ვერსიით, გორდას დამღა XIV საუკუნის გენუელ ოსტატებს ეკუთვნოდათ და მათი გამოჭედილი ხმლის პირები საქართველოში გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს შემოჰქონდათ. ასევე ცნობილია, რომ გენუელებს გორსა და თბილისში სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ გახსნილი.

მეორე ვერსიით, ევროპელებმა გორდას დამღიანი ხმლები ჩვენგან გაიტანეს და ხმლებს სწორედ ამის შემდეგ ხვდა წილად ევროპული აღიარება. ლეგენდის მიხედვით, სოფელ გორდში ქართველი ოსტატი ცხოვრობდა, რომელიც მაღალი თვისებების ხმალს ჭედდა, სწორედ ამიტომ (ანუ ადგილის გამო) ხმალსაც გორდა ხმალი ეწოდა, მაგრამ ამ მოსაზრების მეცნიერული დასაბუთება არ მოგვეპოვება.

გორდა დღევანდელ ქართულ რეალობაშიც კარგად დამკვიდრებული სახელწოდებაა: დღესაც არსებობს სოფ. გორდა, სახელი გორდა, გვარები — გორდაძე, გორდიაშვილი და ა.შ.

XIV საუკუნის შემდეგ გორდას დამღა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ამ ნიშანს დამღად XVII-XVIII საუკუნეებში ავსტრიელი და გერმანელი ხელოსნებიც იყენებდნენ, რომლებიც მიზანმიმართულად აღმოსავლეთისათვის მუშაობდნენ.

დღესაც მუზეუმის კოლექციებში (შესაძლოა სხვაგანაც) შეიძლება ნახოთ ევროპულდამღიანი ხმლის პირები, მაგრამ სამწუხაროდ, ვერსად შეხვდებით შუა საუკუნეების ნამდვილ ქართულ ან თუნდაც იტალიურ პირებს.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან, მთლიანად იმდროინდელი XI-XIII საუკუნეების ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუზის (იარაღის) მუზეუმში ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX საუკუნეში გატანილს, მანეკენზე ჩამოცმულს, XIII საუკუნის რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს. ოქროს ზარნახშით უხვად შემკული მშვენიერი მუზარადიც არსებობს, მაგრამ არც ის არის საქართველოში“.

ეს აღჭურვილობა ბერლინში კონსტანტინე გამსახურდიასაც უნახავს. მისივე გადმოცემით, მსგავსი ქართული საჭურველი მიუნხენელი მანტოლდის ოჯახსაც ჰქონია. ამ ოჯახისთვის იგი ნიჟეგოროდის პოლკის „კომანდირს ბაგრატიონს“ უჩუქებია.

იქვე გამოფენილი ყოფილა: „ხევსურული დავითფერული, ფრანგული, ქართული ვადაჯვრიანი ხმლები“. როგორც ჩანს, XIX საუკუნის ქართველი და არა მარტო ქართველი მოღვაწეები შუა საუკუნეების ქართული იარაღით ევროპის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამარაგებდნენ, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში დღეს იმ პერიოდის ქართული საჭურველი აღარ არსებობს. საფიქრებელია, რომ ბერლინის მუზეუმში გაგზავნილ „ორ საუცხოო ანაკრებს“ შორის უსათუოდ იქნებოდა ქართული ხმლები და შესაძლოა თვით გორდა ხმალიც.

ქართული გორდა ხმლების პირები, როგორც აღვნიშნეთ (ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით) ევროპიდან შემოდიოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ადგილობრივადაც მზადდებოდა.

ევროპიდან შემოტანილი ხმლების საერთო სახელად „ფრანგული“ იყო მიღებული. განასხვავებდნენ დედალ და მამალ ფრანგულს. ავსტრიიდან და გერმანიიდან შემოტანილ ხმლებს დედალ ფრანგულს უწოდებდნენ, ხოლო იტალიიდან მოწოდებულს — მამალ ფრანგულს.

რასაკვირველია, დედალი ფრანგული დაბალი ღირსების ხმლად არ მოიაზრებოდა, მაგრამ დიფერენციაცია მაინც არსებობდა. როგორც ჩანს, ავსტრიიდან და გერმანიიდან შემოტანილი გორდას დამღიანი ხმლის პირები „დედალო ფრანგული“ ხმლების კატეგორიაში გადიოდა.

საინტერესოა ისიც, რომ ადგილობრივი ქართველი ხელოსნები ხმლებს ევროპულ პოპულარულ დამღებს უკეთებდნენ, მაგრამ ფოლადის დამზადების ტექნო-

ქართული გორდა ხმალი — XVII-XVIII საუკუნე

ლოგია, ტარისა და ქარქაშის მორთულობა აბსოლუტურად ქართული იყო და უმაღლესი ხარისხის გახლდათ.

გორდა ხმალთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. ერთ-ერთის მიხედვით, ხმლის ყუის გაყოლებაზე ყოველი მოკლული მტრის აღსანიშნავად თითო რკალს ხაზავდნენ, როდესაც რკალთა რაოდენობა ასამდე ადიოდა ხმალს მცირე ხნით მინაში მარხავდნენ.

საინტერესოა კავკასიური ლეგენდებიც.

გორდა ხმალი მთელ კავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აქედან გამომდინარე, მთიანი კავკასიის თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელს უჩნდებოდა პრეტენზია ხმლის წარმომავლობა საკუთარ რეგიონთან დაეკავშირებინა.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ხმლის ორი ოსტატი წაკამათებულა, ვისი ხმალი იყო საუკეთესო. პირველმა ხმლის მაღალი ღირსების დასამტკიცებლად ცხვარი ერთი მოქნევით გაკვეთა შუაზე. მეორემ მაინც არ აღიარა მოწინააღმდეგის უპირატესობა. გაცეცხლებულმა პირველმა მჭედელმა დაიღრიალა: „გურ-და“ (რაც ერთ-ერთ კავკასიურ დიალექტზე, სავარაუდოდ, ჩეჩნურად, „შეხედეს“ ნიშნავს) და „ურწმუნო“ ოსტატი თავისი ხმლიანად შუაზე გაუკვეთია. მოკლულის ნათესავებმა სისხლის აღება გადაწყვიტეს, მაგრამ უხუცესებმა საუკეთესო ოსტატი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს. უხუცესთა კრებამ განაჩენი გამოიტანა: ოსტატს ყველა მოსისხლესთვის ასეთივე ხმალი უნდა დაემზადებინა. მჭედელმა შეასრულა დავალება და ადრინდელ დამღას, რომელზედაც გამოსახული იყო ზედა და ქვედა ყბა (სქემატურად ზურგშექცეული დაკბილული რკალები, ნიშნად იმისა, რომ ხმალი ისე კვეთდა რკინას, როგორც კბილები ძვალს), გარშემო წერტილები — სიმბოლურად სისხლის წვეთები შემოავლო იმის აღსანიშნავად, რომ ეს ხმლები დაღვრილი სისხლის საფასური იყო.

იმავე ლეგენდას გადმოგვცემს ედუარდ ლენცი, რომელიც განმარტავს, რომ ეს ვერსია იმეორებს სკანდინავიურ და გერმანულ თქმულებას ზღაპრულ მეიარაღე ვილანდზე, რომელმაც მოწინააღმდეგე მჭედელი შუაზე გაკვეთა. თქმულების მიხედვით, ვილანდმა მჭედლობა კავკასიაში ისწავლა. ლენცი გორდას დამღაზეც აკეთებს კომენტარს: „არ ვიცი, ნამდვილად აღნიშნავს თუ არა ადგილობრივ ენებზე სიტყვა „გურდა“ „შეხედეს“, მაგრამ ასეც რომ იყოს, ვერ ვხედავ საჭიროებას, ხმლის პირის სახელწოდება დავუკავშიროთ ამ სიტყვას, მით უმეტეს, რომ უფრო ახლოს დგას და უფრო ბუნებრივად გამოიყურება „გურდას“ წარმომავლობა ძველსპარსული „ქარდ“ ან ახალსპარსული „ქურდიდან“ იყოს, რაც ხმალს, დიდ დანას ნიშნავს“. როგორც ვხედავთ, ლენცი ივანე ჯავახიშვილის მსგავსად „გორდას“ სპარსულ „ქარდს“ უკავშირებს.

ქართული გორდა ხმალი არსებობს როგორც ვადაჯვრიანი, ისე უვადაჯვრო. მას აქვს სწორი პირი, რომელიც წვერისკენ გახრილია. პირი ორღარიანიც აქვს და სამღარიანიც. ტარი — ტიპური ქართული ვადაჯვრიანია. იგი მოხრილი ბოლოთი — „ვაშლით“ სრულდება. ვაშლთან ტარი შედარებით ვიწროა, ვადაჯვართან კი შესამჩნევად ფართოვდება. ხეტარები, ძირითადად პატარა ვერცხლის გობაკებით ან სალტეებითაა შეჭედილი. გორდა ხმალს აგრეთვე ახასიათებს ე. წ. „ლეკური“ ხმლის ტარები — უვადაჯვრო, ბოლოში ორად გაყოფილი.

გორდა ხმალი წარწერით გენუა.
ქართული მინაბაძი — XVII-XVIII საუკუნე

ქართული უვადაჯვრო გორდა ხმლის დამღა — XVIII საუკუნე

ქართული გორდა ხმლის დამღა — XVII-XVIII საუკუნე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი იარაღის ფონდში ორმოცდაათზე მეტი გორდა ხმალია დაცული, რომელთაგან გამორჩეულია ბაგრატიონებისეული გორდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მამუკა ქაფიანიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღისა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

შმაგი ცხენი
1842-1877

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში ულმობლობით სახელგანთქმული „შმაგი ცხენი“ 1860-70 წლებში ინდიელ ოგლალას ტომის ბელადი იყო. მას თავისი ტომი მეოცნებედ თვლიდა, რაკი ლაკოტას ტომის წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისთვის იბრძოდა.

ახალდაბადებულს „ტაშუნკა ვიტკო“ („მისი ცხენი შმაგია“) დაარქვეს. დაიბადა დღევანდელ რეპიდ-სითისთან, სამხრეთ დაკოტაში. მამამისი შამანი იყო, ბიძამისმა, სიუს ტომის უკანასკნელმა ბელადმა, „ლაქებიანმა კუდმა“, როდესაც ბლექ-ჰილსში ოქრო აღმოაჩინეს, ტომის უფლებებზე სცადა მოლაპარაკების გამართვა, მაგრამ შეთანხმება ჩაეშალა, რადგან ძალიან დიდი თანხა — 60 მლნ დოლარი მოითხოვა.

ქრონოლოგია

* 1842 დაიბადა ახლანდელი რეპიდ-სითის მახლობლად, სამხრეთ დაკოტაში.
* 1865 შეუერთდა „წითელ ღრუბელს“ ბოზმენის გზის გაყვანის შესაჩერებლად ბრძოლაში.
* 1866 მონაწილეობდა ფილ-ქერნთან ამერიკელთა ოთხმოცკაციანი რაზმის განადგურებაში.
* 1868 ფორტ-ლარამის მეორე ზავს არ დაემორჩილა.
* 1876 ლითლ-ბიგჰორნის ბრძოლაში გენერალ კასტერის ჯარები გაანადგურა.
* 1877 დანებდა გენერალ კრუკს; დაილუპა 5 სექტემბერს ფორტ-რობინსონთან, ნებრასკაში.

ჭაბუკი მეომარი

„შმაგ ცხენს“ ჯერ კიდევ სიჭაბუკეში გაუვარდა ლეგენდარული მეომრის სახელი. თორმეტი წლისაც არ იქნებოდა, ხარი რომ მოკლა და საკუთარი ცხენი გაიჩინა. 1854 წლის 19 აგვისტოს ბრიულეს ტომის ბელადის მკვლელობას შეესწრო „დამპყრობი დათვის“ ბანაკში, ჩრდილოეთ უაიომინგში. 1855 წელს კი თავისი თვალით იხილა, როგორ ამოწყვიტეს ამერიკელებმა ინდიელთა მთელი სოფელი გენერალ უილიამს ჰარნის სადამსჯელო ექსპედიციების დროს ორეგონში. იმხანად ის კროუს ტომს ცხენებს ჰპარავდა და ოცი წლისამ პირველად უსარდლა ბრძოლას.

„შმაგი ცხენის“ რეპუტაცია მას მერე უფრო ამაღლდა, რაც 1865-დან 1868 წლებში „წითელი ღრუბლის“ მხარდამხარ იბრძოდა ბოზმენის გზის გაყვანის ჩასაშლელად.

1866 წლის 21 დეკემბერს „შმაგმა ცხენმა“ და მისმა ექვსმა მეომარმა ამერიკელთა 80-კაციანი რაზმი დაცული სიმაგრიდან გამოიტყუა. სანამ ის, ინდიელი მეომრები და ქალები ამერიკელების ყურადღების მოდუნებას ცდილობდნენ, შაიენების ბელადმა „პატარა მგელმა“ ფედერალებს ზურგიდან მოუარა და უკან დასახევი გზა მოუჭრა. ათასმა ინდიელმა ამერიკელები ერთიანად გაწყვიტა. ისტორიაში ეს ეპიზოდი შევიდა „ფეტერმანის ხოცვა-ულეტის“ სახელით (ამერიკელ ქვეითთა მეთაურის, კაპიტან უილიამ ფეტერმანის სახელის მიხედვით).

ომის წინამძღოლი

„შმაგი ცხენი“ არც ფორტ-ლარამის მეორე ზავის შემდეგ აპირებდა იარაღის დაყრას, ამიტომაც 1868 წელს „ბიზონების მხარეში“ — ბუფალოში გაიქცა. „შმაგი ცხენი“ ოგლალათა ტომის წინამძღოლი იყო ომში, მათ შორის ბრიულე ინდიელიც ბევრი იყო. ისინი ნადირობდნენ, თევზაობდნენ და სხვა მკვიდრ ამერიკელებს ეომებოდნენ, რათა ლაკოტას ცხოვრების წესი შეენარჩუნებინათ. „შმაგ ცხენს“ ორი ცოლი ჰყავდა: ოგლალათა და შაიენის ტომებიდან.

1874 წელს ექსპედიციამ გენერალ კასტერის ხელმძღვანელობით გამოიკვლია ბლექ-ჰილსის მიდამოები და ოქრო აღმოაჩინა. აშშ-ის მთავრობამ სცადა ამ ტერიტორიის ინდიელებისგან გამოსყიდვა, მაგრამ ამაოდ. 1876 წლის 31 იანვარს ინდიელებს რეზერვაციაში დაბრუნება უბრძანეს. „შმაგმა ცხენმა“ უარი განაცხადა, ამიტომ გენერალმა

ჯორჯ კრუკმა მისი შეპყრობა განიზრახა, მაგრამ „შმაგმა ცხენმა“ უკან დაიხია, კლდეებში, მერე კი კრუკის რაზმს მოულოდნელად დაესხა თავს და უკუაქცია როზბად-კრიკთან. 25 ივნისს „შმაგი ცხენი“ „მჯდომარე ხარს“ შეუერთდა ლითლ-ბიგჰორნის ბრძოლაში.

ლითლ-ბიგჰორნთან ლაკოტას გამარჯვების შემდეგ, „მჯდომარე ხარი“ კანადაში გადავიდა, „შმაგი ცხენი“ კი იმავე ზამთარს გენერალ ნელსონ მაილზს შეება. 1877 წლის 8 იანვარს ვოლფ-მაუნთინთან, სამხრეთ მონტანაში, „შმაგმა ცხენმა“ რვაასი ინდიელი გაიყვანა ბრძოლაში. მაილზს ქვემეხები ფურგონებში ჰქონდა დამალული და ინდიელებს ცეცხლი გაუხსნა. „შმაგმა ცხენმა“ ხერხი იხმარა — თითქოს უკან დაიხია და კონტრშეტევაზე გადასულ თეთრ კანიანებს შეუტია. ვითარება მაინც უიმედო იყო. 1877 წლის 5 მაისს „შმაგმა ცხენმა“ რვაასი დაღლილი და დამშეული მეომარი წაიყვანა ფორტ-რობინსონისკენ „წითელი ღრუბლის“ რეზერვაციაში, ჩრდილო-დასავლეთ ნებრასკაში. მას ვაშინგტონში გამგზავრება და პრეზიდენტ რეზერფორდ ჰეისთან შეხვედრა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. მალე „შმაგმა ცხენმა“ რეზერვაცია დატოვა და ავადმყოფი ცოლი მის მშობლებთან წაიყვანა. იმის შიშით, ისევ ომის გზას არ დაადგესო, კრუკმა მისი დაპატიმრება ბრძანა. „შმაგ ცხენს“ წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ საპატიმროში მიჰყავდათ, შებრძოლება არჩია, წინააღმდეგობისას ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მას ხიშტი გაუყარა.

როზბად-კრიკის ბრძოლა

● როდესაც 1876 წელს აშშ-ის მთავრობამ ინდიელებს რეზერვაციაში წასვლა უბრძანა, „შმაგი ცხენი“ წინააღმდეგობის ლიდერი გახდა. იმავე წლის მარტში, როდესაც ფედერალთა მზვერავებმა ინდიელთა კვალს მიაკვლიეს, გენერალმა ჯორჯ კრუკმა რაზმი გაგზავნა პოლკოვნიკ ჯოზეფ რეინოლდსის მეთაურობით სამხრეთ მონტანაში, ფაუდერ-რივერთან ინდიელთა ბანაკზე თავდასასხმელად. 17 მარტის გამთენიისას რეინოლდსმა შეტევა ბრძანა. ინდიელებმა ისევ ცრუ დახევა არჩიეს და ფედერალებს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ ამერიკელებმა მათი ქოხების გადაწვა დაიწყეს. „შმაგმა ცხენმა“ თავისი მეომრები გადააჯგუფა და ღამით, ქარბუქის დროს, თავისი რაზმი უკან დახია. შაიენებთან დამოყვრებულმა „შმაგმა ცხენმა“ 1200 ოგლალასა და შაიენს მოუყარა თავი, რომ გენერალ ჯორჯ კრუკის ჯარს დასხმოდნენ თავს. 1876 წლის 12 ივნისს კრუკმა როზბანდ-კრიკთან „მჯდომარე ხარის“ ალყაში მოქცევა სცადა.

● როზბანდ-კრიკთან გამარჯვების შემდეგ „შმაგი ცხენი“ „მჯდომარე ხარს“ შეუერთდა და 25 ივნისს გენერალ კასტერის ჯარს შეებრძოლა — მისი მეშვიდე კავალერია გაანადგურა ლითლ-ბიგჰორნთან, ჩრდილო-დასავლეთით კი ალყაში მოაქცია ფედერალთა ფლანგი მაშინ, როცა ჰუნკპაპას ტომი ბელად „ნაღველის“ მეთაურობით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გადავიდა შეტევაზე.

მოამზადა **ლევან ინასარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

282 ოდა ნობუნაგა „მეომარი პროვინციების ეპოქის“ სახელგანთქმული სამურაი იყო. ის 1534 წელს დაიბადა და დაიმიო (სარდალი) 16 წლის გახდა. რადგან ასე ახალგაზრდა იყო, მტრულად განწყობილ კლანებს ეგონათ, იოლად დაამარცხებდნენ და მის მიწებს ხელში ჩაიგდებდნენ. მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ ნობუნაგამ თავისი მტრები სასტიკად დაამარცხა.

283 1560 წლიდან ნობუნაგა ძალზე გაძლიერდა. ამ წელს მის სამფლობელოში იმაგავას კლანი შეიჭრა. მისი ჯარი 12-ჯერ აღემატებოდა ნობუნაგასას და იოლად აიღო მისი რამდენიმე ციხესიმაგრე. ეგონათ, ნობუნაგა დამარცხდებოდა, მაგრამ ერთ დღეს, ჭექა-ქუხილის დროს, მან მოულოდნელად შეუტია თავის მტერს. დაიმიო იმაგავა დაიღუპა, ნობუნაგამ გაიმარჯვა.

284 1575 წელს ნაგასინოს ბრძოლა გაიმართა. ნობუნაგას ჯარმა ნაგასინოს ალყაშემორტყმული ციხესიმაგრე აიღო და დაამარცხა ტაკედას კლანი. ამ ბრძოლამ ბოლო მოუღო ნობუნაგასა და ტაკედას კლანების ათწლიან დაპირისპირებას.

▶ მხატვრები ოდა ნობუნაგას უშიშარ მეომრად ხატავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

285 ნობუნაგასა და ტაკედას არმიები ერთმანეთს ნაგასინოს ციხესიმაგრესთან, ველზე შეიბნენ. ტაკედას კლანის ცხენოსანმა სამურაებმა ნობუნაგას ძალებს შეუტიეს. მათ ნობუნაგას 3000 არკებუზირმა გაუხსნა ცეცხლი. სანამ ტაკედას ჯარის მეორე ნაკადი მოახლოვდებოდა, არკებუზირებმა მოასწრეს იარაღის დატენა. რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ ტაკედას არმიამ უკან დაიხია.

286 ოდა ნობუნაგა 1582 წელს დაიღუპა. ამ დროისთვის ის ძლევამოსილი დაიმიო იყო და ისე იქცეოდა, თითქოს სიოგუნი იყო. ამან ბევრი მტერი გაუჩინა. ერთ დღეს, როცა ჰონიოძის ტაძარს ეწვია კიოტოში, მას თავისივე ხალხი დაუპირისპირდა. ერთი გადმოცემით, ის მოკლეს, სხვა ვერსიით, აიძულეს სეპუკუ გაეკეთებინა.

▼ სცენა კინოფილმ „კაგემუსადან“ („მეომრის ჩრდილი“), რომელიც 1980 წელს გამოვიდა. ის ასახავს მეომარი პროვინციების ეპოქას, რომელიც ნაგასინოს ბრძოლით დასრულდა.



კითხვები

1. რამდენი წლის იყო ნობუნაგა, როდესაც კლანის ლიდერი გახდა?
2. როგორი ამინდი იყო, როდესაც ნობუნაგამ დაამარცხა იმაგავა?
3. რამდენი არკებუზი გამოიყენა ნობუნაგამ?
4. როდის მოხდა ნაგასინოს ბრძოლა?
5. რომელ ქალაქში დაიღუპა ნობუნაგა?

პასუხები:
1. 16; 2. ჭეშმარიტი იყო; 3. 3000; 4. 1575; 5. კიოტოში.

დროშები და შტანდარტები

287 სამურაებს ბრძოლაში დროშები და შტანდარტები მიჰქონდათ. ბრძოლის ველზე ასობით დროშა ფრიალებდა და თითოეულს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთზე გამოსახული იყო ოჯახის, კლანის ან რელიგიური სიმბოლოები, სხვებზე — წარწერები. დროშების ტარება ჯარის ქვეითების საქმე იყო.

▲ სომა-ნომაოის ფესტივალი ყოველწლიურად იმართება ქალაქ ჰარამაჩიში. აღლუმზე ცხენოსნებს ტრადიციული სამურაული აბჯრები აცვიათ და უჭირავთ დროშები, რომლებზეც ამა თუ იმ კლანის სიმბოლოებია გამოსახული.

288 ბრძოლის ველზე ქაოსი იყო. ცხენების ქროლასა და ხოცვა-ჟლეტაში შეიძლებოდა მეომარი თავისიანებს ჩამოსცილებოდა ან თვალთახედვის არიდან დაეკარგა დაიმიო. თუ ეს მოხდებოდა, მეომარს თავისი მხარის დროშები უნდა მოეძებნა, რომელსაც მხოლოდ მისთვის ნაცნობი სიმბოლოებით ამოიცნობდა.

▼▶ წითელი ქოლგა, ოდა ნობუნაგას დიდი შტანდარტი და ოქროს ზარი, მაკაი ტადაკაცუს დიდი შტანდარტი, რომელიც ომურას კლანის ლიდერი იყო.

288 XVI საუკუნის მიწურულს დაიმიოს ორი შტანდარტი (პერსონალური დროშა) ჰქონდა, — დიდი და მცირე. შტანდარტი კლანის ძალაუფლების პერსონიფიცირებული სიმბოლო იყო და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

▶ სამურაის ზურგზე დამაგრებულ საშიმონოს აწერია „წინამძღოლი“.

291 სამურაის შეეძლო დროშა ზურგზე დაემაგრებინა. მას საშიმონო ერქვა. დროშის ტარი დამაგრებული იყო აბჯარზე, მეომარს კი ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა. საშიმონო მოხატული იყო კლანის ფერებით ან სიმბოლოებით. ზოგიერთი სამურაი დროშაზე წარწერას აკეთებდა, სადაც მეპატრონისა და იმ პირის სახელიც ეწერა, რომლის მოკვლასაც აპირებდა.

290 შტანდარტის ტარება დიდი პატივი იყო, მაგრამ სახიფათოც. მტერი მუდამ მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ამიტომ მეომარი, რომელიც შტანდარტს ატარებდა, ყოველთვის ჯარის შუაგულში იყო. მას თავგამოდებით იცავდნენ. თუ შტანდარტის მატარებელს მოკლავდნენ, მის ადგილს დაუყოვნებლივ სხვა მეომარი დაიკავებდა.

დახატე დროშა

დააკვირდი ამ წიგნში მოყვანილი დროშების სურათებს და შემდეგ ერთ-ერთი დახატე.

შენი ნახატი უნდა იყოს მარტივი და მკაფიო, ამიტომ გამოიყენე კაშკაშა ფერები, რომ დროშა ფერადოვანი გამოგვიდეს.

კოსმონავტების ყოველდღიური ცხოვრება

კოსმოსში მოგზაურობა და უწონობაში ფრენა ადამიანისგან დიდ ფიზიკურ ძალას და მხნეობასაც მოითხოვს. ყველაზე ცუდად ორგანიზმზე სნორად უწონობა მოქმედებს. ორბიტაზე გასული კოსმონავტებისთვის განსაკუთრებით მძიმე პირველი დღეებია, მაგრამ დაკარგვასთან ერთად, მოძრაობის კოორდინაციაც ეწერდეთან. ამ დისკომფორტს არა მხოლოდ ორბიტაზე მოხვედრილი „ახალბედები", არამედ გამოცდილი კოსმონავტებიც გრძნობენ. შემდეგ ორგანიზმი თანდათან ახალ გარემოს ეჩვევა და მეზობლის წვეულ რიტმს უბრუნდება. თუმცა მეწვევის პერიოდი ყველას განსხვავებული აქვს.

1970 წელს ორბიტაზე 18-დღიანი ყოფნის შემდეგ დედამიწაზე დაბრუნებული საბჭოური კოსმოსური ხომალდ Союз-9-ის ეკიპაჟს (ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი) 6 დღე დამოუკიდებლად საარული არ შეეძლო. ორგანიზმის სრულ რეაბილიტაციას ხანგრძლივ წელიწადზე მეტი დასჭირდა.

პირველი ხანგრძლივი კოსმოსური ექსპედიციის შემდეგ, მეცნიერებმა და ექიმებმა ადამიანის კოსმოსში უსაფრთხო ყოფნისთვის შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა, რომელიც ორგანიზმზე ფიზიოლოგიურ დატვირთვას თავიდან აიცილებდა — ორბიტაზე მყოფ კოსმონავტებს ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში ფიზიკური ვარჯიშები უნდა შეესრულებინათ.

ორბიტულ სადგურებზე „კოსმოსური ტრანსპორტები" დაიფრენენ — სარბენი ბილიკი და ველოტრენაჟორი. გარდა ამისა, კოსმონავტთა ეკიპირებას სპეციალური დამტვირთავი და ვიკუუმური კოსტიუმები დაემატა. პირველი ადამიანის კუნთების, მეორე კი სხეულის ქვედა ნაწილში სისხლის ნნეკის სტიმულირებას ახდენს. დადგენილი ნორმების თანახმად, კოსმონავტები ყოველდღიურად სარბენ ბილიკზე 3-5 კმ-ს გარბიან. ყოველდღიური ვარჯიში ორგანიზმზე უწონობის უარყოფით ზემოქმედებას ამცირებს.

ორბიტაზე კოსმონავტებს სხვა დისკომფორტის ტანაც უნდათ, მაგალითად, ძილის დარღვევა. ორ-



ბიტაზე მზე ყოველ 90 წთ-ში ამოდის და ჩადის. ამიტომაც 24 სთ-ში კოსმონავტები განითადს 16-ჯერ ხედავენ.

დედამიწისთვის დამახასიათებელი სანოლისა და ძილის პორიზონტალური მდგომარეობისგან განსხვავებით, 400 კმ-ის სიმაღლეზე მყოფ კოსმონავტებს დაძინება ვერტიკალურად, სპეციალურ საძილე ტომრებში უწევთ. ამ შემთხვევაში ტერმინი „ვერტიკალურად" პირობითია, რადგან კოსმოსში მკაცრად განსაზღვრული „ზედა" ან „ქვედა" მდგომარეობა არ არსებობს. ადგილის დაზოგვის მიზნით, საძილე ტომრები, რომელიც ქაღალდისა და ელვისგან იკერება, გვერდითა პანელებზე მაგრდება.

სკაფანდრებს კოსმონავტები მხოლოდ სტარტისა და დაშვებისას, ორბიტულ სადგურთან შეერთებისას და ღია კოსმოსში გასვლისას იცვამენ. მთელ დანარჩენ დროს კოსმონავტები გაცალკევებით მოსახერხებელ ტანსაცმელში — სატრანსპორტო ბასმისგან დამზადებულ კომბინეზონსა და მაისურებში აცარავენ. საგულისხმოა, რომ კოსმონავტების ტანსაცმელში ღილები არასდროს იცვამენ.

ორბიტული სადგურის ბორტზე ტანსაცმლის გარეცხვა შეუძლებელია. ამიტომაც კოსმონავტების გამოყენებულ ნივთებს, სხვა ნარჩენებთან ერთად, სატრანსპორტო ხომალდებში ათავსებენ და ატმოსფეროში ნვავენ. ფეხსაცმელს მხოლოდ ვარჯიშისას ხმარობენ, სხვა დროს კი სპეციალური ნინდები აცვიათ.

კოსმოსურ სადგურზე ყველაფერი განსაკუთრებულია. კოსმონავტებისთვის საჭირო ინარალსა და ხელსაწყოებსაც კი სპეციალური საკინძტრეტერი ბოლოები ქმნიან. მაგალითად, დარტყმისას ჩაჭერი უკან რომ არ აბრუნდეს, მიგნით აქვს ღერო, რომელშიც ფოლადის ბეწვოლენია ჩაწერილი. უპირველეს რეაქციას სნორედ ისინი ახმობენ.

ТП-82-ის საბრძოლო მასალის ტრანსპორტირებისთვის ეკიპაჟი, 2007 წლიდან მიღებული რიგი კოსმონავტები ორბიტაზე „ბრძოლის" პისტოლეტებით დაფრინავენ

უწონობის ეკიპაჟთან ზემოქმედების მუსიკალურმა, კოსმონავტები ყოველდღიურად ეკარგებიან

ავადმყოფობისგან არც კოსმონავტები არიან დაზღვეული. უმაცრესი სამედიცინო შემნმების მიუხედავად, კოსმონავტიკის ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც კოსმონავტს შეუძლია გადმოვიდეს ბორტიდან ადამიანზე ვადაზე ადრე დაბრუნებული.

საერთაშორისო ორბიტულ სადგურზე სამედიცინო დახმარების აღმრენისთვის ყველა საჭირო საშუალებაა, მათ შორის დეფიბრილატორი და სტომატოლოგიური ინარალი. კოსმონავტების მომზადებაში კი ადეკვატური სამედიცინო კურსი შედის, სხვათა შორის, ინტერდისციპლინური პოლეთიოლენის შესაფუთი, რომლებშიც ფეხს ამბენ ადამიანებენ, 60-იან ნლებში სპეციალურად კოსმოსური ეფექტიანობისთვის გამოიყენეს.

კოსმონავტებს საკუთარი ინარალი აქვთ, თუმცა უცხოელებელებთან საბრძოლველად ის არ არის გასუფთავული. 1986 ნლიდან საბჭოთა, შემდგომ კი რუსი კოსმონავტები, ორბიტაზე ТП-82-ის ტიპის პისტოლეტებით დაფრინავენ.

ინაცვლებულ პისტოლეტს ორი 12,5x70 მმ-ის კალიბრის სანადირო (საფეხტო) და ერთი 5,45x40 მმ-ის კალიბრის ვაზნაზე გათვლილი ლულა აქვს. საბრძოლველის გარდა, მანაზე დამაგრებულ კოსმონავტებს პისტოლეტით სასიგნალო ვაზნების გასროლა შეეძლოთ. ТП-82 (ლულის სიგრძე 300 მმ) საბჭოური კოსმონავტების ეკიპაჟი მარაგის ერთ-ერთი კომპონენტი იყო. საბრძოლო კომპლექტში 5 ცალი 5,45 და 10 ცალი 12,5 კალიბრის საბრძოლო და 11 ცალი 12,5 კალიბრის სასიგნალო ვაზნა შედიოდა.

კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟს პისტოლეტი უკარნელ ადგილს დამკვეთის შემთხვევაში, გარეული ცხოველებისგან დასაცავად, საკვ

ს მოსაპოვებლად და შეეფლებისთვის სიგნალების მისაცემად უნდა გამოეყენებინა.

ალექსანდრე აფაქიძე

შოტლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლაიდის სამხედრო-საზღვაო ბაზას (შოტლანდია) ფერტ-ოფ-ქლაიდის ყურის რამდენიმე უბე უკავია და იქ ბრიტანეთის ბირთვული შეკავების ძალების ბალისტიკურრაკეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავები ბაზირებენ

2012 წლის 15 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა და შოტლანდიის ეროვნული პარტიის ლიდერმა ალექს სალმონდმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 2014 წლის ბოლომდე შოტლანდიის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებული რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო შუა საუკუნეებში მისი შექმნის დღიდან 1707 წლამდე, როდესაც ინგლისსა და შოტლანდიას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება უნიაზე ახალი სახელმწიფოს — დიდი ბრიტანეთის დაარსების თაობაზე. გაუქმდა შოტლანდიის პარლამენტი და მის ნაცვლად დაწესდა პირდაპირი მართვა ლონდონიდან. ათწლეულების მანძილზე შოტლანდიელები ცდილობდნენ მმართველობაში მეტი ავტონომიის მიღებას, მაგრამ უშედეგოდ.

XX საუკუნის ბოლომდე დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებდა უნიტარულ სახელმწიფო მოწყობას, რაც არ აწყობდა შოტლანდიელთა უმეტესობას.

1994 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ ლეიბორისტები ტონი ბლერით სათავეში. მათ შესთავაზეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ლონდონის უფლებამოსილებათა ნაწილის თანდათან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა სახელისუფლებო ორგანოებისთვის გადაცემას.

ექსპერტთა უმრავლესობამ დაინახა ამ ცვლილებაში სახელმწიფო მოწყობის ფორმის შეცვლა — უნიტარულიდან ფედერაციულისკენ.

1997 წელს კი შოტლანდიელებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს პარლამენტის შექმნის იდეას.

ჯერჯერობით შოტლანდიის პარლამენტი დაკავებულია საკითხების გადაჭრით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სპორტი და ხელოვნება. ასევე მუშაობს ციხეების ფუნქციონირების პრობლემებზე.

იმავდროულად, ვესტმინსტერი ინარჩუნებს სუვერენიტეტს შოტლანდიის პარლამენტზე, რადგან მის კომპეტენციაში შედის: ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ევროკავშირთან ურთიერთობის ჩათვლით, თავდაცვის პოლიტიკა და ეროვნული უშიშროება, სტაბილურობა ფისკალურ, ეკონომიკურ თუ მონეტარულ სისტემებში და სხვ.

ასეთი საპასუხისმგებლო სფეროების გარეშე დარჩენა ედინბურგს არ აძლევს ხელს, თუმცა შოტლანდიის ბიუჯეტი 30 მლრდ გირვანქა სტერლინგს ანუ 50 მლრდ დოლარს შეადგენს, რასაც ცენტრალური მთავრობისგან იღებენ.

ამ სიტუაციის კომენტირებისას ნაციონალისტები აცხადებენ, რომ დამოუკიდებელი შოტლანდია უფრო მეტს მიიღებს ნავთობის მოპოვებით ჩრდილოეთის ზღვის ბრიტანულ ზონაში, სადაც ნავთობითა და აირით მდიდარი საბადოების დამუშავება მიმდინარეობს.

შოტლანდიის გამოყოფას შეიძლება არასახარბიელო შედეგი ჰქონდეს როგორც გაერთიანებული სამეფოსთვის, ასევე თავად შოტლანდიისთვისაც.

შოტლანდიელ ნაციონალისტებს არაერთხელ განუცხადებიათ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში საკუთარი ქვეყნის როლის შეცვლაზე ევროპასა და მსოფლიოში. უპირველესად იგეგმება სახელმწიფოდან ყველა ბირთვული ობიექტის გატანა, რაც დიდ დარტყმას მიაყენებს დიდი ბრიტანეთის ბირთვული შეკავების ძალებს, რადგან ამჟამად ბრიტანული ბირთვული წყალქვეშა ნავების მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა შოტლანდიაშია.

უცხოელ სამხედრო ექსპერტთა შეფასებით, ლონდონს ამდაგვარი ახალი ობიექტების მშენებლობაზე დაახლოებით 20 წელი მაინც დასჭირდება, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, რადგან ბრიტანეთის კუნძულების დანარჩენი ნაწილის სანაპირო ხაზის სტრუქტურა არ იძლევა ატომური წყალქვეშა ნავებისთვის უსაფრთხო სადგომების შექმნის პირობებს.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ დამოუკიდებელი შოტლანდია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჩრდილო ატლანტიკაში, შეიძლება NATO-ს წევრი გახდეს; მესამე — ქვეყანა აპირებს ევროკავშირში გაწევრებას, მაგრამ ევროზონით დაინტერესებული არ არის. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფოს შეუძლია ევროკავშირში შოტლანდიის შესვლა დაბლოკოს.

მეოთხე ფაქტორი: დამოუკიდებელ შოტლანდიას შეუძლია იმედი იქონიოს, მიიღოს 80-90% ჩრდილოეთის ზღვაში მოპოვებული ნავთობისა და გაზის გაყიდვებისგან. ასეთმა დამოუკიდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოეთ სახელმწიფოს დაშლა — დადგება საკითხი ჩრდილო ირლანდიისა და უელსის სტატუსების შესახებ.

მეხუთე: შოტლანდიელი ნაციონალისტები თვლიან, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შოტლანდიამაც უნდა ითამაშოს როლი არქტიკის პრობლემების გადაჭრაში. ბრიტანეთის მასმედიაში აქტიურად მსჯელობენ შეკავების ბირთვული ძალების ბედზე. შოტლანდიელი ნაციონალისტები ლაპარაკობენ იმაზე, რომ ედინბურგს შეუძლია ლონდონს განხილვისთვის შესთავაზოს ისეთი ვარიანტები, როგორიცაა ბრიტანული ბირთვული წყალქვეშა ნავების საფრანგეთისა და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზებში გადაყვანა.

უცხოელი ექსპერტების აზრით, თუკი რეფერენდუმის შედეგად შოტლანდია დამოუკიდებლობას მიიღებს, ხარჯების გაღება ბაზების გადატანაზე მოუწევს როგორც ბრიტანელ, ასევე შოტლანდიელ გადასახადების გადამხდელებს.

ბრიტანელი ექსპერტების შეფასებით, ეს თანხა არც ისე პატარაა — არანაკლებ 3,5 მლრდ გირვანქა სტერლინგი და სამხედრო-საზღვაო ობიექტების დემონტაჟის შემთხვევაში, ბირთვული საზღვაო შეკავების მთელი სისტემა არსებობას შეწყვეტს.

შოტლანდიის დამოუკიდებლობამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს დიდი ბრიტანეთის როგორც NATO-ს წევრის მნიშვნელობა. ალექს სალმონდი ეთანხმება იმ აზრს, რომ შოტლანდია და დიდი ბრიტანეთის დანარჩენი ნაწილიც ხელს შეუწყობენ შეიარაღებული ძალების საერთო სტრუქტურას.

ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის მომხრეების გამარჯვების შემთხვევაშიც ის აღიარებს მას მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაიჭრება ყველა საკამათო საკითხი — სამხედრო ბაზების პრობლემებიდან სახელმწიფო ვალის განაწილებამდე.

მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა

ამჟამად ჩრდილოეთის ზღვის შოტლანდიურ აკვატორიაში ნავთობითა და აირით მდიდარი საბადოების დამუშავება მიმდინარეობს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა

სიახლე!

335 მნიშვნელოვანი რჩევა ნადირობის შესახებ

ფასი
29.95 ლარი

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 13, 0(32) 238 26 14 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უდალეცის“ სერიის ერთ-ერთი საპორტო ყინულმჭრელი ბუქსირი, რომლის მსგავსი ფოთის პორტის „ტავრიდა“ იყო

„ტავრიდას“ უჩვეულო სამხედრო წარსული

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამოქალაქო პატარა ფლოტმა მცირე ხანს იარსება და ამის მიუხედავად მას საბრძოლო ეპიზოდები არ აკლია, ხოლო ზოგიერთი მცურავი საშუალების საზღვაო ბიოგრაფია კი ბევრ სამხედრო ხომალდსაც კი შეშურდებოდა.

1899-1914 წლებში რუსეთის საზღვაო სამინისტროს შეკვეთით რუსეთში, ფინეთსა და შვეიცარიაში აიგო 200 ეფექტური ცხ. ძალის „უდალეცის“ სერიის 30 საპორტო ყინულმჭრელი ბუქსირი.

ერთ-ერთი მათგანის მშენებლობა 1902 წელს დაიწყო და დასრულების შემდეგ ბუქსირს სამსახური წყნარ ოკეანეში, პორტ-არტურში მოელოდა.

ახლა ძნელი გასარკვევია, რატომ ითქვა უარი ბუქსირის შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნაზე და როგორ აღმოჩნდა ყინულებში ცურვაზე გათვლილი გემი ფოთში, სადაც გაყინული ზღვა წარმოუდგენელია.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთის პორტებისა და საავჭრო ნაოსნობის სამმართველო დაუმთავრებელი გემით დაინტერესდა და 1903 წლის დასაწყისში 31 ათას 600 რუბლად ფოთის პორტისთვის იყიდა.

ნიკოლაევის გემთსაშენი და სამსხმელო ქარხნების საზოგადოებამ იმავე წელს დაასრულა ბუქსირ „ტავრიდას“ მშენებლობა და გემი თავისი სვლით ნიკოლაევიდან ფოთში გადმოვიდა.

1899 წელს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით ფოთში პორტის მშენებლობა დაიწყო. მშენებარე პორტისთვის აუცილებელი ტვირთი სხვადასხვა ქალაქიდან მოემართებოდა და სატვირთო გემების მიღება-გაცილება ბუქსირის მოვალეობაში შედიოდა.

პირველმა მსოფლიო ომმა „ტავრიდას“ ბიოგრაფია მკვეთრად შეცვალა და მშვიდობიან, სამოქალაქო გემს მობილიზაცია შეეხო. ბუქსირი ბათუმში მიხაილის სიმაგრეების განკარგულებაში გადავიდა და ბრანდვახტის დანიშნულებას ასრულებდა.

ბრანდვახტერის ერთფეროვანი სამსახური კი პორტში შემავალი და იქიდან გამომავალი გემების მხრიდან საომარი მდგომარეობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვის გაკონტროლება იყო.

ომის წლებმა ბათუმში „ტავრიდასთვის“ მშვიდობიანად ჩაიარა. პირველი საბრძოლო დავალების შესრულებამ მას 1918 წლის აპრილში მოუწია, როცა ბათუმს თურქეთის არმია მოადგა. თურქებს ძალიან სურდათ ბათუმის პორტში მყოფი გემების დაკავება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ დროულად შეძლო საევაკუაციო ოპერაციის ჩატარება და თურქ ასკერებს პორტი დაცარიელებული დახვდათ.

პორტში დარჩენილი გემების ერთმა ნაწილმა თავი რუსეთის პორტებს შეაფარა, ხოლო მეორემ კი ფოთს მიაშურა.

ბათუმი არშემდგარი ამიერკავკასიის ფლოტილიის გამანადგურებლებმა („გრინპორტის“ ტიპის კატარღები) დამოუკიდებლად დატოვეს, ხოლო მცირეტონაჟიანი საპორტო გემები: „ნაში“, „რცი“, „იუე“, „სლოვო“, „სერგეი გლებოვი“ და ბარჟები „ტავრიდამ“ და სხვა გემებმა ბუქსირით გამოიყვანეს.

1918 წლის გაზაფხულზე ბათუმის დაკარგვასთან ერთად საქართველოს ხელისუფლებას ვითარება სოხუმის ოლქშიც გაურთულდა, სადაც ადგილობრივი



ფოთის პორტის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ნიკო ნიკოლაძე

ბოლშევიკები რუსეთის მხარდაჭერით ძალაუფლების ხელში აღებას ცდილობდნენ.

აფხაზეთში ომის დაწყების გამო ფოთში მყოფი სატრანსპორტო გემები: „პაველი“ და „დობროვოლსკი“, ბუქსირები „ჭოროხი“ და ტავრიდა“, აგრეთვე შეიარაღებული გემი „მიხეილი“ საქართველოს მთავრობისა და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებაში გადავიდნენ.

იმ პერიოდის ოპერაციებიდან გამოსაყოფია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით სახალხო გვარდიის მიერ 1918 წლის 9 მაისს ოჩამჩირესთან ჩატარებული სადესანტო ოპერაცია.

მაშინ ფოთიდან „ტავრიდამ“ წაიყვანა გვარდიელთა ერთ-ერთი ქვედანაყოფი, ხოლო ბუქსირზე ჩაბმული ბარჟით ქვემეხები, საბრძოლო მასალები და ცხენები გადაიყვანა.

მომდევნო დღეებშიც ბუქსირი სხვა გემებთან ერთად სანაპირო ზოლში ჯარების გადაჯგუფებითა და კვების პროდუქტების მომარაგებით იყო დაკავებული.

„ტავრიდა“ მონაწილეა გაგრიდან ტუაფსეს მიმართულებით ქართული არმიის ლაშქრობისა და ერთი საზღვაო შემთხვევის თანამონაწილეც გახდა.

1918 წლის 23 სექტემბერს ქართული ფლოტილიის ერთადერთი შეიარაღებული გემი „მიხეილი“ ქარიშხალმა სოჭის მახლობლად ნაპირზე გაირიყა. „მიხეილის“ მახლობლად იმყოფებოდა „ტავრიდა“, მაგრამ ბუქსირის კაპიტანმა სუსტი მანქანებისა და ქვანახშირის უქონლობის მომიზეზებით დახმარების გაწევა ვერ შეძლო.

ამ დროს ბუქსირის ბორტზე იმყოფებოდა საქართველოში გერმანიის სამხედრო-საზღვაო წარმომადგენელი, კაპიტან-ლეიტენანტი ქრისტიანსენი, რომელმაც შესაძლოა საჭიროდ არ ჩათვალა გაჭირვებაში მყოფი გემისთვის დახმარების გაწევა.

გამორიცხული არ არის, რომ კაპიტნის მიერ მოყვანილი მიზეზები სიმართლესთან ახლოს იყოს, რადგან „ტავრიდაზე“ 1876 წელს დამზადებული კომპაუნდის მანქანები იყო დაყენებული.

ბუქსირის საბრძოლო ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფურცელი დაკავშირებულია 1918 წლის 8 ოქტომბერთან, როცა „ტავრიდამ“ ორი ბარჟით ფოთიდან გაგრაში გერმანელთა სამხედრო აღჭურვილობა და უმავთულო ტელეგრაფის (რადიოსადგური) ასაგები მოწყობილობები გადაიტანა. შემდეგ ბათუმის რაზმი სოხუმიდან სოჭში ქართული ჯარის მისაშველებლად ჩაიყვანა.

მართალია, ბუქსირმა „მიხეილს“ 1918 წლის სექტემბერში დახმარება ვერ აღმოუჩინა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ სამაშველო ოპერაციის თანამონაწილე მაინც გახდა.

ოქტომბრის ბოლოს „მიხეილის“ დასახმარებლად ფოთიდან საბუქსირე გემები „ჭოროხი“, „ტავრიდა“ და „მუშა“ გაგზავნეს, ხოლო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ტუაფსეს პორტიდან მიწამხაპავი „პოლუქსი“ გამოვიდა.

სოჭის მახლობლად სამაშველო სამუშაომ ერთ თვეს გასტანა და 28 ნოემბერს დილის 5 სთ-ზე „მიხეილის“ ზღვაში გაყვანა და ფოთში მშვიდობიანად ჩაყვანა მოხერხდა.

1919 წლის თებერვალში ბუქსირს მანქანების (ძრავების), კაიუტების, სავალი ჯიხურის გარემონტება დასჭირდა და სახელიც „სენაკით“ შეუცვალეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ტავრიდა“ შერჩა.

ბუქსირის 6-კაციანი ეკიპაჟი ნიკოლოზ დუნდუას კაპიტნობით ნებისმიერი დავალების შესასრულებლად მუდამ მზად იყო.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ფოთის ნავსადგურის სამმართველოს 1920 წლის 15 იანვრის 170 სხდომის ოქმი.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ქართული სამხედრო ფლოტილიის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ჩიკვაიძე:

„გავხდი თუ არა ფლოტილიის უფროსი, გენშტაბის უფროსს დაწვრილებით ამოცანებსა და ორგანიზაციაზე მოხსენებით მივმართე. ამაზე მივიღე მითითება, რომ შევზღუდულიყავი სამი გამანადგურებლითა და უმოკლეს დროში მათი სრულ წესრიგში მოყვანით. მაგრამ გამანადგურებლები, როცა დაგვჭირდა, არც



ამ ფოტოზე გამოსახული უცნობი საბუქსირე გემი ქართული დროშით ძალიან წააგავს ბუქსირ „ტავრიდას“. ფოტო გადაღებულია ფრანგული ჯავშნოსანი კრეისერი Waldeck-Rousseau-ს ბორტიდან, სავარაუდოდ, 1921 წლის თებერვალში ან მარტში და მინანერში ისიცაა მითითებული, რომ ქართული დროშის ქვეშ ძრავიან კატარღას სოხუმში დესანტი გადაჰყავს

ერთი მზადყოფნაში არ აღმოჩნდა და მომსახურება გემმა „ტავრიდამ“ გაგვიწია“.

ისიც აღსანიშნავია, რომ ეკიპაჟსა და კაპიტანს ქართველი სამხედროები ძალიან ენდობოდნენ და შემთხვევითი არ იყო, რომ 1920 წლის დეკემბერში გენერალმა ზაქარიაძემ გზათა დეპარტამენტს მისთვის „ტავრიდას“ გამოყოფის თხოვნით მიმართა.

1921 წლის თებერვალში რუსეთის აგრესიის დაწყებისთანავე საქართველოს პორტებში მყოფი ყველა სამოქალაქო გემები სამხედრო ფლოტილიის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ გადაწყვეტილებას წინ პორტების უფროსი აღუდგა. მისი დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ, მთავრობის განკარგულებით, სამხედრო ფლოტილიას სატვირთო-სამგზავრო „მარია“ და სატრანსპორტო „ვესტა“ დაუტოვეს, ხოლო სხვა გემები პორტების სამმართველოს განკარგულებაში დარჩნენ.

ქართული ფლოტილიის ბოლო მეთაური, I რანგის კაპიტანი თაყაიშვილი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ბათუმიდან ევაკუაციის მოსურნეთა რიცხვი დიდი იყო, ხოლო გემების რაოდენობა კი არასაკმარისი.

გარდა ამისა, ეკიპაჟებში მრავლად იყვნენ ბოლშევიკები და მათი თანამოაზრეები, რომლებიც ევაკუაციისათვის ხელის შეშლას ყოველნაირად ცდილობდნენ.

ბოლშევიკური საზღვაო რევკომის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გემების ეკიპაჟებმა სამსახურზე უარი თქვეს, გემები მიატოვეს და ქალაქში დაიფანტნენ. საქართველოს ხელისუფლება შეეცადა მეზღვაურების უკან მობრუნებას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

თაყაიშვილმა „მარიასა“ და „ვესტას“ ეკიპაჟებიდან ჩამოწერა ის მეზღვაურები, რომელთაც საქართველოდან წასვლა არ სურდათ, ისინი სხვებით შეცვალა და საიმედო ეკიპაჟების წყალობით ევაკუაციის მთელმა სიმძიმემ ამ გემებზე გადაიარა.

თავიდან სურდათ, „ტავრიდას“ ბუქსირით წაეყვანა „მარია“, მაგრამ ბოლშევიკების აგიტაციას ვერც ბუქსირის ეკიპაჟი გადაურჩა.

ბათუმიდან ევაკუაცია 17 მარტის საღამოს დაიწყო. მთავრობის ბრძანებით სახელმწიფო ხარჯებით ევაკუირება შეეძლოთ მთავრობის წევრებს, 10 პოლიტიკურ მოღვაწეს, გვარდიის 15 წარმომადგენელს, მთავარსარდლის შტაბსა და 50 ოფიცერს. ჩასხდომის გაკონტროლება შეუძლებელი აღმოჩნდა. „მარიასა“ და „ვესტაზე“ სამხედროები და მოქალაქეები იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ.

„ვესტა“ თვითმფრინავებითა და სხვადასხვა აღჭურვილობით, ხოლო რუსული „ოლენი“ კი საქართველოს სამთავრობო ავტომობილებით დაიტვირთა.

ევაკუაციის დროს ბათუმში საწვავის დეფიციტი გაჩნდა, ამიტომ „მარიამ“ ბუქსირზე ჩაიბა გამანადგურებლები „ტარიელი“ და „ავთანდილი“.

ამ დროს „ტავრიდას“ ბორტზე ეკიპაჟიდან უფროსი მეზღვაური გოგიაშვილი, მემანქანე დუბენკო და მეზღვაური გონჩარი იმყოფებოდნენ.

ტრიუმში გახსნილ კინგსტონებთან დუბენკო და გონჩარი იდგნენ, შემოსული წყლის რაოდენობას არეგულირებდნენ, თორემ 106 ტ წყალწყვის ბუქსირის ჩასაძირად წუთებიც საკმარისი იყო.

სავალ ხიდურზე მყოფი გოგიაშვილი პორტში არსებულ მდგომარეობას აკვირდებოდა და როგორც კი ევაკუაცია დასრულდა და ბათუმი ბოლო გემმა დატოვა, „ტავრიდაზე“ მაშინვე წითელი დროშა აღიმართა და კინგსტონებიც გადაიკეტა.

„ტავრიდა“ ბათუმში დარჩა, მაგრამ გემი და განსაკუთრებით მანქანები რემონტს საჭიროებდნენ, რემონტი კი ხანგრძლივი გამოდგა, რადგან ქვაბების გაცხელების სისტემა გადაკეთდა და ქვანახშირიდან ნავთზე გადავიდა.

1924 წლის 18 ივლისს ბათუმის სავაჭრო პორტის სამმართველოს შეემატა ბუქსირი რევოლუციური სულისკვეთების მატარებელი სახელით „კრასნი ბატუმი“.

მრავლისმნახველი „ტავრიდა“-„კრასნი ბატუმის“ შრომითი საქმიანობა 1939 წელს დასრულდა. ბუქსირი ჩამოიწერა და ჯართად დაიჭრა.

თემურ ჩაჩანიძე

ლევან სეფისკვერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი დიალოგი ნაცნობ ამბავზე

— გუშინ მთელი დღე გირეკავდი, მაგრამ ტელეფონი სულ გამორთული გქონდა. ვიფიქრე, ვნახავ, რამე ხომ არ სჭირს ამ კაცს-მეთქი. შენ კიდევ ამ დილაადრიან გამომთვრალხარ. მაინც სად მოასწარი?

— უსაქმურობამ ასე იცის. რაც ჯარიდან წამოვედი, მეტი რა საქმე მაქვს. ვისვენებ და ვუბრახუნებ ლუდს.

— ეგ არ ვიცოდი. შენ სულ გარეკე, მგონი. რატომ წამოხვედი?

— დავიღალე და ყელში ამომივიდა ყველაფერი.

— ერაყ-ავღანეთში იყავი და მაშინ არ გითქვამს დავიღალეო და ახლა რა მოგივიდა? თან ჩინიც ხომ მოგიმატეს...

— კარგი ერთი, თუ ჩემი ძმა ხარ. შენ არ იცი, როგორი ცუდია, ყველა შენი მეგობარი როცა მიდის ჯარიდან და სულ ახალ ხალხთან რჩები მარტო. ომის მერე ყველანი წავიდნენ. ძნელია, ძმაო. ადვილი ნუ გგონია ეს ამბავი.

— ყველა თუ წამოვიდა, ვინღა იქნება ჯარში, აბა, ეგ რა ლაპარაკია?! თან გამოცდილი ბიჭების წამოსვლა იქნება?

— მოდი, დაჯექი და გეტყვი ყველაფერს. ამასობაში ჩემი ცოლიც ამოიტანს მაღაზიიდან გაყინულ ხინკლებს და ლუდიც მივცხოთ.

— მგონი, მართლა გალოთდი. რა ხინკალი, რის ლუდი? ეგეთი კარგი სამსახურის დაკარგვა იქნებოდა?..

— დაიცა რა. შენც რა მამაჩემივით მელაპარაკები. ბოლო-ბოლო, მე უფრო არ ვიცი, იქ რა იყო და როგორ იყო?...

— მაინც რა მოხდა ეგეთი, რომ დაჰკარი ფეხი და მოცოცხე ჯარიდან? იჩხუბებდი, შენი მყრალი ხასიათის ამბავი რომ ვიცი...

— რა ჩხუბი, რის ჩხუბი... ერთხელაც მივედი ნაწილში, გავიხედ-გამოვიხედე და მივხვდი, რომ ვისთანაც ერთად ცხინვალში ვიბრძოდი, აღარავინ იყო დარჩენილი. ზოგი მოკვდა, ზოგი ჯარიდან წავიდა. რამდენიმე დაინვალიდდა. მოდი რა, ნუ მაყოლებ ამ ამბებს, ისედაც ხომ იცი ეს ყველაფერი... ჰოდა, მივხვდი, რომ ჩემი ადგილი მანდ აღარ იყო. ახლა განა ცუდი ბიჭები არიან იქ? რას ამბობ... მაგათ ენაცვალოთ ჩემი თავი. მამაჩემისა და ჩემი ცოლისთვის უფრო ნაკლებად მომერიდა ამ ამბის გამხელა, ვიდრე იმ ბიჭებისთვის, რომლებთან ერთადაც ხან რამდენიმე თვე გადაბმულად ვიცხოვრე. მაგრამ რა ვიცი, თითქოს სულ ავიცრუე გული ყველაფერზე. ვის რაღაში ვჭირდებით თუ კაცი ხარ? პოლიტიკოსები სულ იმას ამბობენ, ჩვენს ჯარს ომი არ შეუძლია და უნდა შევამციროთო. ეს ხალხია და სუფრა იქნება თუ რამე სხვა ამბავი, სულ იმას გვახსენებენ, ომი რომ წავაგეთ. თითქოს ბებიამაგათმა, ისრაელი ვიყოთ და იარაღი თავზე გვეყაროს. მოკლედ, ავდექი და წამოვედი. ვისაც რა უნდა, ის თქვას!

— ოფიცრებმა არაფერი გითხრეს?

— როგორ არ მითხრეს. ერთმა ჭკუის სწავლებაც დამიწყო, გვლალატობო და ეგეთი რამე. მაგრამ კონტრაქტი უკვე დამთავრებული მქონდა და ვერაფერსაც ვერ იზამდნენ.

— აბა, ახლა როგორ უნდა იცხოვრო? ცოლ-შვილს რჩენა ხომ უნდა?

— ვიზამ რამეს.

— მაინც რას იზამ, ძალიან მაინტერესებს. მთელი ქვეყანა უმუშევარია. რამე ხელობა მაინც იცოდე, წაგიყვანდი ჩვენთან.

— ბიჭო, რა გადამიწურეთ ყველა იმედი შენ და მა-

მაჩემმა. ორი ხელი მაქვს და ორი ფეხი, ბოლოს და ბოლოს. ვიზამ რამეს. ისე ხომ არ დავრჩები...

— არა რა, მაინც ნერვები მეშლება, რომ წამოხვედი. არადა, შენ არ ამბობდი ხოლმე სიმთვრალეში, გენერალი უნდა გავხდეო...

— სიმთვრალე აღარ შემარგოთ ახლა...

— რა, ეგრე არ ამბობდი?

— ჰო, მერე რა? სიმთვრალეში სისულელეები ვის არ გვითქვამს. თან მაშინ, როცა მაგნაირ რამეებს ვამბობდი, მართლა მაგარი მონადინებული ვიყავი ჩვენს საქმეში და ყველას იმედი გვქონდა, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს დავიბრუნებდით. ახლა კი...

— რა ახლა?

— შენ გაქვს რამის იმედი?

— რას გულისხმობ? აფხაზეთის დაბრუნებას?

— თუნდაც აფხაზეთის დაბრუნებას...

— მაგაზე ხო იცი, ხშირად გვილაპარაკია და ისიც გემახსოვრება, მე რასაც ვფიქრობ. აფხაზეთის დაბრუნების იმედი თუ დავკარგეთ, მაშინ ჯობია საერთოდ „დავგაზოთ“ ამ ქვეყნიდან. მით უმეტეს, შენ ამას არ უნდა მეუბნებოდე. ალბათ ხვდები რატომაც გეუბნები.

— პოლიტიკოსები გაიძახიან, დიპლომატიური გზით უნდა დავიბრუნოთო. თითქოს ერთ დღესაც რუსები კარგ ხასიათზე გაიღვიძებენ და წართმეულს ღიღინ-ღიღინით დაგვიბრუნებენ. ჯარშიც ბევრი ეგრე ფიქრობდა. მერე კიდევ მეუბნები, რატომ წამოხვედიო.

— აბა, შენ რა გინდა, კიდევ ერთხელ ვეომოთ რუსეთს და კიდევ ერთხელ ჩაგვხოცონ?!

— მაშინ საერთოდ გავაუქმოთ ჯარი. რა საჭიროა ამხელა ფულის გადაყრა ჯარში, თუ ყველა თანხმდებით, რომ ვერც რუსეთს და ვერც სხვას, ვერაფერში ვერასოდეს ვაჯობებთ.

— ყველამ შენსავით ფეხი თუ დაჰკრა და ჯარიდან წავიდა, მართლა მოგვიწევს ჯარის გაუქმება. მერე იჯექი და სვი წყალწყალა ლუდი. ხელს ვეღარავინ შეგიშლის.

— ბიჭო, შარზე ხომ არა ხარ შენ?

— კიდევ მე ვარ შარზე? ბრმა კი არა ვარ, დავინახე, შენს ცოლს ნამტირალევი სახე რომ ჰქონდა როცა გადიოდა. ეს უფრო ხვდება შენი ჯარიდან წამოსვლით, რაც დაშავდა, ვიდრე შენ.

— მეც მეცოდება, განა არ მეცოდება, მაგრამ ახლა უკვე წამოსული ვარ და რაღა აზრი აქვს ტყუილად ნერვიულობას.

— რამე რომ იყოს, სიტყვაზე გეუბნები, ხვალ რომ მიხვიდე, აღგადგენენ შენს ნაწილში?

— გიჟი ხომ არა ხარ, რა სისულელეს მეუბნები...

— სისულელეს კი არა, ძალიან კარგ რამეს გეუბნები. თან როგორც ვხედავ, გულისგულში შენც ნანობ, ეს რომ გააკეთე.

— მე რას ვნანობ და რას არა, ეს ჩემი საქმეა. შენ თუ ჩემთან მოხვედი, დამიჯექი გვერდით და დავლიოთ ცოტა. ძმურად, რაც არ გამოვა, იმაზე ნულარ ვიფიქრებთ.

— ძალიან ხოშიანად გამოვა, თუ მოვინდომებთ.

— რას მეუბნები? მივიდე ნაწილში და ვთქვა: ბიჭებო, გეხუმრეთ, და ისევ უკან დამაბრუნეთო-მეთქი?

— რა ვიცი, შენ რაც გინდა, ის თქვი. მთავარია, იმათმა გაგიფორმონ ახალი კონტრაქტი.

— აი, შანსი არაა რა!

— ანდა ხვალ რატომ? დღესაც შეგიძლია მისვლა. მანქანით ვარ და გაგიყვან. ცოტა კი გაქვს დალეული, მაგრამ იქამდე სანამ მივალთ, უკვე ჯანზე იქნები.

— შენ ჩემ მაგივრად რომ ჭრი და კერაგ, მეკარ მეკითხები, მინდა თუ არა დაბრუნება?

— შენს ცოლს უნდა, შენს შვილებს უნდა, მე მინდა და მამაშენს უნდა. ეს საკმარისია იმისათვის, რომ დაბრუნდე. თან მეტი რა გინდა, ძმაო, მანქანით მიგაბრძანებ და თუ კარგად მოიქცევი, გზაში კარგი ხარჩოც ვჭამოთ. გაყინული ხინკალი რა ჩვენი საქმეა?

— სირცხვილია, ბიჭო. დამცინებენ.

— სირცხვილი რაცაა, შენ ჩემზე კარგად იცი. მიდი, ჩაიცვი და წავიდეთ.

— ახლავე, კაცო, ამ წუთში?!

— ჰო, რაკი მოვიფიქრეთ, წავიდეთ ბარემ.

— მე კი არა, შენ მოიფიქრე.

— კაი, მე მოვიფიქრე. ადე, ჩაიცვი ახლა.

— შენ რომ კაცს გადაეკიდები რა... თავი მომჭერი, მამაჩემის გამოგზავნილი თუ არ იყო.

— მამაშენმა არა, ბარაკ ობამამ გამომაგზავნა. ნუ იგონებ რაღაც სისულელეებს.

— ჩემს ცოლს მაინც დაველოდოთ, რომ ვუთხრა, სადაც მივდივართ.

— შენს ცოლს დავურეკოთ. დარწმუნებული იყავი, ეს ამბავი მაგრად გაუხარდება.

— კარგი, ჰო. ხუთ წუთში გავემზადები. გიჟები ხართ ყველანი!

პოლიტიკოსები მუდმივად იმეორებენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მშვიდობიანი გზებით უნდა დავიბრუნოთ, მაგრამ...

ჯესინსკოვორდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაზული: 1. ხარების ბრძოლა; 5. კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი; 8. სახელმწიფოს სიმბოლო; 9. სასაზღვრო-გამშვები პუნქტი საქართველოში; 10. დაშორებულობის მასშტაბი, ხარისხი; 11. სახელმწიფოების კავშირი, გაერთიანება საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; 12. ინგლისური ავტომობილი; 16. ალალბედზე მოქმედება; 17. ძაღლებისა და ცხენების სიმაღლის დადგენის სტანდარტული ადგილი; 18. საქართველოს უშიშროების ექსმინისტრის სახელი; 19. „გარგანტუა და პანტაგრუელი" — ავტორი; 21. არგენტინის პრეზიდენტ ხუან დომინგო პერონის ცოლი; 24. ხომალდების ერთობლიობა; 27. იტალიის კუნძული, მაფიის სამშობლო; 29. ზედაპირი, რომელზეც იღებენ შუქურ გამოსახულებას, სიგნალებს; 30. ასეულის, ესკადრონის ან ბატარეის დანაყოფი; 31. ავსტრიელი პოეტი რაინერ მარია ...; 32. ომში ნაშოვნი ქონება; 33. აირის გადასატანი მოცულობა; 34. ბენიტო მუსოლინის სამშობლო.

შვეული: 2. ქ. თებეს მეფე, რომელმაც მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა. არ იცოდა, რომ მათი შვილი იყო; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის შიდა დიამეტრი; 6. ერთგვარი თამაში — წვრილ სალტეებს ისვრიან და იჭერენ სპეციალური ჯოხებით; 7. მატარებლის გზა; 13. სამედიატორო სასამართლო; 14. შემოსეული დამპყრობელი ჯარი, ლაშქარი; 15. დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოში; 20. ინგლისელებისა და ბურების ომის ქართველი მონანილე; 22. ფილმი ტომ კრუზის მონანილეობით „ოპერაცია ..."; 23. ქალაქი რუსეთში, ცნობილია იარაღის წარმოებით; 25. თავდავიწყების მდინარე მიწისქვეშა სამეფოში; 26. ბულვარული გაზეთი, საერთოდ, იაფფასიანი გამოცემა; 27. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი; 28. ასაფეთქებელი ნივთიერება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სირენა; 5. კომეტა; 8. გრაფი; 9. ნოკია; 10. ტაიგა; 11. კირკე; 12. „იაგუარი"; 16. „ნინია"; 17. ლიბია; 18. „რეალი"; 19. ზურნა; 21. უბანი; 24. ათოსი; 27. გალიცია; 29. ბერეტა; 30. ფრენჩი; 31. კაბინა; 32. ლექცია; 33. პიროგა; 34. იტალია.

შვეულად: 2. იაგდტაში; 3. ეტატიზმი; 4. ამირანი; 5. კონაკრი; 6. მაკაროვი; 7. ტრავერზი; 13. ამბრაზურა; 14. უნია; 15. როსინანტი; 20. რომი; 22. ბუცეფალი; 23. ნიკე; 25. თონე; 26. სტეჩკინი; 27. გრანატა; 28. ასფალტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორვატული „ხელის თოფი“ დღემდე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სნაიპერული შაშხანაა, თუმცა რეალურად მსუბუქ ქვემეხს უფრო ჰგავს...

ყველაზე მსხვილკალიბრიანი სნაიპერული „თოფი“

Rucni Top ყველაზე მსხვილკალიბრიანი და მძლავრი სნაიპერული შაშხანაა.

ხორვატული RT-20-ის ორიგინალობა განპირობებულია მასში გამოყენებული ვაზნით, რომელიც რეალურად უფრო ჭურვია, რადგან მისი კალიბრია 20X110 მმ-ზე.

ასეთი ჭურვის შერჩევა უფრო გაჭირვებამ განაპირობა, რადგან 90-იანი წლების შუახანებში, როდესაც სამოქალაქო ომში ჩაბმულ იუგოსლავიაში ხორვატები და სერბები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩართული, ხორვატებს მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანები დასჭირდათ, რომლებითაც სერბების მსუბუქად შეჯავშნულ ტექნიკას მწყობრიდან გამოიყვანდნენ.

იმ დროს ხორვატებმა მოახერხეს ამერიკული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა Barrett M82-ის მცირე პარტიის შეძენა, თუმცა ეს არ კმარობდა და გადაწყვიტეს, იმავე ვაზნის (.50BMG (12,7X99 მმ)) კალიბრზე საკუთარი კონსტრუქციის სნაიპერული შაშხანა შეექმნათ.

ხორვატმა გენერლებმა მისი კონსტრუირება ფირმა RH-Alan-ს დაუკვეთეს და მალე მიიღეს კიდევაც მარტივი კონსტრუქციის შაშხანა, თუმცა დიდად კმაყოფილი არ დარჩენილან.1994 წელს უკვე თავად RH-Alan-ის ფირმის კონსტრუქტორებმა შესთავაზეს ხორვატიის არმიას ორიგინალური კონსტრუქციის ზემძლავრი სნაიპერული შაშხანა RT-20, რომელიც Hispano Suiza-ს 20 მმ კალიბრის (20X110 მმ) ვაზნაზე იყო გათვლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

RT-20-ის 20 მმ კალიბრის ჯავშანგამტან ჭურვს 200 მ დისტანციიდან 20 მმ ჰომოგენური ჯავშნის გახვრეტა შეუძლია მაშინაც კი, თუ 60 გრადუსის კუთხით მოხვდა. ასე რომ, ხორვატ სნაიპერებს თავისუფლად შეეძლოთ „ხელის თოფით" სერბების ჯავშანტრანსპორტიორების ჯავშნის (რომელთა სისქე 6-8 მმ-ია) გახვრეტა.

ჩვენი დოსიე: ხორვატული მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანა RT-20-ი სამიზნე მოწყობილობითა და დასაკეცი ფეხებით 19,2 კგ-ს იწონის. იარაღის სიგრძე 1330 მმ-ია. „ბულ-პაპის" სქემა საშუალებას იძლევა ამ გაბარიტში 920 მმ სიგრძის ლულა ჩაეტიოს.

ამ ზემძლავრი ვაზნის ამორჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მას ყოფილ იუგოსლავიაში წლების განმავლობაში სერიულად აწარმოებდნენ საზენიტო ქვემეხებისთვის და ხორვატებს ამ ვაზნების დიდი მარაგი დარჩათ.

20X110 მმ კალიბრის ვაზნის ტყვია 130 გ-ს იწონის, მისი საწყისი სიჩქარე 850 მ/წმ-ია და 40-ჯერ(!) მეტი ძალის უკუცემას იძლევა 7,62 მმ-იანი შაშხანის გასროლასთან შედარებით. გასაგებია, რომ ვერც ერთი ადამიანის მხარი ვერ გაუძლებდა გასროლის შემდეგ უკუცემისას კონდახიდან ასეთ უძლიერეს დარტყმას მხარზე, ამიტომაც კონსტრუქტორებმა ყველაფერი იღონეს უკუცემის ძალის შესამცირებლად.

RT-20-ს დაუყენეს სამკამერიანი ლულის მუხრუჭი, ხოლო კონდახს კი რეზინის ამორტიზატორები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო (სხვათა შორის, გასროლისას წარმოქმნილი აირების მცირე ნაწილი სპეციალური მილით ხვდება კონდახის რეზინის ამორტიზატორში და მას გარმონივით წელავს, რაც გარკვეულწილად ამცირებს მსროლელის მხარზე დარტყმის ძალას).

ძირითად ტექნიკურ ღონისძიებად, რომელმაც RT-20-ის საბრძოლო გამოყენება შესაძლებელი გახადა, იქცა გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალის კომპენსაციის რეაქტიული სისტემა. შაშხა-

RT-20-ის მსროლელს აუცილებლად სჭირდება დამხმარე, რადგან ყოველი გასროლის შემდეგ იარაღში ახალი ვაზნა უნდა ჩაიდოს, მაგრამ ეს თავად მსროლელისთვის ძალიან მოუხერხებელია (გასროლის დროს საკეტი მსროლელის მარჯვენა მხარის უკან არის) და მოითხოვს სხვის დახმარებას, რათა მსროლელი დარჩეს გასროლისთვის მზა პოზაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ლულაში დატანებულია ნახვრეტები, საიდანაც დენთის აირები გადადის ლულის თავზე დამონტაჟებულ მილში და უკან საქშენიდან გამოიტყორცნება, რომლის დროსაც წარმოიქმნება რეაქტიული ძალა, რომელიც ნაწილობრივ აკომპენსირებს გასროლის უკუცემის ძალას (დაახლოებით ანალოგიური სქემით მოქმედებს РПГ-7 ტიპის ყუმბარსატყორცნიც).

ასეთ სქემას რამდენიმე ნაკლი აქვს. გასროლისას RT-20-ის უკან კედელი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისგან აირეკლება იარაღის მილიდან გამოტყორცნილი მაღალტემპერატურიანი აირების ჭავლი და შეიძლება თავად მსროლელი დაზიანდეს. ასევე არ შეიძლება უკან ადამიანის დადგომა, არადა, RT-20-ის მსროლელს აუცილებლად სჭირდება დამხმარე, რადგან ყოველი გასროლის შემდეგ იარაღში ახალი ვაზნა უნდა ჩაიდოს, მაგრამ ეს თავად მსროლელისთვის ძალიან მოუხერხებელია (გასროლის დროს საკეტი მსროლელის მარჯვენა მხარის უკან არის) და მოითხოვს სხვის დახმარებას, რათა მსროლელი დარჩეს გასროლისთვის მზა პოზაში.

გასროლის დროს სამკამერიანი ლულის მუხრუჭიდან ცეცხლის ალი გამოიტყორცნება, ისევე როგორც რეაქტიული მომენტის შემქმნელი მილიდან, რაც RT-20-ის საბრძოლო პოზიციას მაშინვე ამჟღავნებს არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც კი.

თუკი მონინააღმდეგე აღჭურვილია თბოვიზორებით, მაშინ მას ადვილად შეეძლება RT-20-ის გახურებული ლულისა და მილის თბური კონტურის აღმოჩენა გასროლიდან რამდენიმე წუთშიც კი.

ამდენი ნაკლის მიუხედავად, ხორვატებს უღირდათ RT-20-ებით სერბებთან ბრძოლა, რადგან ამ მართლაც „ხელის ზარბაზანს“ დიდი დასაშინებელი ეფექტი ჰქონდა, რადგან 20 მმ კალიბრის ტყვია-ჭურვი შეიძლებოდა ყოფილიყო მსხვრევად-ფუგასური ჯავშანგამტანი ან ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი, რომლებიც 1000-1500 მ-ში სერბების ჯავშანტრანსპორტიორებს უპრობლემოდ გახვრეტდნენ და დაზიანებდნენ.

ირაკლი ალადაშვილი

ღამით ბრძოლებში ხორვატებს მოსვენებას არ აძლევდნენ სერბების M-84 ტიპის ტანკები, რომლებზეც ინფრაწითელი ხედვის აპარატურა იყო დაყენებული და სიბნელეში ზუსტად ესროდნენ ხორვატების პოზიციას. RT-20-ის გამოშვების შემდეგ ხორვატ სნაიპერებს საშუალება მიეცათ, „ენადირათ“ სერბების M-84-ების კოშკურებზე განთავსებულ ინფრაწითელ ხედვის ხელსაწყოებზე.

იუგოსლავური ტანკი M-84

პროსტამოლ® უნო

Extr. Serenoa repens

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის სიმპტომების სამკურნალო საშუალება

ერთი კაფსულა ერთხელ დღეში

ჭამის შემდეგ ერთსა და იმავე დროს

ISSN 1987-5061

9 771987 506007

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

BERLIN-CHEMIE MENARINI

www.berlin-chemie.ge

თბილისი, 0160, გამრეკელის 19; ტელ: 224 13 70/71/72
ფაქსი: 224 12 10; ელ. ფოსტა: geobc@wanex.net

Pu-01-2013